


მაცნეთველოს თეატრალური საზოგადოება

შალვა კაშიაძე




სახლი
ინჟინერი



მონოგრაფია

გამომცემლობა „ს ე ლ ი ა“ თბილისი





გ ა ნ ვ ლ ი ლ ი გ ზ ა

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნა ქართული მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე თავფურცელია. აქედან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან პირველი ქართველი კომპოზიტორები და საფუძველი ეყრება ეროვნულ ოპერას.

ნიკო სულხანიშვილის „პატარა კახიდან“ მართლაც „დაიგვიანეს“ შემოგვრჩა ხელში. ვანო სარაჯიშვილმა საოცარი ოქროპირობით დააღულუნა ეს მშვენიერი ჰანგი და შემდეგ იგი მთელმა სამშობლომ გაიტაცა. მაგრამ კომპოზიტორის დაღუპვის დღესვე „პატარა კახი“ სადღაც გაჰქრა, და მისი მრავალტანჯული ოსტატი ქართული ოპერის მესვეურთა რიგებს გარეშე დარჩა. ნიჭიერ ნიკო სულხანიშვილს უპატრონოდ ამოხდა სული.

ეს საშინელი ბედისწერა წარსულს ეკუთვნის.

მელიტონ ბალანჩივაძემ, დიმიტრი არაყიშვილმა და ზაქარია ფალიაშვილმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ოპერას. მას შემდეგ ჯადოქრულად მოგუგუნებს ჩვენი მუსიკა.

ეროვნული ოპერის ამ გარიჟრაჟზე ორ შესანიშნავ ქართველ მომღერალს ხვდა წილად პირველი არტისტული მედროშეობა, ბრწყინვალე ტრადიციის შექმნა და გზის გაკვლევა მომავალ თაობათათვის.

ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი...

რა დიდებული, ბედნიერი თანამთხვევაა ქართული ოპერა მათ გარეშე მაშინ ვერავის ვერ წარმოედგინა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. „საქართველოს ბულბულს“—ვანო სარაჯიშვილს—ნაადრევი საფლავი არგუნა ბედმა... სანდრო კი მის შესანიშნავ ტრადიციებს განაგრძობს და სწორუპოვარი სიტკბოებით ალაგზნებს ჩვენს გულს.

ქეშმარიტად შეუძლია იამაყოს სანდრო ინაშვილმა, რომ მისი ხავერდოვანი ხმაც მშობლიური დიდი ხელოვნების პირველ თაიგულს ჩაექსოვა.

სანდრო ინაშვილი ქართული ოპერის გმირების ერთ-ერთი პირველი დიდებული მოქანდაკეა. მისმა შესანიშნავმა ხელოვნებამ უცხოურ კულტურასაც ღირსეული წილი მიუზღო. სანდრომ ათობით შესანიშნავ გმირთა მარად უჭკნობი სახე შექმნა. ამაყად ჩამწკრივებულან ეს გმირები დღეს ჩვენს წინაშე: ზოგს ქათქათა ხელთათმანი უჭირავს ხელში, ზოგს — ბასრი ხმალი, ზოგი ნებივრად იღიმება, ზოგს კიდევ—მრისხანებით შეუკრავს წარბი... და ყველას თავისი შემოქმედის იდუმალი იერი აზის. ისინი მძაფრად ბობოქრობენ, ჩვენს სულში კი სიმშვიდე შეაქვთ.

ეს სიმშვიდე ვარდივით დაიფურცლა მშობლიურ სცენაზე ორმოცი წლის განმავლობაში.

მშობლები. ოჯახური წრე

სანდროს მამა—იობი დავითის-ძე ინაშვილი (1864 - 1906) —დაიბადა სოფ. ვაქირში (სიღნაღის რაიონი) კარგად შეძლებული გლეხის ოჯახში. ჯერ ისევ ბავშვი თბილისში ჩამოიყვანეს და სახელოსნო სკოლაში შიბბარეს. ხელობა მშვენივრად შეითვისა, თავის დროზე ერთ-ერთი განთქმული დურგალი იყო. მუშაობდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, შინაც სახარატო დაზგა გამართა და კერძო შეკვეთებს ასრულებდა.

იობი ტიპური, თავმოყვარე ქართველი ვაჟკაცი იყო: მაღალი, მხარბეჭიანი, ჩოხა-ახალუხის შნოიანად მატარებელი, სტუმართმოყვარე, მომლხენი და დარბაისელი. პურ-ღვინით

ზაესე ოჯახში გაზრდილმა თბილისშიაც ვერ მოიშალა სუფრის გამლა, მაგრამ მისი მუყაითი შრომის წყალობით ოჯახს არასდროს გაჭირვება არ განუცდია.

სანდროს დედა—პელაგია თედორეს-ასული ვლადიმეროვა—თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მისი წინაპრები ჯერ კიდევ რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს დამკვიდრებულან საქართველოში. ამიტომ სანდროს პაპას რუსული ზიგიანად არც კი სცოდნია.

სანდრო დაიბადა 1889 წლის 11 აგვისტოს, თბილისში, კუკიის უბანში. და-ძმათა შორის იგი ყველაზე უფროსია. მისი მომყოლი ოყო ვლადიმერი (გარდ. 1947 წ.), შემდეგ მოდიან: მარიამი, ფრიგოლი (სახალხო არტისტი ვენაძე) და ანტონი (მომღერალი ინოველი).

ამრიგად, ამ ოჯახიდან სამი მომღერალი (ბარიტონი) გამოვიდა. გვარი უფროსმა ძმამ სანდრომ დაიმკვიდრა. უმცროსები კი იძულებულნი გახდნენ ფსევდონიმები აერჩიათ, რადგან ერთი გვარის მქონე სამი ბარიტონი ერთგვარ უხერხულებას იწვევდა.

გრიგოლ ვენაძემ (დაიბ. 1896 წ.) მუსიკალური განათლება მიიღო თბილისის კონსერვატორიაში, პროფ. რიადნოვთან. თბილისის ოპერის თეატრში მუშაობა დაიწყო 1919 წლიდან. იგი მდიდარი რეპერტუარის მქონე ერთ-ერთი წამყვანი მომღერალია. შესრულებული აქვს ბარიტონის პირველი პარტიები ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ბევრ ოპერაში („აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, „დარეჯან ცბიერი“, „ევგენი ონეგინი“, „ტოსკა“, „კარმენი“, „ტრაავიატა“, „სევილიელი დალაქი“ და სხვ.).

გრ. ვენაძე დაუღალავი საზოგადო მუშაკია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებიდან იგი განუწყვეტლივ მუშაობს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირში საპასუხისმგებლო პოსტებზე, ახლა კი ამ კავშირის თავმჯდომარეა.

სანდროს უმცროსმა ძმამ ანტონმაც (დაიბ. 1898 წ.) თბი-

ლისში მიიღო მუსიკალური განათლება. როგორც ესტრადის მსახიობმა, მან ფართო საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა.

ბავშვების ლტოლვას მუსიკისადმი, უწინარეს ყოვლისა, თვით ოჯახმა შეუწყო ხელი. იობი მშვენიერი ბანის ჰქონე მომღერალ-მგალობელი იყო. სიჭაბუკიდანვე საეკლესიო გუნდებში მონაწილეობდა, სხვადასხვა სამუსიკო საკრავთა დაკვრაც იოლად ეხერხებოდა. თუკი ვინმე მომღერალ ადამიანს ოჯახში იხელთებდა, მალე აგუგუნდებოდა დიდებული კახური სიმღერა, და მაშინ პაწია სანდროც წამსვე აპყვებოდა ხოლმე. ასეთი მეგობრები იობს ბლომად მოეპოვებოდა, მაგრამ ამ მხრივ ოჯახის ახლო ნათესავი (სანდროს დედი) კაზიმირ ცხომელიძეც კმაროდა.

კაზიმირ ცხომელიძე (გარდ. 1916 წ.) თავის დროზე განთქმული ბარიტონი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ფილარმონიის სამუსიკო სასწავლებელი. მსახურობდა რკინიგზის სამმართველოში. ია კარგარეთელთან, ზაქ. ფალიაშვილთან და სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ფილარმონიული საზოგადოების მუშაობაში. გარდა არტისტული მოღვაწეობისა, იგი აქ საოპერო სექციის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა და გულმოდგინედ იბრძოდა ქართულ ენაზე ოპერების დადგმისათვის.

1909 წელს ვახეთ „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეში“ (№ 5) კ. ცხომელიძე სწერდა:

„... ქართულ ენაზე ოპერების დადგმას, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ჩემის ფიქრით, საზოგადოებრივი, განმანათლებელი, კულტურული და ისტორიული მნიშვნელობაც კი ენიჭება. ყოველივე ეს თავის დროზე აღნიშნა ადგილობრივმა პრესამ და დაადასტურა ფილარმონიული საზოგადოების ერთმა კრებამ, რომელმაც დაავალა გამგეობას განაგრძოს მუშაობა ოპერების დასადგმელად, ქართულ სიმღერათა შეგროვება-შემუშავებასთან ერთად...“

კაზიმირ ცხომელიძეს ქართულ ენაზე შესრულებული აქვს ბარიტონის პარტიები „სევილიელ დალაქში“, „დემონში“ და სხვა ოპერებში.



მომღერალი
კ ა ზ ი მ ი რ ც ხ ო მ ე ლ ი ძ ე

კ. ცხომელიძე ინაშვილების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. იგი უნერგავდა ბავშვებს მუსიკის სიყვარულს, ავარჯიშებდა სიმღერაში და თვითონაც მღეროდა მათთან. 1900-იან წლებში ი. ინაშვილი და კ. ცხომელიძე აქტიურად თანამშრომლობდნენ რკინიგზის მუშათა კულტურულ წრეებში. დეპოსა და მთავარ სახელოსნოში მათი ხელშეწყობითა და მონაწილეობით იმართებოდა სხვადასხვა სპექტაკლები და კონცერტები, რომლებსაც სისტემატურად ესწრებოდა პატარა სანდროც. გარდა ამისა, კ. ცხომელიძეს ხშირად დაჰყავდა სანდრო სხვადასხვა სადამო-კონცერტებზე. ყოველივე ეს მეტად ნაყოფიერ გავლენას ახდენდა ბავშვის მუსიკალურ განვითარებაზე.

ნორჩი მუსიკოსი. სანდრო კავსაძესთან.

რკინიგზის მთავარ სახელოსნოში

7 წლის სანდრო შეიყვანეს ზედგინიძის კერძო სკოლაში, რომელიც საბჭოს (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩაზე მდებარეობდა. მეცადინეობა ამ სკოლაში მხოლოდ ქართულ ენაზე სწარმოებდა. სანდრომ აქ ორი წელიწადი დაჰყო. შემდეგ ოჯახი დიდუბეში გადასახლდა, და სანდროც რკინიგზის სკოლაში გადაიყვანეს.

აქ გალობას ასწავლიდა ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი ოსტატი, განთქმული მომღერალი სანდრო კავსაძე, რომელსაც დიდი დეაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხური კილოების ფართო ასპარეზზე გამოტანაში. მდიდარი მუსიკალური სმენითა და იშვიათი სილამაზის ხმით დაჯილდოებულ იყო. კავსაძე ქართველი საზოგადოების მხურვალე პატივისცემით სარგებლობდა. მის შესანიშნავ გუნდს მთელს საქართველოში ჰქონდა განთქმული სახელი.

სანდრო ინაშვილს ბავშვობაშივე აღმოაჩინდა შშვენიერი, წკრილა დისკანტი და ხალასი მუსიკალური სმენა. ნიჭიერ ბავშვს სანდრო კავსაძემ მაშინვე მიაქცია ყურადღება, სასკოლო გუნდში ჩარიცხა, გალობა შეასწავლა და სოლისტად დააწინაურა. გუნდი ხშირად გამოდიოდა რკინიგზის ეკლესიაში. მცირე ხნის განმავლობაში სანდრო ინაშვილი მოწინავე მგალობელი გახდა და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

სანდრო კავსაძე განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა თავის ნიჭიერ, ნორჩ მგალობელს: მოჰქონდა მისთვის ტკბილეული, უაღურსებდა, არიგებდა არ გაციებულებოდა და ხმისათვის მოეწყო. სანდრო ინაშვილი 9 წლისა არც კი იყო, როცა თვეში 6 მანეთი დაუნიშნა, ხოლო შემდეგ 12 მანეთს აძლევდა.

ერთხელ ეკლესიაში რაღაც საზეიმო წირვა დაინიშნა, — საპატიო სტუმრებს ელოდნენ. დააგვიანდათ. სანდრო ამხანაგებში ცელქობით გაერთო, დაიღალა და იმ დღეს ჩვეუ-

ლებრივი წარმატება ვერ გამოიჩინა. კავსაძემ ყურები აუწიწკნა.

— რად მინდა შენი კამფეტები... თუკი გამლახავ!—წაილულულა თვალცრემლიანმა სანდრომ და გარეთ გავიდა. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევა იყო. პატარა სანდრომ შესანიშნავ წარმატებას იჩენდა გუნდში, და მადლიერ ლოტბარს მუდამ კამფეტი ჰქონდა ხოლმე ჯიბეში მის დასაჯილდოებლად.

გარდა საეკლესიო საგალობლებისა, სანდრო კავსაძე ხალხურ სიმღერებსაც ასწავლიდა ბავშვებს. სანდრო ინაშვილმა აქაც დიდი უნარი გამოიჩინა, და ს. კავსაძემ იგი თავის ხალხურ მომღერალთა გუნდში ჩარიცხა. ეს გუნდი გამოდიოდა აეჭალის აუდიტორიაში, ნაძალადევსა და სხვა უბნებში. ნიჭიერი ლოტბარის ხელმძღვანელობით სანდრო ინაშვილმა აქ შესანიშნავი ქართლ-კახური სიმღერები შეისწავლა.

სანდრო კავსაძე სპეტაკად იცავდა ხალხურ კილოს. მისი გუნდის რეპერტუარი იშვიათი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით ხასიათდებოდა: „შვილნი გურჯანელნი“, „თეთრი ბატი“, „ზამთარი“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „სუფრული“ და სხვა სიმღერები ქართული ხალხური მუსიკის წარმტაცი შიდიადით ეღერდნენ მისი გუნდის შესრულებით. აქწერილით გაისმოდა სანდრო ინაშვილის მშვენიერი ხმაც. სანდრო კავსაძეს ხმის დაყენება არ შეეძლო, მაგრამ ხალხური სიმღერის კილოს კი შეურყვნელად გადასცემდა გუნდის წევრებს. ამ გარემოებამ დიდი სამსახური გაუწია შემდეგ სანდრო ინაშვილს, როგორც პირველი ქართული ოპერების შემსრულებელსა და ეროვნული რომანსის ოსტატს.

სანდრო ინაშვილმა ბოლომდე შეინახა თავისი პირველი მასწავლებლის მხურვალე სიყვარული. ს. კავსაძის გუნდში ერთდროს ვანო სარაჯიშვილიც მონაწილეობდა. ვანოსა და სანდროს ყოველი შეხვედრა თავიანთ ძველ ოსტატთან მდიდარი-

მოგონებებითა და შესანიშნავი ხალხური სიმღერების თქმით
თავდებოდა.

* *
*

სხვადასხვა სპექტაკლებზე ხშირად დასწრებამ თავისი გავ-
ლენა იქონია. სანდრო ინაშვილს ბაქმეობაშივე აღეძრა
სცენისადმი მიდრეკილება. ერთხელ, 7-8 წლის სანდრო დე-
დამ ოპერეტა „ჯოჯოხეთურ სიყვარულზე“ წაიყვანა. მოქმე-
დების მიხედვით, ერთ-ერთ აქტში კუბოს თავზე ცეცხლის
ენები დაჰქროდნენ. დაზაფრულმა ბავშვმა დედის კალთაში
ჩარგო თავი, შემდეგ კი იქვე ჩაეძინა. აქედან მოკიდებული
პატარა სანდროს მოსვენებას არ აძლევდა მსახიობად გახდო-
მის ფიქრი.

ცოტა ხნის შემდეგ თავის მეგობრებთან ერთად სანდრომ
საბავშვო წარმოდგენების გამართვა დაიწყო. დამსწრეებს
თითო კაპიკს ახდევინებდნენ. 11 წლის სანდრომ საბავშვო
გუნდიც ჩამოაყალიბა. საშობაო და ახალი წლის დღესასწაუ-
ლებში ნაძვის ხის წინ პატარა სანდრო თავის ამ გუნდს ლოტ-
ბარობდა. მახლობელი ეზოების ბავშვები აქ „გაფრინდი, შა-
ვო მერცხალოსაც“ კი ასრულებდნენ.

1900-იან წლებში ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელო-
ბით ავჭალის აუდიტორიაში მოყვარულთა საოპერო სპექ-
ტაკლები იმართებოდა. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ:
კ. ცხომელიძე, ნ. ელიოზიშვილი, ალასოვი და სხვა მომღერ-
ლები. პოლიკარპე ფალიაშვილის დირიჟორობით იდგმებოდა
„სევილიელი დალაქი“, „რიგოლეტო“, „ალი“, „ფაუსტი“,
„კარმენი“ და სხვა ოპერები. აქვე მუშაობდა დრამატული
დასიკ. წარმოდგენები ავჭალის აუდიტორიიდან რკინიგზის
მთავარ სახელოსნოშიაც გადაჰქონდათ. აქ საგანგებოდ იკვ-
რებოდა აფიშები მუშებისათვის.

პაწია სანდრო აჩრდილივით დასდევდა ამ დასს. მიუხედა-
ვად შრობლების დარიგებისა—დილით ადრე უნდა ადგე და

სკოლაში წახვიდეთ, იგი გამობრძმედილი თეატრალიკით უკლებლივ ესწრებოდა ყველა სპექტაკლს.

იმხანად მთავარ სახელოსნოში მუშაობდა ინჟინერი დავიდოვსკი, რომელიც თეატრის დიდი მოყვარული იყო და შემდეგ რეჟისორობასაც მიჰყო ხელი, — თბილისში საგასტროლოდ დასი ჩამოიყვანა. და აი, ამ დავიდოვსკიმ, მთავარ სახელოსნოში მუშაობის დროს, ადვილობრივ მუშათა ბავშვებისაგან პატარა დასი შეადგინა, რომელშიც ყველაზე უფროსი 14 წლის სანდრო ინაშვილი იყო. დაიდგა გოგოლის პიესა „ქარწინება“. სანდრომ აქ პოდკოლესინის როლი შეასრულა. დებიუტი ბრწყინვალედ ჩატარდა. სანდრომ მტკიცედ გადასწყვიტა მსახიობად განდგომა.

* * *

რკინიგზის სკოლის დამთავრების შემდეგ სანდრო ინაშვილმა ვაჟთა მეორე გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. 1905 წლის მღელვარე ამბებს იგი გათვითცნობიერებულ ჭაბუკად შეეგება. თავის ამხანაგებთან ერთად ხარბად კითხულობდა რევოლუციურ ლიტერატურას, ესწრებოდა მუშათა მიტინგებს. ერთ-ერთი მიტინგის დარბევის დროს კაზაკებმა ისე სცემეს, რომ ლოგინად ჩაეარდა. ამის შემდეგ უფრო მეტად შეეზიზღა მეფის რეჟიმს. რეაქციის გააფთრებელი ტერორის დროს დიდუბის მუშათა უბანს ტყვია დაუშინეს. ინაშვილების ოჯახი ბეწვზე გადაარჩა; ნახევრად შიშველნი გადაიხვეწნენ სხვა უბანში. ამ დღეებში გაციებამ იმსხვერპლა სანდროს მამა. ექვსი სულისაგან შემდგარი ოჯახის პატრონობა უფროს ვაჟს — სანდროს დაეკისრა. ბინა გამოიცვალეს, ერთ პაწია ოთახში მოთავსდნენ. სანდრო იძულებული გახდა ემუშავა. იგი ჯანიანი ჭაბუკი იყო, მაგრამ მუშაობისა და უფროს კლასებში მეცადინეობის შეთავსება თანდათან აუტანელი გახდა. ოჯახი გაჭირვების მარწუხში მოემწყვდა.

1907 წელს სანდრო გიმნაზიიდან გამოვიდა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოს სამკედლო საამქროს მუშათა რიგებში

წადგა. რვა თვეს უროს დამკვრელად იმუშავა, შემდეგ ამავე საამქროს ბუხჰალტერიაში გადაიყვანეს მოანგარიშედ. რკინიგზის მთავარ სახელოსნოში სანდრო ინაშვილმა 1911 წლამდე დაჰყო და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ძველი ამხანაგები ახლაც სიამოვნებით იგონებენ მასთან ერთად გატარებულ წლებს.

* *
*

განსვენებული კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე (1890-1933) და სანდრო ინაშვილი სიყრმითვე ერთად აღიზარდნენ. ნიჭიერი ვიქტორ დოლიძე საუცხოოდ უკრავდა მანდოლინას, სანდრო ინაშვილი კი გიტარის დაკვირის ოსტატი იყო. ხშირად იკრიბებოდნენ და საოჯახო კონცერტებს მართავდნენ. მათი ორგვლივ თავს იყრიდა ახალგაზრდობა. გაჩნდნენ მანდოლინის, მანდოლის, გიტარის, ბალალაიკისა და სხვა საკრავთა დამკვრელები. მალე საკმაოდ მოზრდილი ორკესტრი ჩამოყალიბდა. გაჩაღდა სერიოზული მეცადინეობა. მცირე ხნის განმავლობაში ეს ორკესტრი იმდენად გაიწვრთნა, რომ საჯაროდ დაიწყო გამოსვლა სხვადასხვა კლუბებსა და საღამოებში. სრულდებოდა ნაწყვეტები პოპულარულ სამუსიკო ნაწარმოებთაგან: ა. ყარაშვილის „სამშობლო“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და სხვა ქართული ხალხური კილოები. ახალგაზრდა მუსიკოსთა ეს ორიგინალური ორკესტრი ხალხში წარმატებით სარგებლობდა.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად კარგად უკრავდა ვ. დოლიძე მანდოლინას, საკმაოა აღვნიშნოთ, რომ 1910 წლის 17 ოქტომბერს თბილისის სახალხო სახლში გამართულ მანდოლინისტთა კონკურსში მან პირველობა მოიპოვა და ოქროს მედლით დააჯილდოეს.

ვიქტორ დოლიძე სანდრო ინაშვილის საუცხოო მეგობარი იყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სანდროს რჩევით დაამუშავა და შეიტანა მან „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ თემა თავის სიმფონია „ივერიადაში“.

14 წლის ასაკამდე სანდრო ინაშვილი საეკლესიო გუნდში გალობდა და ამავე დროს ს. კავსაძის ხალხურ მომღერალთა გუნდშიაც მონაწილეობდა. შემდეგ გარდატეხა მოხდა და სრულებით დაჰკარგა ხმა. ¹⁾ ზელოვნებით მოხიბლული ჭაბუკი ანაზღუედ აღ დასევდიანდა.

სახალხო სახლის გუნდში. ნიკო სულხანიშვილთან

სანდრო ინაშვილი კარგა ხანს დარჩა უხმოდ. ერთხელ როგორღაც სცადა შინ სიმღერა. ხმა თავისუფლად გაიშალა. სიხარულით ფრთები აესხა. მიყუჩებული წყურვილები შადრევანივით ამოსკდნენ გულში. ურუანტელმა ძარღვები შემოიქროლა და თვალში ალტაცების ცრემლად ჩაგორდა. დიდხანს იმღერა, მაგრამ მაინც ვერ გამოიცნო, რა ღირსების ხმით დააჯილდოვა კვლავ ბუნებამ. მალე გამოირკვა, რომ წყრიალა დისკანტის ნაცვლად მას მშვენიერი ბარიტონი განუვითარდა.

მომღერალ კ. ცხომელიძეს მაშინ საკუთარი გუნდი ჰყავდა ჩამოყალიბებული და სანდროც აქ ჩარიცხა. გუნდი გამოდიოდა ყოფილი არტისტული საზოგადოების თეატრში, ქართულ კლუბში, ავჭალის აუდიტორიაში, ნაძალადევში და სხვა უბნებში. სრულდებოდა საგუნდო წომრები სხვადასხვა ოპერებიდან და ოპერეტებიდან, აგრეთვე—ქართული ხალხური სიმღერებიც. კავსაძის გუნდში მონაწილეობის შემდეგ ეს ახალი ნაბიჯი იყო სანდრო ინაშვილის შემდგომ მუსიკალურ განვითარებაში. ნიჭიერი ჭაბუკი ცხოველი ინტერესით დაეწაფა საოპერო საგუნდო რეპერტუარის შესწავლას და მცირე ხნის განმავლობაში კ. ცხომელიძის გუნდში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

იმხანად დამთავრდა ზუბალაშვილების სახალხო სახლის (ახლანდელი მარჯანიშვილის სახელ. თეატრის) მშენებლობა, რაც 1901 წლიდან სწარმოებდა.

¹⁾ დამახასიათებელი მოვლენა—ე. წ. მუტაციური პერიოდი, როდესაც ხმა ბავშვური ასაკის შემდეგ საბოლოო ფორმით ყალიბდება.

სახალხო თეატრმა „აეჭალის აუდიტორიიდან“ აიდგა ფეხი. 1892 წელს თბილისში ხოლერის ეპიდემია მძვინვარებდა. ამ შენობაში მაშინ ქალაქის თვითმმართველობამ ზღმისაწვდომი „საჩაიე“ გამართა ღარიბი მოსახლეობისათვის. აეჭალის ქუჩის მიდამოებში ჩამოყალიბებულმა „სცენის მოყვარე ზელოსანთა ამხანაგობამ“ 1893 წელს გამოითხოვა ეს შენობა ქალაქისაგან და შიგ საკუთარი შრომით პატარა სცენა გა-მართა. იმავე წელს დაიდგა აქ პირველი წარმოდგენა.¹ „აე-ჭალის აუდიტორიამ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბი-ლისის მუშათა წრეების გათვითცნობიერების საქმეში რევო-ლუციური აღმავლობის გარიჟრაჟზე.

სახალხო თეატრის შემდეგი განვითარების ეტაპს ზუბალა-შვილების სახალხო სახლის მოღვაწეობა წარმოადგენს. 1907 - 08 წლებში ეს შენობა ნაწილობრივ უკვე მზად იყო, და შიგ თეატრალური მუშაობაც მიმდინარეობდა. 1909 წლის აპრილში სახლი ოფიციალურად გაიხსნა და პირველი სპექტაკლიც გაიმართა. იმავე წლის ოქტომბერში გაფორმე-ბულ იქნა „სახალხო მუსიკალური საზოგადოება“, და 1910 წლის 7 იანვარს თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა კიდე-ვაც მისი წესდება.

ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა მუსიკალური კულტუ-რის გავრცელებას მოსახლეობის ფართო მასებში. აქ იმარ-თებოდა სხვადასხვა საღამო-კონცერტები, იდგმებოდა ოპერე-ბი და ოპერეტები ქართულსა და რუსულ ენებზე. დასში შედიოდნენ: სოპრანოები—მილიჩი, გუსაკი; ტენორები — კოვალენსკი, ახმატოვი, ნაფტი, კურბატოვი; ბარიტონები— ბროჯი (შემდეგ თბილისის კონსერვატორიის პროფესორი), ცხომელიძე; ბანი—აღასოვი და სხვანი. გუნდში ირიცხებოდა დაახლოებით 30 კაცი, ამდენივე იყო ორკესტრშიაც. ღირიჟო-რობდა პოლიკარზე ფალაშვილი.

¹) იხ. ი. გრიშაშვილის „ნიკო გოცირიძე“, გვ. 18-23 (1934 წ. გამო-ცემა).

საოპერო სპექტაკლებთან ერთად აქ ქართული დრამატიული წრის წარმოდგენებიც იმართებოდა. სხვა თეატრებთან შედარებით ბილეთები გაცილებით იაფი ღირდა, დარბაზი მუდამ სავსე იყო.

საოპერო საგუნდო რეპერტუარში საკმაოდ გაწვრთნილ სანდროს სახალხო სახლის მუსიკალურ წრეში შესვლის სურვილი აღეძრა.

კ. ცხომელიძის შუამდგომლობით 1908 წელს შშვენიერი ხმის მქონე სანდრო ინაშვილი ამ გუნდში ჩარიცხეს.

* *

ქართული საგუნდო ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატის ნიკო სულხანიშვილის გუნდი დიდი მხატვრული წარმატებით გამოდიოდა სახალხო სახლის სცენაზედაც. 1913 წლის 2 ივნისს აქვე გაიმართა ნ. სულხანიშვილის „სალიტერატურო-სამუსიკო დილა“ სამ განყოფილებად, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი „სახალხო გაზეთში“ (№ 911) სწერდა:

„... უეჭველია, ბ. სულხანიშვილის კომპოზიცია ფრიად სასიამოვნო მოვლენაა. ჩვენ სწორედ ასეთი ხასიათის ნაწარმოებები გვესაჭიროება. ნაწარმოებნი დაწერილია ფრიად ნიჭიერად. რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა — ესაა ორიგინალობა და ხალხური კილოების საუცხოოდ დაცვა.“

მუსიკის ხალხური ხასიათისათვის ბ-ნ სულხანიშვილს დიდი ყურადღება მიუქცევია, რისთვისაც მას საზოგადოება ძლიერ უნდა აფასებდეს. ხოროები მწყობრად არის შედგენილი და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს...“

ერთ დროს ნიკო სულხანიშვილი შალიაპინთან ერთად მეცადინეობდა ჰმის დასაყენებლად პროფ. უსატოვთან. ნიკოს შესანიშნავი ტემბრის ბარიტონი ჰქონდა, და უსატოვი მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდა. ცხოვრების სიღუბეშივე წაარჯვია

ამ მაღალნიჭიერ ადამიანს შესაფერი მუსიკალური განათლების მიღების საშუალება.

ნიკო სულხანიშვილი დიდი გემოვნებითა და გულისყურით ახდენდა თავისი გუნდის წევრების შერჩევას. მის ფაქიზ ალლოს არ გამოპარვია სანდრო ინაშვილის მშვენიერი ხმა და მუსიკალობა. პოლიკარბე ფალიაშვილს სთხოვა 'სანდროს' მიყვანა. თავისი გუნდის რეპეტიციებს ნიკო ფილარმონიული საზოგადოების სკოლის შენობაში ატარებდა ყოფ. ყორღანოვის ქუჩაზე.

კავსადის გუნდში დახელოვნებულ სანდროს შესანიშნავად ჰქონდა შეთვისებული ქართული ხალხური სიმღერის ბუნება, რაც პირველ რეპეტიციაზევე აშკარა გახდა ნიკო სულხანიშვილისათვის.

სანდრო ინაშვილის ბარიტონი მთელს გუნდში გამოირჩეოდა თავისი ლამაზი ტემბრითა და მკიდრო ბგერით. ნიკო სულხანიშვილმა სანდრო თავისი შესანიშნავი საგუნდო კომპოზიციების სოლისტად აირჩია.

ნ. სულხანიშვილის რამდენიმე კონცერტში სანდრო დიდი წარმატებით გამოვიდა და დამსწრე საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა.

კოვალენსკისა და რიადნოვთან. პირველი სასცენო ნაბიჯები

სახალხო სახლის გუნდში ერთი წლის განმავლობაში სიმღერის შემდეგ, სანდრო ინაშვილი თვალსაჩინოდ დაწინაურდა. თავისი მუსიკალობის წყალობით იგი იოლად აღწევდა სხვადასხვა პატარა პარტიების შესწავლასაც. ხმაც თანდათან უფრო თავისუფლად ეღერდა, მომეტებულად სასიამო სასმენი ხდებოდა და ძლიერდებოდა. ახალგაზრდა მომღერალს მალე მიაქციეს ყურადღება. 1909 წლის სეზონში ერთხელ ვაგნერის პატარა პარტია მიანდევს ოპერა „ფაუსტში“. აქ სულ ორიოდე აიტყვია სამღერი, მაგრამ დებიუტანტმა ეს ისეთი ოსტატობითა და გემოვნებით შეასრულა, რომ უდავო მხატ-

ვრული შთაბეჭდილება შექმნა. გახარებული სანდრო კული-
სებში ბოლთასა სცემდა, გრიმს აღარ იხსნიდა და სარკეში
თავის თავს ელოლიავებოდა. ამ დროს მომღერალი კოვალენ-
სკი მიუახლოვდა და ანაზღეულად შეეკითხა:

- სად სწავლობდით თქვენ?
- გიმნაზიაში...
- არა, სიმღერას სად სწავლობდით?
- სიმღერას... არსად.

— ოპო, ბუნებრივი სკოლა გქონიათ. თქვენ საკმაოდ კარ-
გად დაყენებული ხმა გაქვთ. მობრძანდით ჩემთან, აუცალებ-
ლად მობრძანდით, შინ!

სანდრო მივიდა, მაგრამ მომეტებული მღელვარებით იმ
დღეს ხმა ვეღარ ამოიღო. კოვალენსკიმ დაუყვავა, ალერსით
გაისტუმრა და მეორედ მისვლა სთხოვა. რამდენიმე დღის
შემდეგ სანდრომ ძალ-ღონე მოიკრიბა და კვლავ ეწვია. გა-
მოცდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამჯერად სანდ-
რომ რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა და სავსებით ფაშა-
აშქარავა თავისი მუსიკალობა და მდიდარი ვოკალური მონა-
ცემები.

ლირიკულ-დრამატიული ტენორი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე
კოვალენსკი მშვენიერი ვოკალური სკოლისა და მდიდარი გა-
მოცდილების მქონე მომღერალი იყო. ამ ტანმორჩილ, თავგრ-
ძელა კაცს, ერთის შეხედვით, თითქოს არავითარი არტის-
ტული კარიერის შექმნა არ შეეძლო, მაგრამ ეს ასე როდი
იყო. სიჭაბუკეში კოვალენსკი წარმატებით მღეროდა მოსკო-
ვისა და სხვა დიდი ქალაქების საოპერო თეატრებში. იგი ზოგ-
ჯერ ღიმილით ათვალისწინებდა ხოლმე მაშინდელ რეცენ-
ზიებს, რომლებიც სქელ ალბომში ჰქონდა კოხტად ჩაწებ-
ებული.

თბილისის სახალხო სახლის სცენაზე ნ. დ. კოვალენსკი ტე-
ნორის საპასუხისმგებლო პარტიებს ასრულებდა „ალში“,
„სოფლის პატიოსნებაში“ და მთელ რიგ სხვა ოპერებში, შინ
კი მოწაფეებს ამეცადინებდა. კოვალენსკი თვეში 50 მანეთს

იღებდა, რაც მაშინდელ პირობებში ძნელი გადასახდელი იყო ხელმოკლე ადამიანისათვის.

დიდად ნასიამოვნებმა მაესტრომ სანდროს ბეჭებზე ხელი დაჰკრა და სამეცადინო დრო დაუნიშნა.

— მე ვერ ვივლი, ბატონო, თქვენთან. დიდი ოჯახი მაწევს... შეძლება არა მაქვს,—დარცხვენით მიუგო სანდრომ.

— თქვენგან ფულს არ ავიღებ, ჭაბუკო. დანიშნულ დროზე აუცილებლად გელით მუდამ, გესმით?!

აწითლებული სანდრო სწრაფი ნაბიჯით გავიდა ქუჩაში.

ეს ერთი საკითხი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მთავარი დაბრკოლება მაინც წინ ელობებოდა. სახალხო სახლის გუნდში სანდრო მცირე ხელფასს იღებდა, მთავარ სახელოსნოში მუშაობით არჩენდა უმამოდ დარჩენილ ოჯახს. ხშირად აქ საღამოობითაც მუშაობდა, რომ ზედმეტი კაპიკები აეღო. გუნდში სიმღერა, მეცადინეობა, მუშაობა—ყოველივე ეს არც ისე იოლი იყო. ამ მძიმე მდგომარეობას სანდრომ მთავარ სახელოსნოში მომუშავე ამხანაგების წყალობით გაართვა თავი. ისინი ამაყობდნენ სანდროს ნიჭით და ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ მას, რომ არსად ხელი არ შეშლოდა — ჩვენი წრიდანაც ერთი თვალსაჩინო მომღერალი გამოვიდესო.

სანდრო გაფაციცებით შეუდგებოდა მუშაობას, მაგრამ ძალად გაისტუმრებდნენ სახელოსნოდან და პირველად მის საქმეს მიესჯოდნენ, რომ ამხანაგს უფროსების რისხვა არ დასტყდომოდა. სანდროს წასვლა შეუძნეველი რჩებოდა. მისი მოვალეობა მუდამ პირნათლად იყო შესრულებული, სამუშაო მაგიდა კი აულაგებელი... მაშასადამე, კაციც თავის ადგილზე იყო!

ოფლგადამსკდარი სანდრო შურდულივით დაჰქროდა: სახელოსნოდან — შინ, შინიდან — კოვალენსკისას, კოვალენსკიდან—სახალხო სახლში.

გარდა იმისა, რომ სანდროს ნ. დ. კოვალენსკი არაფერს არ ახდევინებდა, ხშირად ასაჩუქრებდა სხვადასხვა ნოტებითაც.

კოვალენსკის ჰყავდა ფორტეპიანოს დამკვრელი და, რომელიც აგრეთვე უსასყიდლოდ ამეცადინებდა სანდროს. ყოველივე ამას ახალგაზრდა მომღერლის შესანიშნავი ხმა და იშვიათი ბუნებრივი მუსიკალური ნიჭი იწვევდა.

ეს მეცადინეობა შესწყდა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, კოვალენსკის რუსეთში გამგზავრების გამო.

ნ. დ. კოვალენსკი არის სანდრო ინაშვილის პირველი პროფესიული მასწავლებელი, რომელმაც გადასცა მას თანამედროვე ვოკალური კულტურის ძირითადი ჩვევები.

ვაგნერის პარტიაში გამოსვლის შემდეგ სანდრო ინაშვილს მორალესის პარტია მიანდევს ოპერა „კარმენში“. მან აქ უფრო მეტი წარმატება გამოიჩინა. კოვალენსკისთან მეცადინეობის შედეგად სანდრო იმდენად დახელოვნდა, რომ მის სახალხო სახლის საოპერო დასში მეორე პარტიები მისცეს. ამის შემდეგ სანდრომ სხვადასხვა საღამო-კონცერტებშიაც დაიწყო გამოსვლა.

* *
*

სანდრო ინაშვილის მეორე და ძირითადი მასწავლებელი იყო პროფესორი ევგენი რიადნოვი.

ჩიმღერის დიდებული იტალიელი ოსტატის — ევერარდის მოწაფე ე. კ. რიადნოვი თავის დროზე სახელმოხვეჭილი მომღერალი (ტენორი) იყო. იგი წარმატებით გამოდიოდა თბილისისა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქების საოპერო თეატრების სცენაზე და ამავე დროს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

მის შესანიშნავ აღრინდელ მოწაფეთა შორის აღსანიშნავია განთქმული რუსი ბარიტონი იაკოვლევნი, რომელიც თავის მასწავლებელ რიადნოვთან ერთად მოწვეულ იქნა თბილისის ოპერის დასში. 1886 წლის 5 ივნისს იაკოვლევმა პირველად თავის სიცოცხლეში იმღერა აქ ონეგინის პარტია. ხუთი სეზონის განმავლობაში იაკოვლევნი თბილისის ოპერის წამყვანი ბარიტონი იყო. ამ ხნის მანძილზე რიადნოვის ხელმძ-

ღვანელობით მან აქ 15 პარტია შეისწავლა და შეასრულა. შემდეგ იაკოვლევმა პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის განთქმული სოლისტი გახდა და შევიდა რუსული თეატრის მატრიანში, როგორც ონეგინის პარტიის პირველი შესანიშნავი შემსრულებელი და მისი სცენიური სახის შემქმნელი.¹

1895 წელს ე. კ. რიადნოვი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მიიწვიეს სიმღერის მასწავლებლად, პროფ. კომისარევესკის მაგივრად. იმხანად მასთან სწავლობდა სიმღერას ია კარგარეთელი. რამდენიმე ხნის შემდეგ რიადნოვი თბილისიდან გაემგზავრა. 1906 წელს დონის როსტოვიდან იგი პეტერბურგში გადავიდა და აქ საოპერო სტუდია დააარსა, საიმპერატორო თეატრის ახლო.

ეს სტუდია მალე გადაიქცა რუსეთის სატახტო ქალაქის მოწოდებულთა თავშესაყარ ცენტრად. რიადნოვთან დახვლოვნებისათვის ხშირად ჰგზავნიდა მომღერლებს საიმპერატორო თეატრის დირიჟორი, კომპოზიტორი ნაპრავენკი. სტუდიის ხშირი სტუმარი იყო პეტერბურგში მყოფი ვანო სარაჯიშვილიც. რომელსაც პროფ. რიადნოვი განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა, როგორც მომაჯადოებელი ხმითა და იწვიათი მუსიკალობით დაჯილდოებულ მომღერალს.

1910 წელს პროფ. რიადნოვი კვლავ თბილისში დაბრუნდა, აქ დააარსა სტუდია და განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა. ქართველთა შორის მისი მოწაფეებია: ო. ბახუტაშვილი-შულგინა, ს. ინაშვილი, გ. ვენახე, ნ. ქუმსიაშვილი და სხვანი. რიადნოვის მოწაფეები იყვნენ: თავის დროზე განთქმული ბანი სოსო ტომაშვილი (დღით ყარაშვილი, ვანო სარაჯიშვილის ახლო მეგობარი), რომელიც ამერიკის შეერთებულ შტა-

1) ბ. ი. ჩაიკოვსკის შესანიშნავი ოპერები რუსულ სცენაზე დადგმის შემდეგ მკორე, მესამე წელიწადს იდგმებოდა თბილისში. „ვეგენი ონეგინი“ დაიდგა მოსკოვის დიდ თეატრში 1881 წ. 23 იანვ., თბილისში—1883 წ. 8 თებ. შემდეგ კი—პეტერბურგში. „პიკის ქალი“ დაიდგა პიოველად პეტერბურგში 1690 წ. 7 დეკემბ., თბილისში—1893 წ. 28 დეკ. „მაზეპა“ დაიდგა მოსკოვში 1884 წლის თებერვალში. თბილისში კი—1885/86 წლ. სეზონში.



პროფესორი ე. კ. რიანოვი

(სურათის მეორე გვერდზე წარწერილია: „ძვირფას სანდროს კეთილ-
სახსოვრად, იტალიაში წარმატების სურვილით.

ე. რიანოვისაგან

1923 წ. 23 მაისი“).

ტებში ქართულად ასრულებდა ნაწყვეტებს ოპერა „დემონი-
დან“; ნინო კოვალჯი—რუქაიას პარტიის შემსრულებელი
ოპ. „ლალატში“ ვანო სარაჯიშვილთან (ერეკლე) ერთად; კო-

ლოტოვა—ეთერის პარტიის პირველი შემსრულებელი 1913 წელს „აბესალომის“ ნაწყვეტების წარმოდგენის დროს, და მრავალი სხვანი.

ე. კ. რიადნოვმა ათობით ცნობილი მომღერალი გამოზარდა და მისცა ჩვენი თეატრის სცენას. მსცოვანი ოსტატი გარდაიცვალა თბილისში 1925 წელს.

* * *

ერთხელ, 1910 წელს „ქალთა უმაღლესმა კურსებმა“ (გრიბოედოვის ქუჩაზე) საქველმოქმედო საღამო გამართა. საღამოს მესვეურთა თხოვნით სანდრო ინაშვილმაც მიიღო მონაწილეობა და დიდი წარმატებით შეასრულა აქ სხვადასხვა ნაწარმოებები. იმ დროს სანდრო არსად არ მეცადინებდა, რადგან ნ. დ. კოვალენსკი უკვე წასული იყო თბილისიდან. პროფ. რიადნოვთან მოხვედრა კი ძნელი იყო. განთქმულ პედაგოგთან მეცადინეობას სანდროს დაუინებით ურჩევდა მაშინ ფორტეპიანოს დამკვრელი მარგარიტა გიორგისასული ანდრონიკაშვილი, მაგრამ ნივთიერად ხელმოკლე სანდრო ნიადაგ უკან იხევდა.

საქველმოქმედო კონცერტს პროფ. რიადნოვიც ესწრებოდა. მას ისე მოეწონა ახალგაზრდა სანდრო, რომ იქვე ითხოვა მისი გაცნობა. მეორე დღესვე დაიბარა და გამოსცადა, სიამოვნებით ჩარიცხა თავის სტუდიაში. მაშინ რიადნოვი სამუსიკო სასწავლებელშიაც ასწავლიდა. რადგან წელს იქ თავისუფალი ადგილი არა მაქვს, ჩემთან ივლი შინ, გაისად კი სასწავლებელში გადაგიყვანო.

სანდრომ გასამრჯელოზე ჩამოაგდო ლაპარაკი. რიადნოვს ამკარა წყენა დაეტყო.

— მე ხომ კრინტიც არ დამიძრავს ფულზე?

— დიახ, მაგრამ... რა ვალდებულნი ბრძანდებით,—ძლივს მიუგო დარცხვენელმა სანდრომ.

რიადნოვმა თვალი გაუხსწორა და ახლა თითქმის ბრძანების კილოთი უთხრა:

— მოკლედ, თქვენ ივლით ჩემთან!
ამით გათავდა ყველაფერი.

* *
*

სანდრო ინაშვილის მეცადინეობა პროფ. რიადნოვის სტუ-
დიაში წარმატებით მიმდინარეობდა. მკაცრი მუსიკალური
გემოვნებით აღქურვილი პედაგოგი დიდ იმედებს ამყარებდა
თავის მოწაფეზე და კმაყოფილი იყო მისი თვალსაჩინო წარ-
მატებებით. ერთი რამ მაინც სწყინდა — ვოკალური განათ-
ლების დასრულებამდე ნაადრევად მიაჩნდა მისი გაშვება
სცენაზე, მაგრამ იძულებული იყო შერიგებოდა ამ გარემოე-
ზას საპატიო მიზეზის გამო: მეცადინეობითა და სახალხო სახ-
ლის დასში მუშაობით გადატვირთული სანდრო იძულებული
გახდა 1911 წელს თავი დაენებებინა მთავარ სახელოსნოში
სამსახურისათვის და ახლა სხვა საარსებო წყარო არ გააჩნდა.

თავის სტუდიაში მეცადინეობის შემდეგ პროფ. რიადნოვმა
სანდრო სამუსიკო სასწავლებლის მეორე კურსზე მოაწყო.

იმხანად, ერთმა შეძლებულმა მანდილოსანმა ქართველ
ახალგაზრდა მომღერალთა კერძო კონკურსი გამოაცხადა და
გამარჯვებულთ სტიპენდიის დანიშვნა აღუთქვა. პროფესორ-
მა რიადნოვმა ამ კონკურსზე სანდროც გაგზავნა. თორმეტი
კაცი შეიკრიბა. კონკურსში გამარჯვებულთა შორის სანდ-
რომაც საუკეთესო შედეგებს მიაღწია, მაგრამ სტიპენდია არ
დაენიშნა... რადგან პატივცემულ მეცენატს მოეჩვენა, რომ
სანდრო სახის იერით, ქართველს არ ჰგავდა.

რიადნოვს ელდა ეცა; ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ ეს
აღამიანი მაინც ვერ დააჩუმუნა, რომ სანდრო ინაშვილი ქარ-
თველი იყო. ამ ამბავმა სანდრო მეტისმეტად აღაშფოთა, მაგ-
რამ რიადნოვმა არ მისცა მას დახმარების თხოვნის ნება და
სამუსიკო სასწავლებლის დირექტორ ნიკოლაევს განუცხადა,
რომ თავის ნიჭიერ მოწაფეს თვითონვე უნიშნავს სტიპენ-
დიას.

საქმე მოგვარდა. სანდრომ სამუსიკო სასწავლებელში, პრაფ. რიადნოვის კლასში განაგრძო მეცადინეობა.

* *
*

სანდრო ინაშვილი, როგორც მსახიობი, თბილისს გარეთ პირველად ელისაბედ ჩერქეზიშვილმა და ვასო აბაშიძემ გაიყვანეს.

ქართული სცენის ქურუმმა ვასო აბაშიძემ სანდროს ამ ფუნქსიონს ადგმას თავისი მაკვიტი ენის ეკალი დაანათლა. საცბილო კურიოზები თითქოს თავისით ებმებოდნენ ვასოს ფანტასტიკური ბადის ქსელში.

აი, ერთი ჩუქურთმაც:

ერთხელ ფოთის ადგილობრივმა დრამატიულმა წრემ დიდი საქველმოქმედო საღამოს გამართვა განიზრახა. თბილისიდან ვასო აბაშიძე და ელისაბედ ჩერქეზიშვილი მიიწვიეს. მათ სანდრო ინაშვილიც თან წაიყვანეს.

საღამოს ერთ-ერთმა მესვეურმა, რომელიღაც სოკრატმა, ჩამოსული მსახიობები სასტუმროში მოათავსა. 8 საათზე მზად დამხვდით გრიმით, ეტლს მოგართმევთ და პირდაპირ წარმოდგენაზე წაგიყვანთო.

ზაფხულია. ტროპიკული ბუდი ტრიალებს. მწერები გაშმაგებით იკბინებიან. სასტუმროს ქვემო სართულში სასადილოა. ზემოდან, შიგ დერეფნიდანვე ჩადის იქ ვიწრო კიბე. სამზარეულოდან ოხშივარი მოედინება და შას ზუზუნით მოკყვება მწერების ახალი ტალღა. ელისაბედ ჩერქეზიშვილი პარაოთი იბრუნებს სულს. ვასო ბოლთასა სცემს და ოხუნჯობს, აღმაცერად უცქერის სანდროს.

— Ну что, молокоос, дагცხა?

ხელდაქდობილი სანდრო კუთხეში ზის და იღიმება. იგი გაფაციცებით ადევნებს თვალს ქართული სცენის შესანიშნავი ოსტატის ყოველ მიმოხრას.

8 საათია. ელისაბედ ჩერქეზიშვილმა და ვასო აბაშიძემ დღეს განთქმული „ვაი ვუის“ კუპლეტები უნდა შეასრულონ.

ვასომ თავისი ყურთმაჯიანი ტანსაცმელი ჩაიცვა, გრიმი ვაკეთა, ვეებერთელა წიწაკისებური ფაფახი დაიხურა. გულმოდგინედ მოირთო ელისაბედიც.

სხედან, ელიან. 9, 10, 11 საათია. არავენ არ სჩამს. ვასომ წურწურით ჩამოსდის ოფლი. ბრაზობს.

— გაჩუმდი, ბიჭო, სირცხვილია! — ამშვიდებს ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

— ხმა გაკმინდე, რის სირცხვილია! — უფრო ხმამალლა გაპყვირის ვასო.

12 საათზე შემოალო სოკრატმა კარი.

— ეგ არის თქვენი რვა საათი?

— ბოდიში, ბოდიში... წარმოდგენა გვიან დაიწყო. ხან პატარებელი იგვიანებს, ხან რაღაც ჯანდაბაა, ჩემო ბატონო.

— ჯანდაბა თქვენს თავს! წინდაწინ გეთქვით, — ვის უნახავს ოთხი საათი გრიმში ყოფნა ამ თაკარაში სული გაგვძვრა. Мы что здесь, ваши пешики? — იყვირა ვასომ.

— პეშკომ რავა გეკადრებათ, ბატონო, ფაიტონი მყავს აკერ, ფაიტონი!

— ვაჰ, სოკრატი კი არა, დურაკი უნდა გერქვას შენ. სოკრატი ფილოსოფოსი იყო, კაცი იყო. ვინ გაათუქა შენთვის ეს სახელი, იმ სულწაწყმედილმა!

ბრაზმორეულნი წავიდნენ და უფრო ცხარე „ვაი ვუით“ დაიტირეს. ფოთის მაშინდელი ავანჩავენი.

იმ დღეს პირველად გაიცნო აქაურმა საზოგადოებამ ახალგაზრდა მომღერალი სანდრო ინაშვილი, რომელმაც დიდი მხატვრული წარმატებით შეასრულა სხვადასხვა ქართული რომანსები და სიმღერები.

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა ვასო აბაშიძემ, და სანდროც საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი გახდა. ვასო აბაშიძეს ალალი გრძნობით უყვარდა სანდრო. და ზოგჯერ, მეგობრული შეხვედრის შემდეგ, როდესაც მოხუც ვასოს კიბეზე ასვლა გაუჭირდებოდა...

— Тащи, молокосо!

ეტყოდა ხოლმე სანდროს და ბებერი ორბივით შიანდობდა თავის ჩამოყრილ მხრებს.

რამდენი სითბო, სილამაზე და სისპეტაკე იმალებოდა ამ სიტყვებში, რამდენი მშობლიური ალერსი ეღერდა!

* * *

ფოთში ჩატარებული კონცერტი ბედნიერი დასაწყისი აღმოჩნდა. ამის შემდეგ სანდრომ მთელი საკონცერტო ტურნე ჩაატარა საქართველოს დაბა-ქალაქებში. ხალხი ცხოველი ინტერესით ესწრებოდა ახალგაზრდა მომღერლის სადამოებს, რომელთა პროგრამა თითქმის მხოლოდ ქართული რომანსებისა და სიმღერებისაგან შესდგებოდა.

მეფის ოხრანკის აგენტებისაგან დაშავებული ია კარგარეთელი დიდი ხანია უკვე აღარ მღეროდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი ხალხური სიმღერების შემსრულებელ გუნდებს, მშობლიურ ჰანგებს მარტო ვანო სარაჯიშვილი, დ. აკოფაშვილი, გ. ღვინიაშვილი და ორიოდ სხვა ქართველი მომღერალი ავრცელებდა. ამიტომ, შესანიშნავი წმითა და დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული სანდრო ინაშვილის გამოჩენას ხალხი აღფრთოვანებით შეეგება. მისი სახელი მალე ვანო სარაჯიშვილის ნაკვალევს აედევნა და მთელს საქართველოში გახდა ცნობილი.

პროფ. რიადნოვთან მეცადინეობამ ჩქარა თავისი ნაყოფი გამოიღო. სანდრო ინაშვილმა მტკიცედ დაიმკვიდრა ბარიტონის მეორე პარტიები თბილისის სახალხო სახლის სცენაზე. ახლა უკვე არც ერთი ოპერა არ იდგმებოდა აქ მისი მონაწილეობის გარეშე.

ხელოვნებითა და მუსიკალური კულტურით დაინტერესებული სანდრო გაფაცოცებით ეძებდა ყოველგვარ ლიტერატურას ამ საკითხებზე. ერთსა და იმავეს მრავალჯერ გადაიკითხავდა და ჩაუფიქრებოდა, ვიდრე მტკიცედ არ შეითვისებდა. პროფესორი რიადნოვი გულმოდგინედ აცნობდა სანდროს თავის მდიდარ გამოცდილებას, აწვდიდა სხვადასხვა

სამუსიკო ნაწარმოებთ, სისტემატურად არიგებდა და ხელს უწყობდა მის ყოველმხრივ ზრდას.

სანდრო პირველი პარტიების შესწავლას შეუდგა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო კონცერტმეისტერი, რომლისთვისაც გასამრჯელო უნდა ეძლია. ეს ხარჯი თვეში სულ მცირე 3 თუმანს სჭირდა. იმხანად ცნობილმა კონცერტმეისტერებმა ნემეტიმ და სევანოვამ იკისრეს სანდროსთან უსასყიდლოდ მეცადინეობა, რითაც უდიდესი სამსახური გაუწიეს და ხელი შეუწყვეს მის შეუფერხებელ წინსვლას. სანდრო ერთიდან მეორესთან დარბოდა და ზედიზედ ამზადებდა ახალ პარტიებს.

თბილისის სახალხო სახლის დასში მაშინ ბარიტონის წამყვან პარტიებს ასრულებდა ენრიკო ბროჯი (იტალიელი), რომელიც მანამდე და მას შემდეგაც თბილისის სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

1912 წლის 21 ნოემბერს სახალხო სახლის სცენაზე დირიჟორ პოლიკარპე ფალიაშვილის საბენეფისოდ „კარმენი“ დაიდგა. ტორეადორის პარტიის შემსრულებელი ენრიკო ბროჯი ავად გახდა, და ეს პარტია სანდროს მიანდვეს. დებიუტი ბრწყინვალედ ჩატარდა. ხალხი ტაშის ქუხილით შეხვდა ახალგაზრდა მომღერალს. ესკამილოს ცნობილი კუპლეტებში, საზოგადოების ერთსულოვანი მოთხოვნით, სანდრომ შესანიშნავად გაიმეორა და მეორეჯერ უფრო მეტი შთაბეჭდილება დასტოვა. თითქოს სცენაზე გამობრძმედილი მომღერალი იყო, რომელსაც მრავალჯერ შეესრულებინა ეს პარტია და თავს საკუთარ ქურქში გრძნობდა.

ეს გარემოება ნათლად აისახა სპექტაკლის გამო გამოკვეყნებულ რეცენზიაშიც:

„... ესკამილოს როლი შეასრულა ბ-მა ინაშვილმა, რომელსაც სასიამოვნო ბარიტონი, მდიდარი ვოკალური მონაცემები და კარგი სკოლა აქვს. სცენაზე თავისუფლად უჭირავს თავი და ტემპერაჟენტით თამაშობს...“

„კარმენის“ შემდეგ სანდრო ინაშვილი აქ „ტრავიატასა“ და „რიგოლეტოში“ გამოვიდა მთავარი პარტიების შემსრულებლად.

გამოქვეყნებულ რეცენზიებში ვკითხულობთ:

„... ალფრედის მამის როლის შემსრულებელმა ბ-მა ინაშვილმა სცენაზე გამოჩენისთანავე დაიპყრო საზოგადოების ყურადღება, როგორც თავისი კარგი ხმით, აგრეთვე სავსებით გამართლებული თამაშით...“

„... რიგოლეტოს პარტიაში გამოვიდა ბ-ნი ინაშვილი. მან შესანიშნავად დასძლია დაკისრებული ამოცანა. მიუხედავად საოპერო კარიერაში გადადგმული პირველი ნაბიჯებისა, მომღერალს კარგად ეჭირა თავი, გულდაჯერებით და თავისუფლად მღეროდა. მას საკმაოდ სასიამოვნო ტემბრის ლამაზი ბარიტონი აქვს...“

სახალხო სახლის სცენაზე სანდრო ინაშვილის გამოსვლა ამ საპასუხისმგებლო პარტიებში ჩვეულებრივ ვითარებაში ჩატარდა. აქაური მაყურებელი იმდენად შეეჩვია ახალგაზრდა მომღერლის თანდათანობით ზრდას, რომ სავსებით ბუნებრივად ჩასთვალა მისი გადასვლა მთავარ პარტიებზე.

დამახასიათებელი მოვლენაა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ხელოვანის ზრდა სრული სიმწიფით, კანონზომიერად და მტკიცედ ვითარდება.

* * *

1900-იანი წლებიდან თბილისის სახაზინო ოპერის დასში მღეროდა ბარიტონი სერგო ივანეს-ძე ევლახიშვილი (1872-1946), რომელიც ზოგჯერ სახალხო სახლის საოპერო სპექტაკლებშიაც მონაწილეობდა.

1912 - 13 წლებში ს. ი. ევლახიშვილმა მოგზაური საოპერო დასი შეადგინა და თბილისის ოპერის თეატრში სეზონის დამთავრების შემდეგ დიდი საგასტროლო ტურნე ჩაატარა.

პირველ ტენორად მიწვეულ იქნა ვანო სარაჯიშვილი (1913 წ.). დასში შედიოდნენ თბილისის ოპერის მაშინდელი

გამორჩენილი სოლისტები: ტ. ი. საბანეევა, მ. ნ. რიოლი, ე. გ. კოველკოვა, თ. ა. ბახუტაშვილი-შულგინა, კ. ფ. ლიუბჩენკო, თ. ს. ორდა, სოკოლსკი, შერემეტი და სხვანი. გუნდი 16 მსახიობისაგან შესდგებოდა; ამდენივე მსახიობი იყო ორკესტრშიაც.

ბარიტონის მეორე პარტიების შემსრულებლად ს. ი. ევლახიშვილმა სანდრო ინაშვილი მიიწვია.

ეს მინიატურული დასი საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ბარგით გაემგზავრა თბილისიდან. რეპერტუარში შეტანილი იყო: „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“, „ტრავიატა“, „დემონი“, „მარგალიტის მადიებელნი“, „კარმენი“, „ლაკმე“, „ფაუსტი“, „მინიონი“, „ფრა დიეოლო“, „სევილიელი დალაქი“, „ჯამბაზები“ და „ტოსკა“.

მარშრუტიც გაბედული და ვრცელი იყო. გასტროლები ჩატარდა: ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ბაქოში, დერბენტში (დარუბანდში), მახაჰკალაში, თემირხანშურაში, გროზნოსა და კავკავში.

საგასტროლო მოგზაურობა დიდი მხატვრული წარმატებით მიმდინარეობდა, რაც რეპერტუარის მრავალფეროვნებთა და დასის საუცხოო შემადგენლობით უნდა აიხსნას. სოხუმში, მაგალითად, 15 სპექტაკლი დაიდგა, მაგრამ გამოსათხოვარ სალამოზე ვანო სარაჯიშვილმა ისე მოჰხბლა დამსწრე საზოგადოება, რომ ადგილობრივმა თეატრალეებმა იქვე შეჰკრიბეს საკმაო თანხა და დასი კიდევ დასტოვეს. არა ნაკლები წარმატებით ჩატარდა გასტროლები კავკავში, სადაც დავით სარაჯიშვილის საწარმოთა პერსონალმა დასს მთელი ზეიმი გაუმართა.

ამ მოგზაურობათა დროს სანდრო ინაშვილი ბარიტონის მეორე პარტიებს ასრულებდა მთელს რეპერტუარში და ყოველ სპექტაკლში დაკავებული იყო, ზოგიერთ ოპერაში კი ორ-ორი როლი ჰქონდა დაკისრებული.

„ევგენი ონეგინში“ სანდრო ზარეცკისა და ასისტანტის რო-

ლებს ასრულებდა. მაგრამ ერთხელ ამათ გრემინის როლაც მიემატა, რამაც მთელი კურიოზი გამოიწვია:

ამ მოგზაურ დასში გრემინს მღეროდა ბანი შერემეტი, რომლის მეუღლე აქვე მეორე პარტიებს ასრულებდა. შერემეტმა სთხოვა ევლახიშვილს მისი მეუღლის გამოშვება ნატაშას საპასუხისმგებლო პარტიაში (ოპ. „ალი“ დარგომიქა-კისა). ეს თხოვნა მსახიობის შეუსაბამობის გამო არ იქნა დაკმაყოფილებული. დასი მაშინ კავკავს მიემგზავრებოდა. ღამე მანაქკალაში გაათიეს. დილით ვერც შერემეტი და ვერც მისი მეუღლე ვეღარ იპოვეს: შეურაცხყოფილი მსახიობები თავიანთი ბარგი-ბარხანით გაპარულიყვნენ.

ევლახიშვილს ცეცხლი შემოენთო. კავკავში უკვე ამოცხადებული იყო „ვეგენი ონეგინი“. ბილეთები წინასწარ დაიტაცეს და სალაროში 900 მანეთი ელაგა. პირველ დღესვე ხალხის გაწბილება ფასტროლების ჩაშლას ნიშნავდა.

— ჩვენი გაჭირვების ტალკევისი ხარ. გრემინიც შენ უნდა იმღერო, — უთხრა სანდროს გაფითრებულმა ევლახიშვილმა.

— ასე უცებ როგორ მოვახერხო... ყველაფერს თავი დავანებოთ, ხმა როგორღა გამოვიცვალო, ბანი ხომ არა ვარ?!

— არა უშავს რა, კარგი დაბლები გაქვს. თუკი მოინდომებ, ყველაფერს შესძლებ.

ლაპარაკის დრო აღარ იყო. სანდრო ვაგონის ზემო საწოლზე მოათავსეს, სასთუმალთან კარტოფილის სანთელი აუთნეს და ნოტებიც ხელში მიაჩეჩეს. მატარებლის რიხრიხში სანდრომ კავკავამდე გრემინის პარტია დაალიდინა. დილით — ორი რეპეტიცია ორკესტრთან და... საქმე გაიჩარხა!

დარბაზი გაიჭედა. სპექტაკლი დაიწყო. სანდრომ თავისი ორი როლი შეასრულა და ახლა გაფაციცებით ეკვეთა გრემინის გარდერობს. მაგრამ ახალი დაბრკოლება წამოიჭრა: შერემეტი სანდროზე მაღალი და თანაც ერთობ ჩასუქებული კაცი იყო. ამდენ დავიდარაბაში და ყოველ აქტში ტანისამოსის ცვლით გულგაწყალებულ სანდროს ეს გარემოება გამორჩა მხედველობიდან. სიგრძეს სახელდახელოდ რაღაც მო-

უხერხეს, ფეხზე ჩექმა ჩააცვებს, მაგრამ წერწეტა სანდროს სისქე აღარ ეყო და ნახერხით გატენილი ბალიშებით აუვსეს მუცელი. გადაადგა თუ არა ნაბიჯი... ბალიში მოსწყდა. ძლივს შეიკავეს სიცილი სცენაზე. ვილაცამ ქუდი მოაშველა, ორივე ხელით წინ დაიჭირა და ბალიში შეიჩერა. ონეგინის პარტიის შემსრულებელი ევლახიშვილიც ოსტატურად წინ ჩამოეფარა. სანდრომ ძლივს მიაღწია ტყავის ვეებერთელა ძველ სავარძლამდე და ყელამდე შიგ ჩაიფლო. პარტერში მჯდომი მაღალი ჩინის ოფიცრები და მანდილოსანნი ბინოკლებით ათვალეერებდნენ გენერალ გრემინის რაღაც უხერხულ მიხრა-მოხრას. ბეწვზე ეკიდა ყველაფერი. გრანდიოზულ უსიამოვნებამდე ერთი ნაბიჯიღა იყო...

არცა დამთავრდა. დარბაზში ტაშის ქუხილი გაისმა. გააღწია ოფლგადამისკდარმა სანდრომ კულისებში და... სახიფათო ღიპიც ძირს ჩამოინქშა.

ადგილობრივმა პრესამ ქება-დიდებით მოიხსენია გრემინის როლის შემსრულებელი: ვიცით, მსახიობი რომ ახალგაზრდაა, მაგრამ შესანიშნავად შეასრულა ეს საპატიო ამოცანა; მშვენიერი ტემბრის ბანი აქვს, სასურველია მისი უფრო საპასუხისმგებლო პარტიაში მოსმენაო.

თავისი არტისტული კარიერის მანძილზე სანდრო ინაშვილს მართლაც რამდენჯერმე მოუხდა ბანის მთავარი პარტიის შესრულება, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ სპექტაკლის გადარჩენისათვის ევლახიშვილმა სანდრო 25 მანეთით დააჯილდოვა.

კავკავში გასტროლები დიდი წარმატებით ჩატარდა. სანდრო ინაშვილი ამ დასში ისეთი მსახიობის ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც თავისი უპრეტენზიო მოვალეობის მიხედვით რაიმე განსაკუთრებული ეფექტის მოხდენა არ შეუძლიან, მაგრამ სცენიურ განწყობილებაში ერთგვარი ეშხი შეაქვს და სპექტაკლი უმისოდ წარმოუდგენელია. ეს პატარა უსხივო როლები სანდროს ხელში მკაფიო, გამომეტყველ

იერს იღებდნენ და საერთო ყურადღების ღირსნი ხდებოდნენ როგორც სცენიურად, ისე ვოკალურადაც.

დასის შესანიშნავ სოლისტებთან — ვანო სარაჯიშვილთან, საბანეევასთან და ორდასთან ერთად სანდრო ინაშვილიც რამდენჯერმე აღნიშნა პრესამ. მსგავსი გამარჯვება პირველი პარტიების ასეთ დიდებულ შემსრულებელთა შორის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ს. ი. ევლახიშვილის საფასტროლო დასში მუშაობა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სანდრო ინაშვილისათვის.

* *

დამყარებული ტრადიციის მიხედვით სამუსიკო სასწავლებელში დროდადრო მოწაფეთა საჩვენებელი კონცერტები იმართებოდა, რომლებსაც გარეშე მაყურებელიც ბლომად ესწრებოდა. ეს კონცერტები ზოგჯერ მეტად საინტერესო ხდებოდა და ფართო ხასიათს ატარებდა. მაგალითად, აღსანიშნავია განთქმული იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიაც სამუსიკო სასწავლებლის ყველა საუკეთესო ახალგაზრდა ძალებმა მიიღეს მონაწილეობა, და 1914 წლის 17 მაისს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე გამართული საჩვენებელი საოპერო სპექტაკლი, სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

ამ სპექტაკლში წარმოდგენილ იქნა: სცენები „ევგენი ონეგინიდან“, „ალიდან“, „რუსლან და ლიუდმილადან“ და მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“. სპექტაკლში მონაწილეობდა სამუსიკო სასწავლებლის გუნდი (ზაქ. ფალიაშვილის კლასი). დირიჟორობაც სასწავლებლის პედაგოგიურმა პერსონალმა გასწია (ზაქ. ფალიაშვილი, ნ. ნიკოლაევი და ვ. ზელიონი).

¹) ვერდი დაიბადა 1813 წლის 10 ოქტომბერს ჩრდილოეთ იტალიაში (დაბა რონკოლა), გარდაიცვალა 1901 წელს მილანოში. იგი 24 ოპერის ავტორია.

სცენები „ალადან“ და „ევეგენი ონეგანადან“ შეასრულეს ვ. ზელიონის მოწაფეებმა, ხოლო „რუსლან და ლიუდმილადან“—ე. ბროჯისამ.

ყველაზე ძნელი ამოცანა იკისრა ე. კ. რიადნოვმა, რომელმაც თავისი კლასის მოწაფეთა ძალებით მთლიანად დასდგა მოცარტის ცნობილი 4-მოქმედებიანი ოპერა „ფიგაროს ქორწინება“.

მოწაფეთა კონცერტებში სისტემატურად მონაწილეობდა სანდრო ინაშვილი, რომელსაც თავის ამხანაგებთან შედარებით სასცენო გამოცდილებაც მეტი ჰქონდა და ვოკალური დახელოვნებაც. ეს გარემოება მშვენივრად გაითვალისწინა პროფესორმა რიადნოვმა და ფიგაროს პარტია მთლიანად მას დააქსრა. ამ საინტერესო და მრავლფეროვან სპექტაკლში წამყვანი როლი პროფ. რიადნოვის კლასს ეკუთვნოდა.

„ფიგაროს ქორწინებამ“ ფაქტიურად სანდრო ინაშვილის დებიუტის სახე მიიღო თბილისის სახაზინო თეატრის სცენაზე, რომელზედაც იმ დღეს პირველად გამოდიოდა. და ისიც საპასუხისმგებლო პარტიიში.

სპექტაკლმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. დარბაზი ძველი მელომანებით გაიჭედა. ისინი გაფაციცებოთ აღევენებდნენ თვალს ახალგაზრდა მომღერლებს, რომლებიც თავიანთ არტისტულ კარიერას იწყებდნენ და შემდეგ მათი მუდმივი ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყვნენ. ინტერესი უფრო დიდდებოდა იმ გარემოებით, რომ პროფ. რიადნოვი ნაკლები წინააღმდეგობის გზით არ წავიდა და თავის მოწაფეთა გამოსაცდელად მოცარტის შესანიშნავი ქმნილება აირჩია. ოპერის კრისტალურად გამკვირვალე მუსიკალური ფაქტურა და საინტერესო დრამატიული სიტუაცია, გარდა ვოკალური დახელოვნებისა, დიდ სასცენო გამოცდილებასაც მოითხოვდა.

სანდრო ინაშვილმა წარმატებით დასძლია ეს ძნელი ამოცანა და ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვიდა. სპექტაკლი ტაშის გრილში ჩატარდა. ზაქარია ფალიაშვილი, პროფ. რიადნოვი და განებიერებული თეატრალეები მხურვალედ

ულოცავდნენ ახალგაზრდა მომღერალს ამ დიდ წარმატებას. თუმცა სახალხო სახლის სცენიდან და ცალკე საკონცერტო გამოსვლებიდან ბევრისათვის აქამდეც ცნობილი იყო სანდრო ინაშვილის შესანიშნავი ხმა და მუსიკალური ნიჭი, მაგრამ დღეს ერთხელ კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ ქართველ ვოკალისტთა რიგებს ახალი, თვალსაჩინო ძალა ემატებოდა. მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის პრესამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ინაშვილმა ბევრი სიცხოველე და ხალისიანობა შეიტანა თავის პარტიაში“.

ეს შეფასება ჯერ ისევ მოწაფე სანდროსათვის შეტად მნიშვნელოვანი იყო.

* *
*.

„ძველი თბილისის ტრუბადური“ — პოეტი იოსებ გრიშაშვილი საღამო კონცერტების მოწყობის ნამდვილი ოსტატი იყო. პროგრამის შედგენაზე თვეების განმავლობაში მუშაობდა, მკაცრი რეჟისორივით ფაითვალისწინებდა ყოველ წვრილმანს და აღებულ გეზს ბოლომდე ზუსტად იცავდა. ამიტომ მისი საღამოები არასდროს არ ატარებდნენ შაბლონურ იერს და მაყურებლის ნდობას იმსახურებდნენ.

მაგრამ ამ შესანიშნავ ორგანიზაციასთან ერთად, მთავარი მაინც აქ სიახლე იყო: რაღაც ახალი სიტყვა უნდა ეთქვა, ახალი ძალა გამოეყვანა, და სწორედ ამ ახალი ძალის ძიებაში ჰკარგავდა ჩვენი პოეტი უამრავ დროს, მაგრამ მუდამ მიზანს აღწევდა: თუ სადმე რაიმე საინტერესოს მოჰკრავდა ყურს, წამსვე გაშლიდა თავის გრძელ სიას, ყველაფერს გაიგებდა და გულმოდგინედ ჩაინიშნავდა თავის საღამოში გამოსატანად.

ჩვენი პოეტის თვალს არც სანდრო ინაშვილი გამოეპარა. თუ თბილისს გარეთ სანდრო პირველად ელისაბედ ჩერქეზიშვილმა და ვასო აბაშიძემ გაიყვანეს, ჩვენს სატახტო ქალაქში მისი ეს საესტრადო ნათლობა მოწინავე ქართველ საზოგადოებაში და წმინდა ქართულ საღამოში, იოსებ გრიშაშვილს ზედა წილად.

თავისუფალ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ჩვენს ახალგაზრდობას არ უნდა გაუკვირდეს, რომ ასე მოწიწებით ვახსენებთ ჩვენ „ქართულ საღამოს“. მეფის რეჟიმის სულ-შემხუთველ მარწუხში მომწყვდეული ქართველი საზოგადოება თავის საშობლოში ხშირად ქართული საღამოების მონატრულიც კი ხდებოდა.

ერთ-ერთ კონცერტში ი. გრიშაშვილმა პირველად ნახა სანდრო ინაშვილი. მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდა ქართველი მომღერლის მშვენიერმა ხმამ და მიმზიდველმა გარეგნობამ. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო მან თავის საღამოში გამოიყვანა. აქ სანდრო ქართული რეპერტუარით გამოვიდა და დამსწრე საზოგადოებაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, სანდრო ინაშვილი დღეს აქ პირველად არ გაცნობია თბილისელ მაყურებელს, მაგრამ გრიშაშვილის საღამოებს, როგორც აღვნიშნეთ, წმინდა ქართველი საზოგადოება ესწრებოდა და აქ გამოსვლას სულ სხვა მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პირობებში.

აი, რა მოგონება მოგვაწოდა, ჩვენის თხოვნით, პატივცემულმა სოსო გრიშაშვილმა, თავის ერთ-ერთ საღამოში სანდროს პირველად გამოყვანის შესახებ:

„ჩემი ქაბუკობის დროს—1910 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ვმართავდი ჩემს „ლიტერატურულ საღამოებს“.

ამ საღამოებმა ერთგვარი პოპულარობა მოიპოვეს. ყველას ეხალისებოდა ჩემს საღამოში მონაწილეობის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საღამო“ მუდამ სხვადასხვანაირი იყო: ერთი მონაწილე მეორე წელს აღარ გამომყავდა, მაგრამ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი და თაგუნა მუდმივი დამამშვენებელნი იყვნენ ჩემს მიერ გამართული საღამოებისა... ამ სამეულადან ორმა „მიღალატა“: ვანო სარაჯიშვილმა და თაგუნამ. ისინი ვერ დაესწრნენ ჩემს საიუბილეო საღამოს (1944 წ. 30 ოქტომბერი) და

ამით გული დამიკოდეს, თვალებიდან ცრემლი გამომ-
წურეს იმ ბედნიერ წუთებში.

კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო, — (ვინ იცის, იქნება
სხვა დროს არ მომიხდეს ჩემს საღამოებზე ლაპარაკი), —
ამ საღამოების კეთილმოწყობისათვის დიდხანს ვემზადე-
ბოდი, თითქმის სამ თვეს, ეს იყო ჩემი წიგნიცა და პოე-
მაც! განსვენებული კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე
ერთ დროს სიმფონიის დაწერასაც კი აპირებდა ამ სათაუ-
რით: „გრიშაშვილის საღამოები“... მაგრამ ეს სხვათა შო-
რის; ჰო—და, თუ რომელიმე ახალ მსახიობს ვნახავდი სცე-
ნაზე, ან პროგრამის შესადგენად კარგი რამ გამახსენდე-
ბოდა, მაშინვე იონა მეუნარგიასავით უბის წიგნაკში ჩა-
ვინიშნავდი ზოლმე, რომ შემდეგში ჩემი საღამო დამემშვე-
ნებინა და ამით მაყურებელში შემექნა მოულოდნელო-
ბისა და განცვიფრების განწყობილება, რაც ასე ძალიან
მიყვარდა და ახლაც მიყვარს, როგორც პოეტს.

სანდროს გაცნობა ასე მოხდა: მე იგი ვნახე რომელიღაც
კონცერტზე მუშათა უბანში. ძლიერ მომეწონა ლამაზი,
ახალგაზრდა, ზრდილობიანი და თავდაპირველი. მას ჰქონ-
და ბერათა გადმოცემის შნო და ლაზათი. ვნახე და
...„ნახვა მომინდა უცხოთა სანახავისა“ — მყისვე მისი
სახე და სახელი უბის წიგნაკში მოვათავსე.

პირველად დიდ საღამოში სანდრო ინაშვილი მე გამო-
ვიყვანე. ეს იყო 1915 წელს. იმედი გამიშართლდა. სანდ-
როს გამოსვლა მართლაც „მოულოდნელი“ და „განსაც-
ვფრებელი“ იყო. ჩემი საღამოს დამაწრენი მეორე დღეს
მადლობას მეუბნებოდნენ — ახალი მომღერლის „აღმო-
ჩენისათვის“... თუ მოგონებათა ფარდას კიდევ გადავწევთ,
ვიტყვი, რომ „სანდრო“ პირველად მე დავარქვი, მანამდე
მას „შურას“ უწოდებდნენ, ჩემს პროგრამებშიაც ასეა
დაბეჭდილი; მაშასადამე, დღეს ჩვენი სანდრო — ჩემი სან-
დროცაა, — იმედია ჩემი ძვირფასი ამხანაგი ჩემს „ნათ-
ლობას“ არ იუკადრისებს.

სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ სანდრო ინაშვილს არც ერთი ჩემი საღამო არ გამოუტოვებია. გაიგებდა თუ არა, მავან და მავან ალაგას „გრიშაშვილის საღამოაო“, აფიშებშიაც რომ არ ყოფილიყო გამოცხადებული — მეწვეოდა და თავისი ცვრიანი ბარიტონით აორკეცებდა „საღამოს“ სიხარულს.

და როგორ გამეხარდა, როცა ამას წინათ სანდრომ — თავის წერილში ზაქარია ფალიაშვილის შესახებ — მოიგონა ერთი ჩემი საღამო, სადაც ჩემივე ინიციატივით ვანომ და სანდრომ პირველად იმღერეს დუეტი „აბესალომ და ეთერიდან“, რაც მანამდე საკონცერტო სახით არ სრულდებოდა სცენაზე.

ვანო და სანდრო — განუყრელი სახელებია ქართული ოპერის ისტორიისათვის. ვანო და სანდრო ერთ ტოტზე მობმული ორი ვარდია, ორი თვალის ერთი სინათლეა.

დღევანდელ ახალგაზრდობას ვანო და სანდრო ერთად არ უნახავს, მაგრამ მაინც ლეგენდად გადაჰქცევია ამ ორი შესანიშნავი მომღერლის ეშხი და ჯავარი:

მესმის ყველგან
ქუჩებსა თუ ბინაში —
ვით მღერიან:
ვანოსა და ინაშვილს!

მე კი, პირადად დიდი მადლობელი ვარ ჩემი სცენის მეგობრის სანდროსი, რომელიც ჩემს საღამოებში არასოდეს არ იშურებდა თავის ხავერდოვან სიმთა აუღერებას... უსასყიდლოდ, უანგაროდ და ამით ხელს უწყობდა ქართული საღამოების ბრწყინვალედ ჩატარებას.

ჩემო კარგო და დაუვიწყარო სანდრო! დღეს, როდესაც შენი არტისტული მოღვაწეობის ორმოცი წლისთავია, მეც განვიცდი ამ საზეიმო თარიღს ალალი გულის ძგერით და

სიამოვნებით ვთავაზობ ჩვენი მუსიკოს მემატრიანეს — პოეტ შალვა კაშმაძეს ამ მოგონების ერთ პატარა ფოტოს შესწავლას დიდ თაიგულში ჩასაწნავად.

ი. გრიშაშვილი

1948 წ. 2 თებ.“

მეც ალალი გულის ძვერით ჩამოვართვი სახელოვან პოეტს ეს ეშხიანი ფოტოლი და ჩემს სტრიქონებში მოვათავსე.

ქართული ოპერის სათავესთან. ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი

მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ზაქარია ფალიაშვილი 1903 წელს თბილისში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. დიმიტრი არაყიშვილთან და სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად ზაქარია გატაცებით განაგრძობდა სიჭაბუქეშივე დაწყებულ საქმეს. მან კიდით კიდემდე მოიარა ჩვენი სამშობლო, გულმოდგინედ შეისწავლა და ჩასწერა დიდებული ხალხური მუსიკა. წელთა განმავლობაში დაძაბული მუშაობის შედეგად ზაქარიას განკარგულებაში ფასდაუდებელი საუნჯე აღმოჩნდა. ქართული ჰანგის ეს გულთამხილავი ოსტატი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა ეროვნული ოპერის შექმნას.

— ჯერ კიდევ დიდი მოსამზადებელი მუშაობაა საჭირო, — ეტყოდა ხოლმე პეტრე მირიანიშვილს, რომელსაც „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო უკვე მზად ჰქონდა და დაჟინებით თავაზობდა ოპერის დასაწერად.

1908 წლის 21 დეკემბერს პ. მირიანიშვილმა თავისი ლიბრეტო ეურნალ „ფასკუნჯში“ გამოაქვეყნა. ამის შემდეგ ზაქარია ფალიაშვილი ოპერის წერას შეუდგა.

1912 წელს ვ. სარაჯიშვილი და ს. ინაშვილი უკვე სწავლობდნენ ნაწყვეტებს „აბესალომიდან“ ზაქ. ფალიაშვილთან.

1913 წლის 27 აპრილს (ძვ. სტილი) ქართული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტი. შემსრულებლებად გა-

წოვიდნენ: კოლოტოვა, პრესინსკაია, კოვალენსკაია, გოფმა-
ნი, ალასოვი და დუელი.

„აბესალომ და ეთერის“ გამოჩენა ქართველმა საზოგადოე-
ბამ ეროვნული კულტურის დღესასწაულად აღიარა.

„სახალხო გაზეთი“ (№ 882) სწერდა:

„... მოვისმინეთ პირველი ქართული ოპერის ერთი აქტი,
რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და
იმედი ჩავვისახა, რომ ახლო მომავალში ქართული ხე-
ლოვნება, ქართული მუსიკა თავის საკადრის და შესაფერ
ადგილს დაიჭერს განათლებული ქვეყნების ხელოვნე-
ბაში..“

შესრულების შესახებ საყვედური გამოითქვა:

„... ჩვენი ქართული თეატრი პატარაა და აკუსტიკაც
ცუდი აქვს, რის გამო მრავალხმოვანი და მალახმარისხო-
ვანი ორკესტრი აყრუვებს მსმენელთ და უძნელებს მთლი-
ანი შთაბეჭდილების მიღებას. ხელშემშლელ გარემოებად
ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მთავარი როლების ამსრუ-
ლებელნი ქართველები არ იყვნენ. ცხადია, ისინი ვერ
გაიმსკვალებოდნენ ქართული მუსიკის სულით და ხასია-
თით, ისე ვერ იგრძნობდნენ მის სიმშვენიერეს, რომ შე-
საფერისი ნიუანსებით გამოეხატათ გჭირთა სულისკვე-
თება...“

ეს შენიშვნა სავსებით სამართლიანი იყო. თავანკარა ხალ-
ხური მუსიკის ნიადაგზე შექმნილი დიდებული ნაწარმოები
მშობლიური ვოკალური კულტურის ოსტატებს ელოდა.

სრული ერთი თვის შემდეგ — 28 მაისს — იმავე სცენაზე
კვლავ დაიდგა „აბესალომის“ ნაწყვეტები, ოღონდ მესამე
მოქმედებას ახლა პირველი სურათიც დაემატა. ამჯერად აბე-
სალომის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, მურმა-
ნისას — სანდრო ინაშვილი, ბელიარ-ეშმაკისას — ვ. ლორთქი-
ფანიძე.¹ ეთერის პარტიის შემსრულებლად კვლავ კოლოტო-
ვა გამოვიდა.

¹ ბელიარ-ეშმაკის პარტია „აბესალომის“ მთლიანად დადგმის შემ-
დეგ ამოღებულ იქნა ოპერიდან,

შთაბეჭდილება ძირფესვიანად შეიცვალა. ვანო სარაჯი-
შვილმა და სანდრო ინაშვილმა სულ სხვა ეშხით ააუღერეს
ზაქარია ფალიაშვილის შესანიშნავი ქმნილება და მქუხარე
ოვაცია გამოიწვიეს. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა დღეს
პირველად იგრძნო „აბესალომის“ სიდიადე, მისი ავტორისა
და შესანიშნავი ქართველი მომღერლების ღრმა პატავისცე-
მით განიმსჭვალა.

„სახალხო გაზეთი“ (№ 906) სწერდა:

„... აღსანიშნავია, რომ ვაეთა მთავარ როლებს ახლა
ქართველები ასრულებდნენ: აბესალომისას—ი. სარაჯი-
შვილი, მურმანისას—ინაშვილი და ბელიარ-ეშმაკისას—
ვ. ლორთქიფანიძე, რის გამოც უფრო გრძნობითა, გარკ-
ვევით და მოხდენილად იქნა ასრულებული სოლოებიც და
ანსამბლებიც...“

გაზეთი „ზაკავკაზსკაია რუჩი“ (№ 121) სწერდა—„ბ-მა ინა-
შვილმა მუსიკალურად შეასრულა მურმანის პატარა პარ-
ტიაო“.

ნაწარმოების განსაკუთრებული მუსიკალობით შესრულე-
ბა ახასიათებდა სანდრო ინაშვილს ჯერ კიდევ ბავშვობიდან-
ვე, როდესაც ის სანდრო კავსაძის გუნდში მღეროდა.

ვანო სარაჯიშვილმა და სანდრო ინაშვილმა თავიანთი შე-
მოქმედებითი ზეგავლენა იქონიეს ეთერის პარტიის შემსრუ-
ლებელ კოლოტოვაზედაც. იგი ახლა გაცილებით უკეთ მღე-
როდა, რაც აღნიშნა კიდევაც პრესამ. ამის შემდეგ ვანო სა-
რაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი უფრო მეტი წარმატებით
ასრულებდნენ ნაწყვეტებს „აბესალომ და ეთერიდან“.

1914 წლის 15 იანვარს თბილისის ოპერის თეატრში დირი-
ჟორ ი. ფალიაშვილის სამუსიკო მოღვაწეობის 25 წლისთავიან
იუბილე გაიმართა. ამ დღეს პირველად აუღერდა ამ სცენაზე
ნაწყვეტები ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომიდან“ და
პირველად შეასრულა აქ ვანო სარაჯიშვილმა აბესალომის
„სცენა და არია“.

1915 წლის 13 ივნისს ამავე სცენაზე პირველად გამოვიდნენ ერთად ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი „აბესალომ და ეთერის“ შემსრულებლებად. ამ დღეს „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი საღამო გამართა.

16 ივნისის გაზეთ „საქართველოში“ „დ. კ-ძე“ სწერდა:

„... აგერ აბესალომი (ბ-ნი ი. სარაჯიშვილი). რა აღტაცებას იწვევს იგი! ჰგრძნობ, რომ ეს სული ჩვენია, ჩვენი-ფალიაშვილის სასიქადულოდ ბ-ნი სარაჯიშვილიც ფრიად კარგ გუნებაზე იყო და თავისი ხმა ისე ლამაზად შეუწყო აბესალომის ტრფიალების ნაზ ყვავილთა გაშლას.

ასეთივე სიყოჩაღე გამოიჩინა ბ-მა ინაშვილმა მურმანის როლში. მე პირადად პირველად ვხედავ მას და მსურს რამდენიმე კადნიერი წინასწარმეტყველება გავსწიო: ჩვენი მუსიკა წინ მიდის, და მალე დადგება დრო, რომ ჩვენ აღარ დაგვკვირდება უცხოთა მოწვევა და საკუთარი ძალებით შევსძლებთ საკუთარი ოპერების დადგმას...“

ვანო სარაჯიშვილმა და სანდრო ინაშვილმა თავიანთი დიდი ხელოვნებით ქართველ საზოგადოებას ეროვნულ ოპერაში საკუთარი სული აგრძნობინეს და ეს სულივე შთაბერეს სცენაზე განსახიერებულ გმირებს.

გენიალური ქართული ოპერის — „აბესალომ და ეთერის“ პირველ აკორდთან ერთად ჩაისახა ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ინაშვილის სპეტაკი ადამიანური და შემოქმედებითი მეგობრობა. ვანომ იდეალური ქართველი ხელოვანის მსურვალე გულით ატარა ეს დიადი გრძნობა უკანასკნელ ამოკენესამდე. სანდრო კი დღესაც ამავე გრძნობით კაბუკობს და ახალგაზრდებში კეთილშობილურ მისწრაფებათა ყვავილებს სთესავს.

* *
*

1916 წელს სანდრო ინაშვილმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა თბილისის სამუსიკო სასწავლებელი.

პროფესორ რიადნოვთან ხანგრძლივი მუცადინეობის შედეგ-



ს ა ნ დ რ ო ი ნ ა შ ვ ი ლ ი

(სამუსიკო სასწავლებელში უოტენის პერიოდი)

გად მან შესანიშნავი ვოკალური სკოლა და შემართებლობა კულტურა შეიძინა. სახალხო სახლის სცენაზე და ევლახიშვილის მოგზაურ დასში მუშაობის წყალობით, სანდრო ინაშვილი მაშინ უკვე გარკვეული რეპერტუარის მქონე მომღერალი იყო და სასცენო გამოცდილებითაც ბევრ თავის ამხანაგზე მაღლა იდგა. პროფესორ რიადნოვს ამით მაინც არ ჩაუთვლია დამთავრებულად თავისი მოვალეობა. იგი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს თავისი მოწაფის შემდგომ არტისტულ განვითარებას და ჰშველოდა მას ახალი პარტიების შესწავლაში. სანდრო ინაშვილი დიდად დავალებულია ამ თვალსაჩინო ოსტატის გულისხმობებითა და სისტემატური რჩევა-დარჩევებით. თავისი მუსიკალური განათლება სანდრო ინაშვილმა ისე

დაანთავრა, რომ არც ერთი კაპიკი არ გადაუხდია არც სამუ-
სიჯო სასწავლებელში, არც კოვალენსკისთან და არც რიად-
ნოვთან. პირიქით, როგორც აღენიშნეთ, ისინი მას დახმარება-
საც უწყევდნენ სხვადასხვა სამუსიკო ლიტერატურის მიწო-
დებით.

1917 - 18 წლის სეზონში „ქართულ კლუბთან“ (ახლა გრი-
ბოედოვის სახელობის თეატრი) საოპერო დასი მუშაობდა,
რონელშიაც მონაწილეობდნენ: ო. ბახუტაშვილი (შულგინა),
ო. კალანდაძე (ალაოვისა), ფერარი, მიხაილოვა, ხორინა,
ხლევკოვსკაია, ვანო სარაჯიშვილი, ორდა, ბერიოზინი, კურ-
ზატოვი, ტრაცენკო, ვრონსკი და სხვანი.

პარიტონის პირველი პარტიების შემსრულებლად მიწვე-
ულ იქნა სანდრო ინაშვილიც.

რაპერტულარში შეტანილი იყო: „ტრაავიატა“, „ევეგენი ონე-
გინი“, „რიგოლეტო“, „ფაუსტი“, „ჯამბაზები“, „სოფლის პა-
ტიცხენება“ და სხვა ოპერები, რომლებიც მაშინ სახელმწი-
ფო თეატრის სცენაზე იდგმებოდა. ეს დასი ძლიერ კონკურენ-
ციას უწყევდა თბილისის ოპერას. დარბაზი მუდამ სავსე იყო.
აი, როგორ ახაიათებს მაშინდელი პრესა კლუბის ინციდა-
ტებით შექმნილ ამ მეორე ოპერას:

ამ თეატრში ბევრი რამ სტოვებს კარგ შთაბეჭდილე-
ბას: სოლისტები, რომლებიც მეტწილად ნიჭიერი და კარ-
გად ნომზადებული ახალგაზრდობისაგან არიან შერჩეულ-
ნი. მცირე, მაგრამ ძალიან კარგად შედგენილი ორკესტრი
და ზავსებით წესიერი დადგმები... ქართულ თეატრს ყვე-
ლა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ ღირსეული როლი შე-
ასრულოს თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში.

ჯერ ერთი: ეს თეატრი ხელმისაწვდომია დემოკრატიუ-
ლი ინტელიგენციის ფართო მასისათვის და შეუძლია მის
წრეში საოპერო მუსიკის გავრცელების ჩინებული იარა-
ღი გახდეს.

მეორე: წარმოადგენს რა ახალგაზრდა არტისტული ძა-
ლების ასპარეზს, ქართული საოპერო თეატრი მეტად მნი-

შენელოვან საქმეს აკეთებს, — იგი სკოლაა ნიკიერი არტისტული ძალებისა, რომელთაც ეკუთვნისთ მომავალი.

რაც შეეხება ქართული თეატრის რეპერტუარს, ჩვენის ფიქრით, იგი ისეთი არ უნდა იყოს, როგორც ახლაა და მაშინ თეატრის ღირსება რამდენიმეჯერ გაიზრდება...”

გამოითქვა მოსაზრება, რომ თეატრმა, რაღაც უნდა დაეუჯდეს, მაინც უნდა დასდგას დ. არაყიშვილისა და ზ. ფალიაშვილის ოპერები—„თქმულება შოთა რუსთაველზე“ და „აბესალომი“, აგრეთვე—კავკასიის ერების სამუსიკო ნაწარმოებნი და აღმდგინოს ე. წ. „ლირიკული ოპერის“ ტრადიციები იმ ძველი ოპერების განახლებით, რომლებიც დიდი ხანია არ იდგმებოდნენ თბილისში.

თუმცა ასეთი რეფორმატორის როლის შესრულება ამ თეატრმა ვერ შესძლო, მაგრამ სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ, კლუბის გამგეობისა და მსახიობთა კოლექტივის გულმოდგინეობით, ერთგვარი ახალი ნაბიჯის გადადგმა მაინც მოახერხა. აქ დაიდგა ოპ. „ხეობა“—დალბერისა, რომელიც საბაზინო თეატრის სცენაზე არ მღიოდა (სანდრო ინაშვილი ამ ოპერაში ორ პარტიას ასრულებდა — მეწისქვილისა და სებასტიანისას); 1918 წლის მაისის განმავლობაში აქვე დაიდგა მირველი ორიგინალური ქართული ოპერა რ. გოგნიაშვილისა — „ქრისტინე“, რომელიც იმავე წლის 17 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე გადაიტანეს. „ქრისტინეში“ იასონის პარტია ვანო სარაჯიშვილმა შეასრულა და მაშინდელი პრესის შეფასებით „სრული ხატება მოგვცა“. „აბესალომის“ დადგმის განხორციელება ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო თეატრმა ვერ შესძლო. 1917-18 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ დასი დაიშალა.

სანდრო ინაშვილის გამოსვლა ამ სცენაზე ვალენტინის პარტიით დაიწყო (ოპ. „ფაუსტი“—გუნოსი). პრესა აღნიშნავდა: დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა მომღერლის „ძლიერმა, ლამაზმა ხმამ, კარგმა სკოლამ და ეოკალურმა მონაცემებმა, რომლებიც უსათუოდ იჩენენ თავს, როდესაც სა-

დებიუტო მღელვარება გაჰქრება“. და მართლაც, ეს ჩვეულებრივი მღელვარება მალე გაჰქრა. ეანო სარაჯიშვილთან, შესანიშნავ ბარიტონ ორდასთან და სხვებთან ერთად სანდრო ინაშვილი წარმატებით გამოდიოდა ამ სცენაზე და დამსწრე საზოგადოების მხურვალე პატივისცემით სარგებლობდა.

1918 წლის 16 იანვარს სანდრო ინაშვილის საბენეფისოდ „ევეგენი ონეგინი“ დაიდგა. ამ დღეს პირველად შეასრულა აქ სანდრომ ონეგინის პარტია.

პ. ი. ჩაიკოვსკის ეს შესანიშნავი ნაწარმოები, როგორც აღვნიშნეთ, მისთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო. ცალკეულ სცენებსა და არიებს იგი აქამდეც ასრულებდა სხვადასხვა საღამო-კონცერტებში. პროფ. რიადნოვის დახმარებით პარტია მალე მოამზადა და გულმოდგინედ დაამუშავა ყოველი დეტალი.

დარბაზი ხალხით გაიჰყედა. დამსწრე საზოგადოება ტაშის ქუხილით ეგებებოდა შესანიშნავი ხმით დაჯილდოებულ ახალგაზრდა მომღერალს, რომელმაც უკვე საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და დღეს ასეთ საპასუხისმგებლო პარტიაში გამოდიოდა. სანდრომ საჩუქრად მიიღო დიდძალი ძვირფასი ნივთი და ყვავილი.

გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ (18 იანვ.) სწერდა:

„ახალგაზრდა, დამწყებმა მომღერალმა ბ-მა ინაშვილმა თავისი სათეატრო დღეობისათვის ონეგინის პარტია აირჩია. იგი თუმცა ჯერ კიდევ არ არის კარგად გამოცდილი მსახიობი, მაგრამ თავისი ვოკალური და სცენიური მონაცემებით უკვე შესძლო საზოგადოების სიმპატიისა და ყურადღების დამსახურება. 16 იანვრის სპექტაკლის დამსწრეთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია ამის უცილობელ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

ბ-ნ ინაშვილს სასიამოვნო ტემბრის ბარიტონი აქვს. მან მხცოვანი პროფესორის რიადნოვის სკოლა განვლო და ბევრი შესაძლებლობა გააჩნია, რათა შემდეგში ოპერის გამორჩენილი არტისტების რიგებში ჩადგეს...“

გარდა პარტიის ბრწყინვალედ შესრულებისა, სანდრომ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე თავისი მოხდენილი სცენიური გარეგნობითაც. მამინვე ამკარა გახდა, რომ პუშკინისა და ჩაიკოვსკის უკვდავ გმირს, სანდრო ინაშვილის სახით, ახლო მომავალში მეტად თვალსაჩინო განმსახიერებელი ეყოლებოდა, ამის პირველი ავტორიტეტული წინასწარმეტყველი ვანო სარაჯიშვილი იყო.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ათრთოლებულმა ვანომ მკერდში ჩაიკრა ახალგაზრდა მეგობარი და დიდხანს არ შეუშვა მას თავისი ვაჟკაცური მკლავები. შემდეგ სწრაფად შეატრიალა, ბეჭებზე მაგრად დაჰკრა ხელი და ორი წვეთი ცრემლი მოიწმინდა.

იმავე წლის 2 მარტს მომღერალ ო. ს. კალანდაძე-აღასოვას ბენეფისზე სანდრო ინაშვილმა დიდი წარმატებით შეასრულა ჟერმონის პარტია (ოპ. „ტრავიატა“—ვერდისა) და კიდევ უფრო მეტად განამტკიცა საზოგადოების აზრი თავისი დიდი არტისტული ნიჭის შესახებ.

1918 წლის ზაფხულის განმავლობაში სანდრო ინაშვილი ხშირად გამოდიოდა საღამო-კონცერტებში ვანო სარაჯიშვილთან ერთად.

ეს პერიოდი ქართული მუსიკის ფართო ასპარეზზე გამოტანით ხასიათდება. დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და ვიქტორ დოლიძე თავიანთი ოპერების დასადგმელად ემზადებოდნენ. თბილისში მოღვაწეობდა ქართული საგუნდო ხელოვნების შესანიშნავი ოსტატი ნიკო სულხანიშვილი. გახშირდა ქართული მუსიკის თემატიური კონცერტები.

ეროვნული მუსიკალური კულტურის ამ ამოძრავებულ ტალღას ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი შეეგებნენ და თავიანთი შესანიშნავი სიმღერით მხარდამხარ აჰყვენენ მას დიდების მწვერვალისაკენ.

18 მაისს ქართულ კლუბში გაიმართა „ქართველ ხელოვანთა“ საღამო, სადაც შესრულებულ იქნა დიმ. არაყიშვილის სამუსიკო ნაწარმოებნი. საღამოში მონაწილეობა მიიღეს

ო. ა. ბახუტაშვილმა-შულგინამ, ვანო სარაჯიშვილმა და სანდრო ინაშვილმა. ეს წმინდა ეროვნული მუსიკის საღამო იყო. შესანიშნავ ქართულ მომღერალთა წყალობით დიშ. არაყიშვილის ნაწარმოებებმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს დამსწრე საზოგადოებაზე. ამაში სანდრო ინაშვილსაც დამსახურებული წილი ედო. სანდრო თავიდანვე განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა ნაწყვეტებს ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და დიშ. არაყიშვილის სხვადასხვა რომანსებს.

9 ივლისს ოპერის თეატრში ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით „ქართულთა სამხედრო კავშირის“ გუნდმა გამართა დიდი კონცერტი, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო: ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ი. ჯაბადარის, კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებნი და ქართული ხალხური სიმღერები. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ვანო სარაჯიშვილმა, სანდრო ინაშვილმა და კალანდაძე-აღასოვამ. სანდრომ შესანიშნავად შეასრულა აქ გუნდის თანხლებით სხვადასხვა ხალხური სიმღერები და ვანო სარაჯიშვილთან ერთად უდიდესი წარმატება მოიპოვა. კიდევ ბევრი მსგავსი საღამო-კონცერტი ჩატარდა ამ ზაფხულის განმავლობაში.

* * *

1918 - 19 წლის სეზონიდან სანდრო ინაშვილმა თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში განაგრძო მუშაობა. მაშინ ანტრეპრიზას სათავეში ედგა სიმღერის მასწავლებელი ლევიცკი. სეზონი 15 სექტემბერს გაიხსნა ვაგნერის ოპერა „ტანჰეიზერიტ“. სანდრო ინაშვილი პირველსავე დღეს ჩაება მუშაობაში და ვოლფრამის პარტია შეასრულა ამ ოპერაში. სპექტაკლი მეორე დღესაც განმეორდა მისივე მონაწილეობით.

25 სექტემბერს სანდრომ ვალენტინის პარტია შეასრულა ოპერა „ფაუსტში“. სახალხო სახლისა და ქართული კლუბის სცენებზე მუშაობით მან თავისი არტისტული ზრდის პირვე-

ლი საფეხური განვლო და მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. ახლა იგი უკვე გარკვეული მხატვრული ღირსებით აღჭურვილი მსახიობი იყო.

„ფაუსტში“ გამოსვლის გამო იგაზეთი „კავკასსკოე სლოვო“ 27 სექტემბრის ნომერში სწერდა:

„... ახალგაზრდა მომღერალი ბ-ნი ინაშვილი დაჯილდოებულია ძალიან ლამაზი ხმითა და კარგი მუსიკალობით. მომღერალს მშვენიერი გარეგნობა და რაღაც შინაგანი კეთილშობილება აქვს“.

ნოემბრის დამდეგიდან ანტრეპრიზა ს. ი. ევლახიშვილს გადაეცა. დასი გადახალისდა. მოწვეულ იქნენ ვანო სარაჯიშვილი, ალექსო და საბანეევა. სპექტაკლების მხატვრული დონე დიდად ამოღდა. 21 დეკემბერს სანდრომ ჟერმონის პარტია შეასრულა ოპ. „ტრაავიატაში“, რომელშიაც მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი (ალფრედი) და საბანეევა (ვიოლეტა). ამ შესანიშნავ ოსტატებთან ერთად შემდეგ მან ზედიზედ დაიწყო გამოსვლა სხვა საპასუხისმგებლო პარტიებშიაც. შეუპოვარი მუშაობის შედეგად ყოველ სპექტაკლში შესამჩნევი ხდებოდა მისი თვალსაჩინო ზრდა; სცენიური სახეები თანდათან უფრო დახვეწილ და რელიეფურ იერს იღებდნენ, ეს კი თავის ნაყოფიერ გავლენას ახდენდა ვოკალურ გაღმორცემაზედაც.

1919 წლის 24 იანვარს ალ. წუწუნავას რეჟისორობით თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ქართულად დაიდგა რუბინ-შტეინის ოპერა „დემონი“. სანდრო ინაშვილმა პირველად შეასრულა ღღეს აქ მშობლიურ ენაზე ბარიტონის ერთ-ერთი შესანიშნავი და ძნელი პარტია. სინოდალს ვანო სარაჯიშვილი მღეროდა, თამარს—ო. ბახუტაშვილი-შულგინა.

რუბინშტეინის საუცხოო ქმნილება თითქოს სანდრო ინაშვილის ხავერდოვანი ბარიტონისათვის იყო შექმნილი. თეატრის გულში სასიამოდ გუგუნებდა მისი ხორცსავსე, მჭიდრო ბგერა და აღტაცებას იწვევდა ხალხში.

გენიალური ლერმონტოვის პოეტური ოცნების ნაყოფი— „სამოთხის ურჩი“—დემონი, ზოგიერთ სცენაში ჩოხით მორთული გამოჰყავდათ. მხოლოდ სანდრო ინაშვილის შნოიან ტანადობას, ბუნებითად გრაციოზულ პლასტიკას და მხატვრული ზომიერების ალღოს შეეძლო აქ გაშარეების თავიდან



სანდრო ინაშვილი დემონის როლში

აცდენა. ქართული „დემონი“ დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. ამის მიზეზი მთავარი პარტიის შემსრულებელი სანდრო ინაშვილი იყო.

* *
*

1919 წლის 5 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა დიმ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. სპექტაკლში მთავარი როლების შემსრუ-

ლებლებად გამოვიდნენ: ო. ბახუტაშვილი-შულგინა, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი და პოლიაევი.

ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი დიდი წარმატებით ასრულებდნენ ნაწყვეტებს ამ ნაწარმოებიდან ქართულ სალამო-კონცერტებში და ავტორთან ერთად ნიადაგ იმ დღეზე ოცნებობდნენ, როცა ამ ოპერას სცენაზე დადგმა ელირსებოდა. ეს ოცნება განხორციელდა! ვანო დიდი ეროვნული სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა მუდამ, რომ მას წილად ხვდა მშობლიურ ოპერაში უკვდავი რუსთაველის განსახიერება.

სანდრო ინაშვილს ამ ოპერაში შესრულებული აქვს ორი პარტია — მგოსნის და აბდულ-არაბისა. დიმიტრი არაყიშვილის ოპერის ამ გმირებს სანდრო ინაშვილმა ჩაუდგა პირველად სული და შექმნა აბდულ-არაბის ღირსსახსოვარი მხატვრული სახე, რაც ბრწყინვალე ტრადიციად გადმოეცა შემდგომ თაობას. ვოკალურად უკეთეს შემსრულებელს ვერც ინატრებდა მხცოვანი კომპოზიტორი.

სანდროს მიერ შესრულებული ცნობილი არია აბდულ-არაბისა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე თავისი ხალასი ფანცღით, პოეტური გატაცებითა და სიფაქიზით. რამდენი გულწრფელი მღელვარებაა ჩაქსოვილი აქ ყოველ ფრაზაში, რაოდენი აღერსითა და კეთილშობილებით ეღერს ყოველი სიტყვა! ამ არიას სანდრო ინაშვილის შესრულებით მუდამ დაუცხრომელი ტაშის ქუხილი ახლდა ოპერაშიც და კონცერტებშიაც. გულჩინასთან სცენა და დუეტი სანდრო ინაშვილის დამახასიათებელი მუსიკალობითა და არტიტული ოსტატობით მიმდინარეობდა. ყოველი მისი ექსტი და სცენაზე ფეხის გადადგმა მხოლოდ მთლიან სასცენო განწყობილებასა და ჰარმონიას ემორჩილებოდა, ორკესტრის ეღერადობასთან იყო შერწყმული. ეს მშვენიერი სცენა და დუეტი სანდრო ინაშვილის მეოხებით სპექტაკლის უძლიერესი ადგილი იყო.



ს ა ნ დ რ ო ი ნ ა შ ვ ი ლ ი ა ბ დ უ ლ - ა რ ა ბ ი ს რ ო ლ შ ი .

შესანიშნავ შემსრულებელთა წყალობით დიმიტრი არაყი-
შვილის ოპერამ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. სანდრო
ინაშვილს ამაში ღირსეული წილი ედო.

*

1919 წლის 21 თებერვალს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის
გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

„აბესალომი“ ნელი ტემპით იწერებოდა. პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გადატვირთულ ზაქარიას მხოლოდ ზაფხულის თვეებში ეძლეოდა ოპერაზე მუშაობის შესაძლებლობა. 1913 წელს ოპერის ნაწყვეტების დადგმის შემდეგ ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ინაშვილის თანამშრომლობამ ზაქარია ფალიაშვილთან სისტემატური ხასიათი მიიღო. შესანიშნავი ქართული ოპერის შექმნის პროცესში ვანო და სანდრო ზაქარია ფალიაშვილის ხშირი სტუმრები იყვნენ. ზაქარია გზადაგზა აცნობდა მათ თავის ნამუშევარს და შემდეგს შემოქმედებითს გეგმებს უზიარებდა. მეგობრულ სჯაბაასში არა ერთი საგულისხმო აზრი გამოთქმულა ვოკალის გამოყენებისა და ქართული ხალხური სიმღერის ბუნების შესახებ, რაც მშვენივრად იყო ცნობილი ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ინაშვილისათვის. ყოველგვარ ყოყოჩობას განრიდებული, პრაქტიკული და ცოცხალი საქმით დაინტერესებული ზაქარია დიდი სიამოვნებით უგდებდა ყურს თავისი ოპერის პირველ დიდებულ შემსრულებლებს და იქვე ითვალისწინებდა მათ ფონივრულ რჩევას.

„აბესალომი“ დასასრულს უახლოვდებოდა. ვანომ და სანდრომ ზაქარიასთან თავიანთი პარტიების შესწავლა დაიწყეს. ახლა ზაქარია მათ პირდაპირ გასაქანს აღარ აძლევდა:

— ხვალ კიდევ მოდიო, ბიჭებო, ხვალ კიდევ მოდიო!

ამის გამო ვანო ჩუმობით ეტყოდა ხოლმე ზაქარიას: ბარემ ლოგინებს მოვიტანთ აქ და შენს როიალზე მგავიმ-ლითო.

ვანოსა და სანდროს ყოველი ასეთი სტუმრობა მეცადინეობის დამთავრების შემდეგ არც ისე რაფი უჯდებოდა ზაქარიას. „აბესალომი და ეთერის“ სცენაზე დადგმასთან დაკავშირებით ზაქარია ფალიაშვილთან ერთად ბევრი ირბინეს და ინერვიულებს ვანო სარაჯიშვილმა და სანდრო ინაშვილმა.

„აბესალომის“ დადგმა ჩვენს სცენაზე პირველად ჭანახორციელა ა. რ. წუწუნაევამ, გააფორმა მხატვარმა ზალცმანმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ო. ბახუტაშვილი-შულგინა

(ეთერი), ბ. ზალიბსკი (აბესალომი), გ. ქურხული (აბიო), ვ. ლორთქიფანიძე (ბელიარ-ეშმაკი) და სხვა მომღერლები. მურმანის პარტიას სანდრო ინაშვილი ასრულებდა. ოპერას ღირი-ჯორობდა ზაქარია ფალიაშვილი, რომელსაც შესანიშნავი სიტყვებით მიმართეს და მქუხარე ოვაცია გაუმართეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ აბესალომის პარტიაში ვანო სარაჯიშვილი გამოვიდა და იმ დღეს სულ სხვა ეშხით ამღერდა გულჩატხრობილი მურმანი—სანდრო ინაშვილი. მშვენიერი მომღერალი ზალიბსკი გაოცებული იყო ვანო სარაჯიშვილის ტიტანური ძალით აბესალომის პარტიაში. ასე რომ იმდრო „აბესალომი“, სარაჯიშვილად უნდა დაიბადო, — ამბობდა იგი. ზაქარია ფალიაშვილის უკვდავმა ქმნილებამ შესანიშნავი შემსრულებლები ჰპოვა სანდრო ინაშვილისა და ვანოს სახით. ცნობილი დუეტი ამ ოპერაში პირდაპირ სწორუპოვარ გავლენას ახდენდა ხალხზე. ორი, შესანიშნავი ტემბრის ხავერდოვანი ხმა აქ ჯადოქრული სინარჩარით ერწყმოდა ერთმანეთს და მთელს დარბაზს ყრუანტელის მომგვრელი გუგუნით ეფინებოდა.

ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ინაშვილის მეოხებით „აბესალომის“ სცენიურმა განსახიერებამ მაშინ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ყოველი სპექტაკლი ეროვნული დღესასწაულის სახეს იღებდა.

შესანიშნავმა თქმულებამ „ეთერიანმა“ პირველად შეისხა ხორცი, და სპექტაკლის შემდეგ ხალხი თითქოს ჯერ ისევ ზღაპრულ ბურანში იყო. ეს ორი, მხარ-ბეჭში გაშლილი ტანადი ვაჟკაცი მართლაც ბროლის კოშკიდან ჩამოსულ რაინდებად ეჩვენებოდათ. ფრთხილი, ვერაგი, შურით ავსილი და გულხარბი მურმანი — სანდრო ინაშვილი ახლა ერთგული ვეზირივით მიჰყვებოდა გვერდში თავის ძვირფას მეგობარს— ვანო სარაჯიშვილს და ეს... თითქოს უკვირდათ კიდევ! აბესალომისა და ეთერის გათიშვისათვის სანდრო მაშინ ბევრს „შესტულდა“.

— აი, აი, ერთად მიდიან... გვერდში მიჰყვება ეს საზიზღა-
რი!— იტყოდნენ ხოლმე და მოჯადოებულებით აედევნებოდ-
ნენ უკან ვანოსა და სანდრო ინაშვილს, რომლებიც თითქოს
განგებ გამოეძეარწა ბუნებას ასეთ დიდებულ წყვილად ზაქა-
რია ფალიაშვილის გენიალური ოპერის დასამშვენებლად.



სანდრო ინაშვილი მურმანის როლში

სანდრო ინაშვილის მურმანს ვეებერთელა მხატვრული ზე-
გაელენის ძალა ჰქონდა „აბესალომის“ სცენაზე გამოჩენისთა-
ნავე. რაც უფრო ხშირად იღგმებოდა ეს ოპერა, მით უფრო
იხვეწებოდა მურმანის მხატვრული სახე.

1919 წლის 28 აპრილს ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო
ინაშვილის საბენეფისოდ „აბესალომ და ეთერი“ დაიდგა. სა-

დირიჟორო პულტთან ზაქარია ფალიაშვილი იყო. ხალხით გაქედნილი დარბაზი ტაშის ქუხილით ეგებებოდა შესანიშნავ აბესალომსა და მის ვეზირს—მურმანს. უსომოდ აღელვებული ზაქარიაც გულწრფელ მადლობას უხდოდა თავისი ოპერის პირველ დიდებულ შემსრულებელთ.

„აბესალომ და ეთერმა“ ელვის სისწრაფით მოიპოვა პოპულარობა. საქართველოს რაიონებში მოუთმენლად მოვლოდნენ მის მოსმენას. იმავე წლის ზაფხულში ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილისა და მომღერალ მ. გ. ვიშემირსკაიას მონაწილეობით დიდი საკონცერტო ტურნე ჩატარდა. გორიდან მოკიდებული ბათუმამდე ბევრი კონცერტი გაიმართა „აბესალომ და ეთერის“ ნაწყვეტებიდან. ხალხი აღფრთოვანებით ეგებებოდა შესანიშნავი ქართული ოპერის ავტორსა და მის შემსრულებლებს. სანდრო ინაშვილის და ვანო სარაჯიშვილის გამოწვევას, ტაშის გრიალს და თაიგულების შირთმევას ბოლო არ ჰქონდა. „აბესალომის“ გარდა სანდროს აქ ბევრი სხვადასხვა რომანსისა და ქართული სიმღერის შესრულება უხდებოდა.

ამ შესანიშნავი მოგზაურობით სანდრო ინაშვილმა კიდევ უფრო მეტად გაითქვა სახელი ხალხში და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

*

სანდრო ინაშვილის შესანიშნავი ხმა თანდათან უფრო გაძლიერდა და მომეტებულად სასიამო სასმენი გახდა. დღითიდღე მდიდრდებოდა მისი რეპერტუარიც. სანდრო სისტემატურად გამოდიოდა ვანო სარაჯიშვილთან, ალექსოსთან, საბანეევასთან და სხვა მომღერლებთან ერთად „ლაკმეში“, „კარმენში“, „ტრავეიატაში“, „ფაუსტში“, „რიგოლეტოში“, „მანონში“ და სხვა ოპერებში. მის მიერ განსახიერებული გმირები თანდათან უფრო სისხლჭარბნი და ამაღლვებელნი ხდებოდნენ.

შესანიშნავ ანსამბლში მონაწილეობისა და თავის თავზე შეუპოვარი მუშაობის შედეგად, ვოკალური ოსტატობაც ხვალსაჩინოდ იხვეწებოდა. საბანეევასა და ვანო სარაჯი-წვილის გვერდით პირველი პარტიების შესრულება ისეთ ოპერებში, როგორცაა „ტრაავიატა“, „რიგოლეტო“, „ფაუსტი“ და სხვ., ჯერ კიდევ ახალგაზრდა მომღერალ სანდრო ინაშვილისათვის ისაუცხოო მხატვრული სკოლა იყო. ხალასი არტისტული ნიჭით დაჯილდოებული სანდრო ღრუბელივით ისრუტავდა თავისი სახელოვანი კოლეგებისაგან მდიდარ ვოკალურ კულტურას და სასცენო გამოცდილებას. ამ ფარემრე-ბამ შესაძლებელი გახდა მისი სწრაფი ზრდა და მრავალმხრი-ვი დახელოვნება. მცირე ხნის განმავლობაში სანდრო ინაშვი-ლი დიდი რეპერტუარის მქონე თვალსაჩინო მომღერალი გახდა.

1919 - 20 წლის სეზონი 4 ოქტომბერს გაიხსნა „აბესალო-მით“. სანდრო მურმანის პარტიას ასრულებდა, 6 ოქტომბერს კი ონეგინის პარტიის შესრულება მოუხდა. ამასთან დაკავ-შირებით გამოქვეყნებულ რეცენზიაში ეკითხულობთ: „...მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბ-ნ ინაშვილის ლამაზი ხმა. მსახიობი შესამჩნევ ვოკალურ წარმატებებს აღწევს, იგი უფ-რო გაბედულად და მკაფიოდ მღერის. უეჭველია, მისგან სა-ინტერესო საოპერო ძალა იქმნება“.

ორი დღის შემდეგ სერიოზულად ავად გახდა მომღერალი პოლიაევი, და ბარიტონის პირველი პარტიები სანდრო ინა-შვილს დაეკისრა. საინტერესოა თვალი გადავავლოთ თუ რო-გორ უხდებოდა მაშინ მას გამოსვლა:

5 ნოემბერს—„ტოსკა“, 6—„ტრაავიატა“, 12—„აბესალო-ში“, 13—„სევილიელი დალაქი“, 14 — „აბესალოში“, 15 — „დემონი“, 16—„აიდა“, 19 — „აბესალოში“, 23 — „ტოსკა“, 24 — „მედის საცოლე“, 26 — „ევგენი ონეგინი“, 27—„აბე-სალოში“, 29 — „ფაუსტი“... და ასე შემდეგ, თითქმის მთელი სამი თვის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ოდნავი შეფერ-ხებაც არ გამოუწვევია, არც ერთი სპექტაკლი არ მოხსნილა

მისი მიზეზით. ეს სეზონი მაშინ პირდაპირ სანდრო ინაშვილმა გადაარჩინა, რაც სამართლიანად აღნიშნა კიდეც პრესამ.

ამ დაძაბული მუშაობის დროს სანდრომ დიდი წარმატებით შეასრულა რამდენიმე ახალი პარტია:

20 ოქტომბერს ოპ. „მანონში“ გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „სლოვო“ (№ 56) სწერდა: „ყალთაბანდ ლესკოს ოდნავ კომიკური როლის შემსრულებელმა ბ-მა ინაშვილმა აქაც არ უღალატა თავის ჩვეულ, დაბინდულ კეთილშობილებას“.

5 ნოემბერს სანდრო სკარპიას პარტიაში გამოვიდა (ოპ. „ტოსკა“). კავარადოსის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, ტოსკას—ალეშკო. სავესებით გასაგებია, თუ რა მხატვრულ სიმაღლეზე უნდა მდგარიყო სანდრო ამ სპექტაკლში, რომ ასეთ შესანიშნავ თანაშორწილეთა გვერდით პირნათლად გამოსულიყო: ალეშკო ტოსკას ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იყო, ვანო სარაჯიშვილი კი უძლიერეს მთაბეჭდილებას სტოვებდა კავარადოსის პარტიაში.

სკარპიას როლი მსახიობისაგან დიდ სცენიურ დახელოვნებას მოითხოვს, ვოკალურადაც ძნელ პარტიად ითვლება ბარიტონის რეპერტუარში. ყოველდღე სპექტაკლებში დაკავებულ სანდროს პირველად მოუხდა მაშინ ამ მძიმე ამოცანის გადაწყვეტა. გამოქვეყნებულ რეცენზიაში ვკითხულობთ:

„...სკარპიას მღეროდა ბ-ნი ინაშვილი. მსახიობი, მკონი, პირველად ასრულებს ამ პარტიას. ცხადია, ასეთ პირობებში არ შეიძლება მსახიობისადმი ბევრ მოთხოვნაობათა წაყენება. სკარპიას როლი მოითხოვს დიდ დაკვირვებულ მუშაობას, დიდ გამოცდილებას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ინაშვილს პოლიაევის ავადმყოფობის გამო რეპერტუარის მთავარი სიმძიმის თავის მხრებზე გადატანა და თითქმის ყოველდღე სიმღერა უხდება, მაშინ ისიც კი საკვირველი იქნება, რაც მან „ტოსკაში“ მოგვცა. მსახიობმა საკმაოდ წესიერად ჩაატა-

რა თავისი პარტია, ხოლო მისი ხმა ლამაზად ეღერდა, თუმცა ჩვეულებრივზე უფრო ნაკლების ძალით.

ბარაჯიშვილის მუსიკალობა განსაკუთრებით მკაფიოდ შელავნდება კავარადოსის პარტიაში. არიას სიკვდილის წინ — „ვარსკვლავნი ჰკრთოდნენ“ მსახიობი იტალიურად ასრულებს...“

სანდრო ინაშვილის ვრცელ რეპერტუარში სკარპიას პარტიამ შემდეგ ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა.

როგორც შემდგომი თვალსაჩინო წარმატება, აღსანიშნავია ამ სეზონში სანდროს გამოსვლა მასნეს ოპერა „თაისში“, ადანილის პარტიაში.

„თაისი“ კარგა ხანია არ იდგებოდა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე. იგი საგანგებოდ აღდგენილ იქნა სანდრო ინაშვილის საბენეფისოდ 1920 წლის 2 მარტს. თბილისის საზოგადოებრიობა და პრესა გულთბილად შეეგებნენ ახალგაზრდა მსახიობის მომავალ ბენეფისს. გაზეთი „ვოზროუდენიე“ სწერდა:

„... ბ-ნი ინაშვილი მიმდინარე სეზონში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მუშაობას ეწევა. შეიძლება ითქვას, რომ, მან პირდაპირ იხსნა საოპერო სეზონი. ბ-ნ პოლიაევის ავადმყოფობის გამო მას მარტო ერთს მოუხდა თითქმის სამი თვის განმავლობაში ბარიტონის ყველა პირველი პარტიის შესრულება. მის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძნელ ამოცანას მშვენიერად გაართვა თავი.

ხალასი, ლამაზი ტემბრისა და თბილი ბარიტონის პატრონმა ბ-ნმა ინაშვილმა, მიუხედავად ჯერ კიდევ ჰაბუკუარი სცენიური გამოცდილებისა, მოასწრო და ისახელა თავი, როგორც კარგი ფრაზირებისა და მკაფიო დიქციის მქონე საინტერესო მსახიობმა. მისი ხმა განუწყვეტლივ ვითარდება და გვაიმედებს, რომ ბრწყინვალე სიდიადით წარმოგვიდგება. უეჭველია, საზოგადოება ღირსეულად მიუზღავს სამაგიეროს სიმპატიურ მსახიობს და მის ბენე-

ფისს პატივს დასდებს იმ ყურადღებით, რაც მან უსათუოდ დაიმსახურა...“

ბენეფისმა მართლაც საზეიმო ხასიათი მიიღო და ნათლად გამოააშკარავა ის სიყვარული, რაც სანდრო ინაშვილმა სავსებით სამართლიანად დაიმსახურა თავისი შესანიშნავი ხმით, არტისტული ნიჭითა და თავდადებული მუშაობით. დარბაზი ხალხით გაიჟედა. ტაშის ღრიალს, სხვადასხვა საჩუქრების მირთმევასა და აღფრთოვანებულ შექახილებს ბოლო არ ჰქონდა. საერთო ყურადღებას იპყრობდა ვეებერთელა თაიგული წარწერით — „მადლიერ ევლახიშვილისაგან“. ანტრეპრენიორის ეს მადლობა სანდრომ ერთიათად დაიმსახურა; აკი მან ჩიხში მომწყვდეული დასი მეტად უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა და ნივთიერადაც დიდი სარგებლობა მოუტანა მას.

ანატოლ ფრანსის რომანის მიხედვით შექმნილი ოპერა მასნესი საკმაოდ სახელმოხვეჭილი ნაწარმოებია. ათანაილის პარტია ამ ოპერაში ბარიტონის მთელი რეპერტუარის ერთერთ საინტერესო და ძნელ ნიმუშს წარმოადგენს. სცენიურადაც დიდ დახელოვნებას მოითხოვს ფანატიკოსი ასკეტის — ათანაილის განსახიერება. მიუხედავად მთელი სეზონის განმავლობაში ყოველდღიური მომქანცველი გამოსვლებისა, სანდრო ინაშვილმა შესანიშნავად გამოჰკვეთა მაშინ პირველად ამ თვალდასიციხელი განდეგილის მხატვრული სახე.

აი, როგორ ახასიათებდა მაშინდელი პრესა სანდრო ინაშვილის გამოსვლას ათანაილის პარტიაში:

„...ახალგაზრდა ბარიტონმა ინაშვილმა მიმდინარე სეზონში დიდ წარმატებებს მიაღწია და სცენის საკმაოდ დიდ ოსტატად წარმოგვიდგა. ლამაზ ხმასთან ერთად მისი შესრულება მუდამ კეთილშობილურ იერს ატარებდა. მის ვოკალურ და სცენიურ ნიჭში დაბინდული ტონები სჭარბობს. იგი უფრო საინტერესოა ელემენტარული პარტიებში. მას აქვს თავისი ინდივიდუალობა და ეს ინდივიდუალობა მეტად მიმზიდველია.“

ყველა ეს თვისება ნათლად გამოამჟღავნა მომღერალმა ათანაილის პარტიაში, რომელიც გემოვნებითა და ემოციური გამომეტყველებით არის გადმოცემული. მომღერლის ხმა ამ პარტიაში ძალიან ლამაზად ჟღერს...

სხვა რეცენზიაში ვკითხულობთ:

„... ბ-ნი ინაშვილის მუშაობა მიმდინარე სეზონში განსაკუთრებით ნაყოფიერად უნდა მივიჩნიოთ. მან გადაიტანა თავის ზურგზე რეპერტუარის მთავარი სიმძიმე ბარიტონის პარტიათა სფეროში და პოლიაევის ავადმყოფობის გამო ზედმიწევნით მძიმე სამუშაო შეასრულა. ამ სეზონში ბ-ნი ინაშვილი ძალიან შორს წავიდა წინ. მისი ხმა სახარბიელო ბრწყინვალეობით ძლიერდება და ვითარდება. შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობი ბ-ნი ინაშვილი ამ ბოლო დროს დიდ მიღწევებს ამყვანებს. ტემბრის სილამაზე მოხდენილად აქვს შერწყმული მას სუფთა ბგერასა და კარგ ფრაზირებასთან. საგრძნობ წარმატებებს აღწევს მსახიობი სცენიურადაც და საზროსიანად თამაშობს...“

(გაზ. „ვოზროუდენიე“ № 52—1920 წ.).

ეს რეცენზიები სავსებით ნათელპყოფენ სანდრო ინაშვილის დიდ დაწინაურებასა და მიღწევებს. შედარებით მცირე ხნის განმავლობაში.

სანდრო ინაშვილის არტისტული ზრდა უზომო სიხარულს ჰგვირიდა მის უფროს მეგობარს—ვანო სარაჯიშვილს, რომელსაც ახლა სისტემატურად უხდებოდა მასთან გამოსვლა. ბოლო წლებში ვანომ უფრო გააფართოვა თავისი ისედაც შდიდარი რეპერტუარი და დრამატიული ტენორის პარტიებში დაიწყო გამოსვლა. აქაც შესანიშნავ პარტნიორად ჰყავდა მას გვერდში სანდრო ინაშვილი. სპექტაკლები ვანოს, სანდროს, ალექსოასა და საბანეევას მონაწილეობით მუდამ მაღალ მხატვრულ დონეზე იდგნენ და ხალხით გაჭედდნენ დარბაზში მიმდინარეობდნენ.

1920 წლის 18 მარტს ვანო სარაჯიშვილის საბენეფისოლ დაიდგა მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტები“. რაულ დე-ნანკის შესანიშნავი პარტია ბრწყინვალე წარმატებით შეასრულა ვანომ და ხალხში აუწერელი აღტაცება გამოიწვია. გრაფ ნევერის პარტიას სანდრო ინაშვილი ასრულებდა. იგი იმდენად მოხიბლული იყო ვანოს სიმღერით, რომ ზოგჯერ თავისი რეპლიკაც კი ავიწყდებოდა. დიდი ხელოვნებით უსაზღვრო გატაცება სანდროს დამახასიათებელი თვისება იყო თავი-დანვე.

სეზონის დამთავრების შემდეგ სანდრო ავად გახდა, ტიფი აღმოაჩნდა. შემდეგ ფილტვების ანთებაც ზედ დაერთო. ორი თვე ლოგინს თავი ვერ აართვა. პრესამ ხმა აღიმადლა:

„... ინაშვილი რომ არა, გასული სეზონი ვერ შესდგებოდა. თავისი ჭაბუკური ძალის გულუხვი ხარჯვით აანაზღაურა მან გასული სეზონი, და ჩვენც მისი მოვალენი ვართ... ახალგაზრდა მსახიობმა, რომლის ნიქს დიდი კეთილშობილება ახასიათებს, არ უნდა იწენიოს ცნობილი ანდაზა: თვალი რომ თვალს მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო. ინაშვილი არ უნდა დაივიწყონ ამ მძიმე წუთში იმათ, ვისაც მან არა ერთი სინარულის წუთი მოჰგვარა“.

მაგრამ სანდროზე არავის გული არ შესცვლია. პირიქით, ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლის სახიფათო დაავადებამ ყველას გული ატკინა და საერთო შეშფოთება გამოიწვია. ქართულ კლუბში მის სასარგებლოდ დიდი საღამო გაიმართა. ვანო სარაჯიშვილი ნიადგ სანდროს ლოგინთან ტრიალებდა. — არა გრცხვენია? — ვაუკაცი კაცი სატკივარმა წამოგაჩოქა, ადე ზეზე, არ მოკვდე აქაო, — ეხუმრებოდა. ხუმრობა ხუმრობად იყო და... ვანოს იმ დღეებში არა ერთხელ ეცვალა ფერი. როცა ერთ დაავადებას შემდეგ მეორეც მიემატა და მისი საყვარელი მეგობარი მძიმე განსაცდელში აღმოჩნდა. ახალგაზრდა ჯან-ლონემ მაინც თავისი გაიტანა, სანდრო თანდათან გამოკეთდა. ახალი სეზონის დასაწყისშივე იგი უკვე სცე-

ინაზე იყო და ვანო სარაჯიშვილთან ერთად ზედინედ გამო-
დიოდა სხვადასხვა ოპერებში.

1920 წლის 19 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო ოპერის
თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ქართულად მ. იპოლი-
ტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატი“. მაშინ მოსკოვთან კავშირი
გაძნელებული იყო და საავტორო დაორკესტრების მიღება
შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ეს ოპერა ხელახლა დააორ-
კესტრა აქ კოტე ფოცხვერაშვილმა. „ღალატი“ დასდგა ალ.
წუწუნავამ, დირიჟორობდა ს. სტოლერმანი.

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ცნობილი დრამის მიხედვით
შექმნილი ოპერა „ღალატი“ ქართველ ერს მუსიკალურადაც
ენათესავება. მასში უხვადაა გამოყენებული ქართული ჰან-
გები, რომლებიც მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა გასული საუკუნის
80-იან წლებში თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მოღვა-
წეობის პერიოდში ჩასწერა. ჯერ კიდევ ოპერის დადგამდე
დიდი ხნით ადრე ვანო სარაჯიშვილი ბრწყინვალე მხატვრუ-
ლი წარმატებით ასრულებდა ქართულად სხვადასხვა საღამო-
ცონცერტებში ერეკლეს განთქმულ არიას ამ ოპერიდან. სცე-
ნიურად ზომ პირდაპირ ზედგამოჭრილი ერეკლე იყო. პირველ
სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს: ალექსომ (ზეინაბი), ვ. სა-
რაჯიშვილმა (ერეკლე), ნ. ელიოზიშვილმა (ოთარ-ბეგი), სა-
ბინინმა (სულეიმანი) და სხვა მსახიობებმა. შემდეგ ოთარ-
ბეგის პარტიას სანდრო ინაშვილიც ასრულებდა და ამ შესანი-
შნავი გმირის ამადლევებელი მხატვრული სახე შექმნა.

ჭაღარაშერთული, ჯაკვის პერანგიანი და საბედისწეროდ
ჩაფიქრებული ოთარ-ბეგი სანდროს შესრულებით ზედმიწევ-
ნით კოლორიტულ ფიგურად წარმოგვიდგებოდა. სახელოვანი
წარსულითა და სავალალო მდგომარეობით გამოწვეული მძი-
მე სულიერი დრამა მთელი სიმძაფრით აღბეჭდილიყო მის სა-
ხეზე. ყოველ ბგერაში თავშეკავებული სინანულის განცდა
ისმოდა. შესანიშნავ არიას გაიანეზე იგი უაღრესად გამომეტ-
ყველ, ლირიკულ ტონებში ატარებდა და უდიდეს შთაბეჭდი-
ლებას სტოვებდა დამსწრე საზოგადოებაზე. სანდრო ინაშვი-

ლის ოთარ-ბეგი სცენოური ხელოვნების იმ შესანიშნავ კმნი-
ლებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თითქოს მუდამ თვა-



სანდრო ინაუშვილი ოთარ-ბეგის როლში

ლებში ჩაგვცქერიან და ღრმა თანაგრძნობას იწვევენ ჩვენში
თავიანთი ადამიანური ტკივილებით.

იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატს“ მუდამ დიდი წარმატება
ჰქონდა ჩვენს სცენაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღესვე გაიღო თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის კარი. 26 თებერვალს დაიდგა „ევგენი ონეგინი“. ქართული ოპერის ჰანგიც მალე აუღერდა: 2 მარტს დადგმულ იქნა „ქეთო და კოტე“, 5 მარტს — „აბესალომი“. მოწინავე ქართველი მომღერლები—ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი — სხვა მსახიობებთან ერთად პირველ დღეებშივე ჩაებნენ გაცხოველებულ საქმიანობაში. ვანომ არტისტულ მოღვაწეობასთან ერთად ოპერის თეატრის კომისრის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 20 მარტს სანდრო ინაშვილმა ვანოსთან ერთად ოპერა „ღალატში“ მიიღო მონაწილეობა. შემდეგ სისტემატურად გამოდიოდა მასთან ერთად სხვადასხვა ოპერებში. სეზონი 23 ივნისს დაიხურა ოპერა „კარმენით“. აქ ვანომ დონ-ხოზეს პარტია შეასრულა, სანდრომ — ტორეადორისა.

აღმოდებული დონ-ხოზე — ვანო სარაჯიშვილი ღირსეულ, მხარის დამამშვენებელ ტორეადორს პოულობდა სანდრო ინაშვილის სახით და მთელი სიმძლავრით აგებებდა მას თავის „ველკანურ ტემპერამენტს“. ათასგზის განცდილი და ყოველმხრივ განჭვრეტელი დიდებული ოპერა ბიზესი სულ სხვა ემზოთ ბრწყინავდა ამ შესანიშნავ შემსრულებელთა მეოხებით და განუწყვეტელ ტაშის გრიალში მიმდინარეობდა. დამსწრე საზოგადოების ერთსულოვანი მოთხოვნით სანდრო ინაშვილი დიდი წარმატებით იმეორებდა ხოლმე განთქმულ კუბლეტებს.

ამ გიჟმაჟ, სიცოცხლით სავსე სიმღერასთან დაპირისპირებით, რამდენი სიტბო, სიმშვიდე და ალერსი შეაქვეს მას პაწია საფინალო დუეტში:

„თუ გიყვარვარ მე, ჩემო კარმენ...“

ეს ხავერდოვანი კონტრასტი სანდრო ინაშვილის თავისებურ იერს ატარებს და ისეთ განწყობილებას ჰქმნის მსმენელში, როგორც აბოლქვებული ტალღების გრიალის შემდეგ მაკვარით მოვერცხლილი ზღვის სიმშვიდის განცდა და ნეტარებით თავდავიწყება.

მიუხედავად სავსებით საპატიო ასაკისა, სანდრო ინაშვილს დღესაც არ დაუქარგავს „კარმენში“ თავისი ნაპერწკალი.

1922 წლის 6 მაისს დაიდგა ვიქტორ დოლიძის ოპერა „ლეილა“, რომელიც ა. ცაგარლის პიესის—„ლეილის ქალი გულჯავარ“—მიხედვით არის შექმნილი და პატარა კახის გმირული საბრძოლო ცხოვრების ფონზე იშლება.

ლეილას ემზით მოხიბლული თეიმურაზი მძინარე ერეკლეზე მახვილს აღმართავს, მაგრამ ამ საბედისწერო მომენტში მას მარჯვენას დაუმხვრევს მეფის ერთგული რაინდის რევაზის ტყვია, და საშინელ სინანულში ჩაეარდნილი თეიმურაზი საკუთარი ხელით ისპობს სიცოცხლეს. მაშინ თვითონ ლეილა ცდილობს განგმიროს პატარა კახი, მაგრამ ისიც უსულოდ ეცემა ძირს რევაზის ხელით. კვანძი იხსნება: ლეილას ტრფობა, რამაც კეთილშობილი რევაზი ვერ გადაიბირა, ახლაც ღრმად ჰქონია გამჯდარი ამ რაინდს გულში, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ყველა გრძნობაზე მაღლა დგას,—ამიტომაც იუყოყმანოდ გაუბო რევაზმა ლეილას მკერდი. ადამიანურ გულსტკივილს მაინც საღღნც ერთი წვეთი ცრემლი აქვს შემონახული:

— ლეილა, ჩემო ლეილა!

უკანასკნელად დაიტერა რევაზმა თავისი სატრფო.

რევაზის პარტიას სანდრო ინაშვილი ასრულებდა, თეიმურაზისას—ვანო სარაჯიშვილი. ამ მოღალატის როლის გამო ვანო მუდამ უქმაყოფილო იყო და კინალამ სული ამოართვა ვიქტორ დოლიძეს—რალა ჩემთვის დასწერე ამ საძაგელის პარტიაო. სამაგიეროდ, სანდრო ინაშვილს უბგერდა ამაყად გული: ივი ხომ სამშობლოს მტრებს ანადგურებდა! ასეთი უმწიკლო პატრიოტული გრძნობით განიცდიდნენ ვანო და სანდრო ინაშვილი თავიანთ გმირებს, და ამიტომაც ეს გმირები თეატრის რამბას სცილდებოდნენ და ცოცხალ, მღელვარე ადამიანებად მიჰყვებოდნენ შინ მაყურებელს.

სანდრო ინაშვილმა „ლეილაში“ გმირი ქართველი მეომრის დაუვიწყარი სახე შექმნა. სცენიურად მართლაც რომ ზეალისმომკრელი იყო იგი ამ როლში: თუმური ქუდი, შავი



სანდრო ინაშვილი რეჟისის როლში

ჩოხა-ახალუხი, სირმიანი წულა-მესტი, ქამარ-სანჯალი, წელ-ში—დამბაჩა. სანდრო ინაშვილი მთელი თავისი სისხლ-სორცით იჯდა ამ რაინდულ სამკაულში, როგორც პატარა

კახის ნამდვილი საბრძოლო ბანაკის კმირი. პარტიის ვოკალური გადმოცემა უმაღლეს დონეზე იდგა; განსახიერებული გმირის სულისკვეთების მთელი სიმძაფრით განცდა თავის გავლენას ახდენდა სიმღერაზედაც.

ვიქტორ დოლიძის „ლეილას“ დიდი წარმატება ჰქონდა. ამაში სანდრო ინაშვილსაც უღრეს მთავარი წილი.

1923 წლის 21 თებერვალს მესხევერ დაიდგა „აბესალომ და ეთერი“. ამ თარიღმა ქართული მუსიკალური კულტურის ღრესასწაულის სახე მიიღო. მაშინ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ზაქარია ფალიაშვილის ამ უკვდავი ქმნილების შესახებ.

„აბესალომის“ უჩვეულო პოპულარობაში გარკვეული დამსახურება მიუძღოდნათ მის პირველ შესანიშნავ შემსრულებლებსაც—ვანო სარაჯიშვილსა და სანდრო ინაშვილს. სანდრო მესხევერ ასახიერებდა იმ დღეს მურმანს. ასჯერ მოაქცია მან ამ ხნის განმავლობაში აბესალომის „სულის სწორი“ თავის ბროლის ციხეში და ათგზის ასი „კრულვა-შეჩვენება“ დამსახურა მკაყრებელში.

საიუბილეო სპექტაკლი დიდი ზარ-ზეიმით ჩატარდა. სანდრო ინაშვილმა ამ დღეს მესხე მურმანის საგანგებო სამკერდე ნიშანი მიიღო.

იმხანად „აბესალომის“ ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო თბილისში სტუმრად მყოფი განთქმული მსახიობი და დრამატურგი ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინი (1857 - 1927 წ.).

სპექტაკლის შემდეგ იგი ყვავილებით მივიდა სანდრო ინაშვილთან კულისებში და თავისი აღფრთოვანება გამოუცხადა:

— თქვენ შესანიშნავი ხმა გაქვთ, მაგრამ ჯერ კიდევ გაცილიათ ვოკალური კულტურა. აუცილებლად უნდა გაემგზავროთ უცხოეთში უფრო მეტი დახელოვნებისათვის... მე ვფიქრობ, სავსებით შეგნებულაც კი არა გაქვთ თქვენი ნიჟის სიდიადე. აუცილებლად უნდა გაემგზავროთ!

რამდენიმე დღის შემდეგ ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინის პატივსაცემად თბილისში ბანკეტი გაიმართა, რომელსაც სანდრო

რო ინაშვილიც დაესწრო. დიდმა მსახიობმა აქაც გამოხსტქვა თავისი აზრი სანდროს შესახებ და დასძინა—თუ საჭიროა, დიდი სიამოვნებით გაგიწევთ დახმარებასო.

ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინს იქვე აცნობეს, რომ უკვე გადაწყვეტილია სანდრო ინაშვილის მივლინება იტალიაში, და ეს უახლოეს ხანში შესრულდებაო. შესანიშნავი მსახიობი დიდად კმაყოფილი დარჩა ამით. იგი შემდეგ მოსკოვშიაც შეხვდა სანდრო ინაშვილს და მეგობრული რჩევა მისცა მას.

* * *

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მი-აქცია სანდრო ინაშვილის დიდ არტისტულ ნიჭს, შესანიშნავ ხმასა და მუსიკალობას. გადაწყდა სახელმწიფო ხარჯით მისი იტალიაში მივლინება დახელოვნებისათვის.

1923 წლის 8 მაისს დაინიშნა სანდროს გამოსათხოვარი გა-მოსვლა ოპერა „ტოსკაში“. ხანგრძლივ მივლინებაში გამგზავ-რების წინ იგი უკანასკნელად წარსდგა მაყურებლის წინაშე ერთ-ერთ თავის საუკეთესო პარტიაში. კავაჩადოსის პარტიაა ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა. „ტოსკას“ შემდეგ დაიდგა „აბესალომის“ მეოთხე აქტი ვანოსა და სანდროს მონაწილე-ობით. ხალხით გაქედნილი დარბაზი გულდაწყვეტით გამოემ-წვიდობა თავის საყვარელ მომღერალს. გაზეთი „ზარია ვოს-ტოკა“ სწერდა:

„ა. ი. ინაშვილის მთელი არტისტული გზა ჯერ მარტო თბილისთანაა დაკავშირებული... ახალგაზრდა ქართულმა ოპერამ—„შოთა რუსთაველმა“, „აბესალომმა“, „ლეილამ“ და სხვ. მისი სახით ბარიტონის პარტიების შემქმნელი ჰპოვა.

ახლა ინაშვილი სტოვებს თბილისს და მიემგზავრება ერთი წლით მილანოში, სადაც მივლინებულია საქართვე-ლოს სახალხო განათლების კომისარიატის მიერ თავისი ნიჭის სრულყოფისათვის. ამიტომ მისი ბენეფისი გამოირ-ჩეოდა დიდი სითბოთი და გულითადი ოვაციით. ინაშვილს

მშენიერი მონაცემები აქვს: მისი ლამაზი ბარიტონის ტემბრი კეთილშობილურია, სცენიური გადაცემა ყოველთვის კარგი სტილითა და თავშეკავებული მანერით არის გამსჭვალული...“

იტალიაში გამგზავრებამდე სანდრო ინაშვილი ერთხელ კიდევ შეხვდა თბილისელ მაცურებელს მეტად საზეიმო ვითარებაში:

16 მაისს ვანო სარაჯიშვილის არტისტული მოღვაწეობის 20 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე იყო დანიშნული, და სანდროც ამან დააკავა. განა შეეძლო მას ახლა თბილისიდან ფეხის გადგმა?!

* *
* *

ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ინაშვილის მეგობრობა წარმოგვიდგება როგორც დადაფნული ნათელი გზა ხელოვნებაში, სპეტაკი ადამიანური სულისკვეთებით ხორცსხმული და დიადი შემოქმედებითი სიხარულით გაბრწყინებული.

ვანო სარაჯიშვილმა ოციოდე წელიწადი დაჰყო სცენაზე, აქედან ათი წელიწადი სანდრო ინაშვილთან მეგობრობაში გაატარა. განა რა დიდი დროა ეს! მაგრამ ამ მცირე ხანს მაგიტონი ძალა ენიჭება ისტორიულად და განუზომელი მასშტაბი აქვს, რადგან ქართული ოპერის სათავედან მომდინარეობს.

სანდრო ინაშვილმა 1909 წელს მოუსმინა პირველად ვანო სარაჯიშვილს, რომელიც მაშინ ახლადმოსული იყო იტალიიდან. მასზე აუწყრელი შთაბეჭდილება დასტოვა ვანოს გასაოცარაინა ხმამ, მუსიკალობამ და მაღალმა ოსტატობამ. მსგავსი რამ თავის დღეში არ მოესმინა, მოჯადოებული წავიდა შინ. კაბუკ სანდროს გადაულახველ წყურვილად გადაექცა ვანოს გაცნობა. ეს მიულწვევლ ოცნებად ეჩვენებოდა: მაშინ იგი სახალახო სახლთან არსებულ საოპერო დასის გუნდში მღეროდა. ვანო სარაჯიშვილს კი მთელი საქართველო ვარდ-ყვავილს უფენდა და ხელისგულზე ატარებდა. განსხვავება ძალიან დი-

დი იყო. ქუჩაში ამაყად მიმავალი ვანო გულზვიად, უკადრის ადამიანად ეჩვენებოდა.

გავიდა ხანი... და 1913 წელს „აბესალომის“ ნაწყვეტებას შესრულებასთან დაკავშირებით პირველად შეხვდა ვანოს სანდრო ინაშვილი ზაქარია ფალიაშვილთან. აქ პირველად მოხსინა ვანო სარაჯიშვილმა სანდროს ხმა და აღტაცებულმა პირუთვნელად იქვე აქო. სანდროს სიხარულით თავბრუ დაესხა მაინც ვერ შეჰკადრა დაახლოება. მეორე შეხვედრის დროსაც „თქვენობით“, მორიდებით დაუწყო მიმართვა. ვანომ გაუღიმა, ერთი თავისებურად გაეხუმრა და ძველი მეგობარით ბეჭებზე მაგრად დაჰკრა ხელი. „თქვენ“... სამუდამოდ ჩაჰბარდა ისტორიას. ვანო რომ მელაპარაკებოდა, თავს ბედნიერად ვგრძნობდიო, იგონებს იმ პირველ შეხვედრებს სანდრო. და მართლაც—რა ბედნიერებაა ასეთი ისულიერი სიმაღლე და სისადავე, რა ბედნიერებაა ასეთი შეუთოთხნავი მოგონებაც!

ვანო სარაჯიშვილმა მთელი თავისი ალალი გულით და რაინდული სისიპეტაკით შეიყვარა სანდრო ინაშვილი, როგორც ადამიანი და როგორც შესანიშნავი ხმითა და მუსიკალობით დაჯილდოებული ახალგაზრდა.

— ახ, რა კარგი ხმა გაქვს, სანდრო! სტიქიურად აღმოსვლემ ბოდა ხოლმე გულიდან ვანოს; მივარდებოდა და მკერდში ჩაიკრავდა თავის მეგობარს. ხშირად აძლევდა მას რჩევა-დარიგებას და თავის დიდ გამოცდილებას გადასცემდა. სანდრო ინაშვილი ვანოს უერთგულესი და განუყრელი თანამგზავრი გახდა შემოქმედებაში და კერძო ცხოვრებაშიც: ერთად დადიოდნენ სანადიროდ, ერთად ისვენებდნენ ზაფხულის თვეებში, ერთად მოიარეს მთელი საქართველო შესანიშნავი კონცერტებით და ერთადვე გამოვიდნენ ჩვენს სცენაზე პირველი ქართული ოპერების შემსრულებლებად. როდესაც ვანოს რო-

მელიმე კონცერტში მონაწილეობას სთხოვდნენ, მისი პირვე-
ლი შეკითხვა იყო:

— სანდრო იქნება?



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ვანო სარაჯიშვილი

მაგრამ როდესაც სანდროს მიმართავენ, მისი პირველი
შეკითხვაც ასეთვე იყო:—ვანო იქნება?

ეს იმხანად ყველამ იცოდა და ორთავეს ერთად იწვევდნენ. რამდენ ფიცრულში, სახელდახელოდ მოქობილ ესტრადაზე და სრულიად შეუფერებელ პირობებში მოხდომიათ მათ გამოსვლა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ხშირად სულ უაკომპანემენტოდაც კი. მაინც გულმოდგინედ ავრცელებდნენ მშობლიურ ჰანგებს და აუწერელ სიხარულს ჰგვრიდნენ მოზღვავებულ ხალხს. ბოლო დროს ვანომ და სანდრო ინაშვილმა ჩოხა-ახალუხის ტარება დაიწყეს. ხშირად ასევე გამოდიოდნენ კონცერტებშიაც. საუცხოო სანახავი იყო ეს ორი, ეროვნულ ტანსაცმელში კობტად მორთული, შოსანიშნავი მომღერალი.

— რამ შეჰყარა ასე ერთფერი! — აშბობდა ხალხი.

და აი, დღეს, იტალიაში გამგზავრების წინ, სანდრო ინაშვილი თავისი საამაყო მეგობრის პატივსაცემ საღამოში მონაწილეობდა. ვანო სარაჯიშვილის იუბილემ ეროვნული ზეიმის სახე მიიღო. თეატრი ხალხით გაიჰყვდა. დაიდგა „აბესალომ პირველი აქტი, „ტოსკას“ მესამე აქტი და „არმენის“ მეოთხე აქტი. საზეიმო განყოფილებაში წარმოთქმულ სიტყვებს. საღმებებსა და საჩუქრებს ბოლო არ ჰქონდა. პირველად ქართულ მომღერალთა შორის ვანოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. ფეხზე ამდგარი ხალხი ტანს გრილით ეგებებოდა „საქართველოს ბულბულად“ წოდებულ დიდ მომღერალს.

სანდრო ინაშვილმა განსაკუთრებული მღვლევარებით იმღარა იმ დღეს ვანოსთან ერთად „აბესალომი“. იგი საკუთარ ბედნიერებად განიცდიდა ამ ზეიმსა და ზარს, მასაც ვანოსავით გამალებით უცემდა გული და თვალზე ცრემლი უბრწყინავდა.

23 მაისს სანდრო ინაშვილი იტალიაში გაემგზავრა.

უკანასკნელად მოეხვია ვანო თავის ძვირფას მეგობარს. განშორების უამს აღერდილად დაუგდო სიტყვა:

— დიდხანს არ დარჩე, სანდრო, იქ... უშენოდ სული ამომხდება!



სანდრო ინაშვილი
(იტალიაში გამგზავრების პერიოდი)

მას შემდეგ სანდრო ინაშვილს აღარ უნახავს ვანოს სახე-
„აბესალომმა“ შეჰყარა პირველად ეს ორი შესანიშნავი ხე-
ლოვანი და მანვე გაჰყარა სამუდამოდ!

იტალიასა და ესპანეთში

1923 წლის 23 მაისს სანდრო ინაშვილი თბილისიდან გაემგზავრა და მილანოს ჩავიდა. აქ მან მეცადინეობა დაიწყო განთქმულ კონცერტმეისტერებთან დელი-პონტისთან და ჯუზეპე პაისტან. ამავე დროს პედაგოგ ალპერინის ხელმძღვანელობით სწავლობდა იტალიურ ენას და მცირე ხნის განმავლობაში იმდენ წარმატებას მიაღწია, რომ თავისუფლად შესძლო ამ ენაზე წერა-კითხვა და ლაპარაკი. შემდეგ, პროფესორ ევგენი ჯირალდონისთან დაიწყო მეცადინეობა.

ვანო სარაჯიშვილის დიდი პატივისმცემელი და გულითადი მეგობარი, ცნობილი ბარიტონი ევგენი ჯირალდონი იმხანად მილანში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ვოკალური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მას ქუთათური ერისთავის ქალი ჰყავდა მეუღლედ და ძალიან უყვარდა კიდევაც საქართველო, რომლის წარმტაცმა ბუნებამ და გულუხვმა სტუმართმოყვარეობამ არაერთხელ მოჰხიბლეს იგი. ქართველი ერის მდიდარი მუსიკალური კულტურა ხშირად შეადგენდა მისი აღფრთოვანებული ბაასის საგანს. გარდა იმისა, რომ ევგენი ჯირალდონი მშვენიერი მომღერალი იყო, იგი არტისტული ოსტატობითაც გამოირჩეოდა თავისი იტალიელი კოლეგებისაგან. მაგალითად, სკარპიას (ოპ. „ტოსკა“) და მთელ რიგ სხვა სცენიურ სახეთა გადმოცემაში იგი თვალსაჩინო მხატვრულ დონეს აღწევდა.

სანდრო ინაშვილის შესანიშნავი ტემბრის ხმამ და მუსიკალობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჯირალდონიზე. იგი თავისი მოწაფის პირში ქებასაც კი არ ერიდებოდა—მსგავსი ხასიათის, წმინდა წყლის ხალასი ბარიტონები ახლა არც ისე ხშირად გვხვდებიანო. ჯირალდონისთან სანდრომ წელიწადნახევარს იმეცადინა და ბევრი რამ შეიძინა ვოკალური დახელოვნების მხრივ. ხმის დაყენების გარდა ჯირალდონისთან მან გაიარა სკარპიას, რიგოლეტოსა და ტორეადორის პარტიები.

საზოგადოდ, უცხოეთში ყოფნის დროს სხვადასხვა განთქმულ ოსტატებთან მეცადინეობით სანდრომ ბარტონის 10 პარტია მოაწადა იტალიურ ენაზე (ოპერები: „აიდა“, „ტრაავიატა“, „რიგოლეტო“, „ანდრე შენიე“, „ჰუგენოტები“, „კარმენი“, „ოტელო“, „ფავორიტი ქალი“, „ტოსკა“, „ტრუბადური“) და ფრანგულ ენაზე—თიბალდის პარტია გუნოს ოპერა „რომეო და ჯულიეტაში“. ბევრი ამ პარტიათა შორის მან იმღერა ყოველგვარ იტალიასა და ესპანეთში.

ევგ. ჯირალდონისთან რამდენიმე თვის მეცადინეობის შემდეგ სანდრო ინაშვილი მიიწვიეს ქალ. მაჩერატოს (შუა იტალია) ოპერის თეატრის დასში. აქ მან დიდი წარმატებით დაიწყო გამოსვლა ალფონსის (ოპ. „ფავორიტი ქალი“), ტორეადორისა (ოპ. „კარმენი“) და გრაფ დე-ლუნას (ოპ. „ტრუბადური“) პარტიებში.

იტალიის ოპერის თეატრებში დიდი სიმკაცრით ეკიდებიან ყოველი პარტიის უნაკლო შესრულებას — როგორც მუსიკალური, ისე ენობრივი თვალსაზრისითაც. მცირე მარცხი ამ შემთხვევაში მთელ დავიდარაბას იწვევს, არავითარ დანდობას ადგილი არა აქვს, და დამსწრე საზოგადოების გალაშქრება მსახიობის წინააღმდეგ ზშირად მეტად უბნეშ ხასიათს იღებს. ასეთ აშკარა დემონსტრაციას ლა-სკალას დიდებულ თეატრშიაც კი არ ერიდებიან. რამდენი უცხო ტომის შესანიშნავი მომღერლისათვის აუტენხნიათ აქ სტვენა და გადაუყრიათ გროშები სცენაზე, ერთი რომელიმე იტალიური სიტყვის არასწორად წარმოთქმისათვის. პარტიის მუსიკალურ გადმოცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სავსებით აშკარაა, თუ რამდენი გულმოდგინე მეცადინეობა დასჭირდებოდა სანდრო ინაშვილს, რომ მსგავსი რამ თავზე არ დატყდომოდა.

მაჩერატოს ოპერის თეატრის სცენაზე სანდრო ინაშვილმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა.

ეურნალ „უნიონის“ დამატება სწერდა:

„ყველაზე პოპულარული ფიგურა „კარმენში“—ესკამი-

ლოა. ტორეადორი ბედნიერია მით, რომ წარმატება აქვს ზარებთან ბრძოლაში და ქალებსაც უყვარს. ახალგაზრდა ბარიტონი — ქართველი ალექსანდრე ინაშვილი, რომელიც რამდენიმე თვეა რაც მღერის ჩვენთან, უეჭველი წარმატების იმედებს გვაძლევს. გარდა არისტოკრატიული ფიგურისა, ინაშვილს სრული, ლამაზი და კარგად დაყენებული ხმა აქვს. ესკამილოს ხასიათს იგი ორიგინალურად ასახიერებს და შესანიშნავად გადმოგვცემს, რომ კარმენს მოსწყინდა ჯარისკაცის სიყვარული.

ეს ახალგაზრდა ბარიტონი, რომელიც თეატრის გარეთაც კი არისტოკრატიულ პიროვნებას წარმოადგენს, ჩვენს თეატრში შესანიშნავ ადგილს დაიჭერს...”

„... ინაშვილი, რომელსაც ჩინებული საშუალო რეგისტრი აქვს და კეთილშობილურად მოძრაობს სცენაზე, ტორეადორის ისეთ ტიპსა ჰქმნის, რომელსაც ჩვენ ყველა დანარჩენ ინტერპრეტაციას ვამჯობინებთ. მან შესანიშნავად შეასრულა ტორეადორის ცნობილი კუბლეტები, ყველა დანარჩენი მნიშვნელოვანი ადგილი და განსაკუთრებით — დუეტი მეოთხე აქტში...” (ეურნ. „უნიონის“ დამატება. ქ. მაჩერატო, 1924 წლის 28 მაისი).

ასევე შესანიშნავი წარმატებით გამოდიოდა სანდრო ინაშვილი აქ ოპერა „ტრუბადურში“. შემდეგ კვლავ მილანოში დაბრუნდა, გაცხოველებით განაგრძო მეცადინეობა და ახალი პარტიების მზადება. შესანიშნავად გრძნობდა თავს, უცხო-საყენაზე წარმატებამ ფრთები შეასხა.

მშვენიერი განწყობილება საშინელმა ამბავმა მოშხამა: „საფრანგეთიდან ხმამ შემოაღწია — ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა. სანდროს თავზარი დაეცა, მეცადინეობა შესწყვიტა და შ-ნ ჩაიკეტა. მთელი საათების განმავლობაში პირველ-დამხობილი იყო ლოჯინზე და გულამომჯდარი ქვითინებდა.

— ნუთუ ვერასდროს ვერ უნდა ვნახო ჩემი ვანო, მალე ჩამოდიო რომ დამაბარა... რა მინდოდა აქ, რა მინდოდა!

ტყუილად ამხნევებდა მეუღლე—თამარ ბესარიონის-ასულა გვახარია; სანდრომ წონასწორობა დაჰკარგა, ყველაფერზე ხელი აიღო და დამგლოვიარდა. საჩქაროდ გამოგზავნეს დეპეში საქართველოში. პასუხის მოლოდინი აუწერელ წამებად გადაიქცა. კარს მხოლოდ თამარი აღებდა, გაფითრებულ სანდროს კი ამ დროს ბაგაბუგით უცემდა გული. თბილისიდან კარგი ამბავი მოვიდა: ვანო ავად იყო, ახლა უკეთააო. სანდრომ თავისუფლად ამოისუნთქა. რამდენიმე ხნის შემდეგ თამარი საქართველოში გამოემგზავრა. ვანო სარაჯიშვილი მძიმე ავადმყოფი დახვდა, მაგრამ მუდამ უკეთობის ამბავს უთვლიდა.

1924 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი. ბევრი იფიქრეს—გაეგზავნათ თუ არა ცნობა სანდროსათვის იტალიაში. დუმილი მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა: დეპეში გაიგზავნა. უცხო მხარეში ობლად დარჩენილ სანდროს მეხივით დაატყდა თავს საამაყო მეგობრის გარდაცვალება. დიდხანს ვერ მოვიდა გონს, სიზმარში ეგონა თავი. იტალიური ასოებით დაბეჭდილი დეპეშის ტექსტს ცრემლმორეული დასცქეროდა, ქალაღს წალმა-უკულმა ატრიალებდა და ხელახლა კითხულობდა:

— ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა!

— ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა!

ეკალივით ესობოდა თვალს ერთი და იგივე და გულზე ცეცხლი ედებოდა.

მეორე დღეს ვანოს ძველ ამხანაგებს და ნაცნობებს შეატყობინა. „საქართველოს ბულბულის“ დაღუპვამ ყველას ცრემლი მოსწყვიტა.

სანდროს სამგლოვიარო დეპეშამ ვანო სარაჯიშვილის ვასვენებაზე გულამოსკენილი ქვითინი გამოიწვია ხალხში.

* * *

სანდრო ინაშვილის სახელი სულ უფრო მეტად ცნობილი გახდა იტალიის მუსიკოს-მომღერალთა ფართო წრეებში. მანერატოში თვალსაჩინო წარმატებათა შემდეგ სანდრომ მონა-

წილეობა მიიღო მხილვებში გამართულ მომღერალთა ერთ-ერთ კონკურსში და მადრიდის სამეფო თეატრში მიიწვიეს ბარონის პირველი პარტიების შესასრულებლად. რა თქმა უნდა, აქ „კარმენშია“ უნდა გამოსულიყო.

ესპანეთი ტორეადორების სამშობლოა. მადრიდისა და სხვა ქალაქების ვეებერთელა სტადიონებზე დიდი ზარ-ზეიძათ იმართება ტორეადორების ბრძოლა ხარებთან, რასაც აუარებელი მაყურებელი ეტანება. ბასრი მახვილით შეიარაღებული ტორეადორები აქ გააფთრებით ებრძვიან მუხასავით კუნთჩახსმულ ხარებს, რომლებიც ამ შებმის დროს დედამიწას ჰგლეჯენ და თვალებიდან ცეცხლს აფრქვევენ. მოხდენილად მიყენებული ჭრილობით გამხეცებულ ხარს პირდაპირ გულში უტარებენ მახვილს, და აღისფერი სისხლი შადრევანივით მოსჩქეფს მალა. მუხლმოკვეთილი პირუტყვი წითლად გათითხნილ მიწაზე ეშვება და წამებით სულს ლევს. ხალხი ზეიმობს. ბევრი განთქმული ტორეადორი აქ თითო გამოსვლაში დიდძალ თანხას იღებს, მაგრამ ზოგჯერ ეს უგონო თამაში ფულით დაბრმავებული „გმირის“ დაღუპვით თავდება. ხარი იმარჯვებს. მკერდგაფატრული ადამიანი საფლავში მიდის. ოქრო... პირუტყვის მხარეზე რჩება!

აშკარაა, რომ ესპანეთში ტორეადორის განსახიერება სცენაზე ისე იოლი არაა, როგორც სხვაგან. მაყურებელი აქ მსახიობს, რომ იტყვიან, პირდაპირ კოჭებში მისჩიერებია და ყოველ მის უტაქტო ნაბიჯს ამრეზილი ათვლიერებს. კრიტიკული დამოკიდებულება უფრო მეტად იზრდება უცხო ტომის მსახიობთა მიმართ, რომლებსაც მაყურებელი არავითარ შეღავათს არ აძლევს. ხანგრძლივი წარმატებით შექმნილი კარიერა აქ მსახიობმა შეიძლება ერთი უხეირო მარცხით დაკარგოს და გააქარწყლოს. მსახიობთა მომწყობი ათასგვარი სააგენტო კონტორები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ და ჯიბრში უდგანან. აი, რამდენი სიფრთხილის გამოჩენა და ვარაუდის გაწევა სჭირდებოდა სანდრო ინაშვილს, ვიდრე მადრიდის სამეფო თეატრის სცენაზე გამოვიდოდა.

ესპანელი მაცურებლის წინაშე სანდრო კარვად მომზადებული წარსდგა. იგი სისტემატურად ესწრებოდა არენაზე ტორეადორების ბრძოლას ხარებთან და უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილებებით ამდიდრებდა ბიზეს ოპერის გმირის სცენიურ სახეს.

მადრიდის სამეფო თეატრში მოღვაწეობდნენ დიდად სახელმწიფოებრივი დირიჟორები გუარნიერი, ემილ კუპერი და საკო დელ-ვალე, რომლებთანაც სანდრო სისტემატურად მეცადინეობდა და ხელახლა გადიოდა იტალიაში შესწავლილ პარტიებს. აქ მისი პარტნიორები იყვნენ: განთქმული ტენორები—სულივანი და შიგუელ ფლეტა, სოპრანოები — კივანტეიკო და ტოტი დალმონტე, ბარიტონი გალეფი და მრავალი სხვა შესანიშნავი მომღერალი. ესპანეთის ჟურნალ-გაზეთები ხველსაჩინო ადგილზე ათავსებდნენ სანდრო ინაშვილის პორტრეტსა და რეცენზიებს, სადაც არა ნაკლებ ქება-დიდებას უძღვნიდნენ მას, ფიქრე ამ მეტად პოპულარულ ოსტატებს. 4)

მადრიდის სცენაზე სანდრო ინაშვილი პირველად „ჭუგენოტებში“ გამოვიდა საოპერო სეზონის დასაწყისშივე. მასთან ერთად მღეროდა ტენორი სულივანი, რომელიც რაულის პარტიის საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა. დებიუტი ბრწყინვალედ ჩატარდა. ჟურნალმა „დე მუსიკამ“ მოკლედ მოსჭრა: ინაშვილი საუკეთესო ქების ღირსი მომღერალიაო. ჩვეულების პარტიის შემდეგ სანდრომ იმღერა აქ ამონასროს („აიდა“), შენიეს („ანდრე შენიე“), ესკამილოს („კარმენი“) და სკარპიას („ტოსკა“) პარტიები. შესანიშნავი სისტემატური გამოხვედრებით მან სწრაფად მოიხვეჭა სახელი და საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა.

„კარმენში“ გამოსვლამ მთელი მადრიდის პრესა აალაპარაკა:

1) 1925 წ. მადრიდის ჟურნალმა „ელ მუნდომ“ დაბეჭდა 6 მომღერლის სურათი შემდეგი საერთო სათაურით: „სამეფო თეატრის გამოჩენილი მსახიობები მიზდინარე სეზონში“. მათ შორის მოთავსებულია ს. ინაშვილის სურათიც (ივანოვ როლში).



ს ა ნ დ რ ი - ი ნ ა უ ვ ი ლ ი
ტოკვალოვის როლში

„... მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ინაშვილს საუკეთესო ბარიტონების ხსოვნასთან შეჯიბრება მოუხდა, მან საზოგადოების სრული მოწონების დამსახურება შესძლო...“ (გაზ. „ელ ლიბერალ“, 1925 წ. 4 თებ., № 16. 110).

„ტორეადორის წარმატაცმა სილუეტმა სანდრო ინაშვილის სახით ღირსეული არტისტი ჰპოვა. ჩვენში ჯერ კიდევ სცოცხლობს ბევრი საუკეთესო ბარიტონის ხსოვნა, და წარმატება აქაური საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი მომღერლისა, რომელმაც მიუხედავად ამისა ერთსულვანი ტაში დაიმსახურა. გაორკეცებით მნიშვნელოვანია...“ (გაზ. „ქერალდე დე მადრიდ“, 1925 წ. 4 თებერვ., № 12. 171).

ინაშვილმა, რომელმაც ესკამილოს რელიეფური ფიგურა წარმოგვიდგინა, მაღალი ვოკალური ოსტატობა გამოჰქმელანა...“ (ყ. „ა. ბ. ც.“, 1925 წ. 4 თებერვალი, № 6. 893).

მადრიდის სამეფო თეატრის სცენაზე სანდრო ინაშვილის ბრწყინვალე წარმატებამ იტალიის პრესაშიც ჰპოვა სათანადო გამოსხმაურება.

მილანოს გაზეთმა „კორიერე დი მილანომ“ სანდროს დიდი პორტრეტი გამოაქვეყნა, ესპანური რეცენზიები გადმობეჭდა და შესანიშნავი შესავალი წერილი მიუძღვნა მათ (მოგვყავს შემოკლებით):

„... სანდრო ინაშვილმა იტალიაში ჩამოსვლისთანავე მიიღო მშვენიერი ანგაემენტი მადრიდის სამეფო ოპერაში, რაც მის მიერ დამსახურებული სახელის საკმაოდ დამამტკიცებელი საბუთია. სანდრო ინაშვილი დაჯილდოებულია მშვენიერი ძლიერი და სპაიამოვნო ხმით, რომელიც შესანიშნავად ეგუება მომენტებს, სადაც საჭიროა ძლიერი ბგერა და დიდი დიაპაზონი. ინაშვილმა რამდენიმე სეზონი გაატარა თბილისის სახელმწიფო ოპერაში, სადაც ხალხის აყვარელი მომღერალი იყო... მაგრამ იგი იტალიაზე ოცნებობდა. აქ ძალიან მცირე ხნის განმავლობაში მიიღო მან

ANDRO INALTI

TEATRO REALE di MADRID
UGONOTTI - CARMEN - AIDA

...le sembianze d'un artista
...che appena giunge in Italia dalle
...ha immediatamente trovato una bella
...per il Teatro Reale di MADRID. Que-
...soppono, fatto dice la sua esperienza
...una cosa in cui va tenuto. Perché San-
...l'incis potrebbe avere di qualche cosa bel-
...popolarità ed ammirazione; una di quelle voci
...che ispirano un subito ed un istantaneo
...che sono costate e che restano efficaci
...per nei momenti in cui s'impongono il co-
...o la robustezza come necessità assoluta
...l'incis appartiene per qualche anno al
...d'uno ex Invalide di Tiflis (nel Casacco)
...in quella riprende senza aver mai cam-
...una parte del repertorio, mantenendosi nel
...dell'ammirazione del pubblico che lo considerava
...come uno dei suoi prediletti. Non si deve
...vedere che questo artista abbia dato a que-
...l'abbiano il meglio delle sue forze poiché si tro-
...in la grande età e l'arte lirica può attendere
...della da lui con ragione. Già il pensiero
...che non era su del come una singolare
...che si muoveva giacidamente verso il nuovo
...suo. Il caso ha voluto che egli concludesse
...una tournée per Madrid, ma è al pla-
...del pubblico bellani che egli mira con giu-
...che non si sono d'arrivo che una
...che non è questa una aspirazione



...che si muoveva giacidamente verso il nuovo
...suo. Il caso ha voluto che egli concludesse
...una tournée per Madrid, ma è al pla-
...del pubblico bellani che egli mira con giu-
...che non si sono d'arrivo che una
...che non è questa una aspirazione

Ugonotti, Aida, Carmen, e tutti gli altri
...d'André Inalci, un artista di cui si è spesso
...impresario ed è. Qualche anno fa, un
...produzione un sistema d'adattare che si può
...della sua personalità e la sua arte.

EL LIPIPAL

...che non si sono d'arrivo che una
...che non è questa una aspirazione

HEPALDO DE MADRID

...che non si sono d'arrivo che una
...che non è questa una aspirazione

...che non si sono d'arrivo che una
...che non è questa una aspirazione

DE MADRID

...che non si sono d'arrivo che una
...che non è questa una aspirazione

ბაზ. „კორიერა დი მილანოს“ რეცენზია სანდრო ინალტილის შესახებ

მადრიდში მიწვევა, მაგრამ განსაკუთრებით იტალიურ სცენაზე წარმატება აინტერესებს და უეჭველია, რომ მისი ანუ დი ჩქარა განხორციელდება. მისი სიმღერის პირველად

გაცნობისთანავე ჩვენ საუკეთესო შთაბეჭდილება შეგვექმნა. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ მსახიობის არტისტული კარიერა იტალიაში სწრაფი და ბრწყინვალე იქნება...”

(გ. „კორიერე დი მილანო“ № 12, 1925 წ.).

მადრიდში საოპერო სეზონის დამთავრების შემდეგ სანდრო ინაშვილი მილანოში დაბრუნდა და კვლავ მეცადინეობა განაგრძო. ახლა მას უკვე ძალიან კარგად იცნობდნენ აქ, როგორც მომღერალს, რომელმაც დიდი გამარჯვება მოიპოვა მადრიდის განთქმულ სამეფო თეატრში.

ცნობილ ანტრეპრენიორ ლუზარდისაგან სანდრომ მიიღო მეტად ხელსაყრელი მიწვევა რომში, ტრიესტსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (რიო დე ჟანეირო) გასტროლების ჩასატარებლად. ეს საგასტროლო ტურნე მას ფართოდ მოუხვეჭდა სახელს და ნივთიერადაც დიდ სარგებელს მისცემოდა, მაგრამ სამშობლოზე გულდაწყვეტილმა სანდრომ უარპყო ეს წინადადება და თბილისში გამომგზავრება არჩია, მით უფრო, რომ უცხოეთში მივლინების ვადაც ამოიწურა და უკან დაბრუნების წინადადება მიიღო.

ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში სამშობლოს გარეთ ყოფნამ, განთქმულ ოსტატებთან განუწყვეტელმა მეცადინეობამ და შესანიშნავ მომღერლებთან გამოსვლამ ბევრი რამ შესძინა სანდრო ინაშვილს: ახლა უფრო თავისუფლად ეღერდა მისი მშვენიერი ხმა; ბევრა მომეტებულად სასიამო გამხდარიყო და დახვეწილიყო. არტისტული დახელოვნებაც გაცილებით მაღალ დონეზე იდგა.

სანდროს ნაყოფიერ მეცადინეობას და წარმატებას უცხოეთის სცენაზე დიდად შეუწყო ხელი მისმა მეუღლემ—თამარ ბესარიონის-ასულმა გვახარიათ, რომელთანაც სანდრო 1921 წელს დაქორწინდა. აქედან მოკიდებული თამარი მისი უახლოესი მეგობარი და არტისტული გზის თანამგზავრი გახდა. იგი მუდამ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ჩვენი მომღერლის მიმართ.

მათი მეგობრობის საწყისი ვანო სარაჯიშვილმა დალოცა და დააგვირგვინა. ვანო „ჯეარის მამად“ ახლდა სანდროს ქორწილში ქუთაისში. თამარის მშვენიერ ეზოში ვანომ არა ერთი ხალხური საზეიმო სიმღერა შემოსძახა და რიონის ტალღების ჩურჩულს თავისი ჯადო სიმღები ჩააქსოვა...

ვანოს გარდაცვალების შემდეგ თამარი ისევ გაბრუნდა სანდროსთან იტალიაში და ბოლომდე დარჩა მასთან.

მომგლიურ სცენაზე. საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა

საქართველოში სისტემატურად ჩამოდიოდა სანდრო ინაშვილის წარმატების ამბავი უცხოეთის სცენაზე, რაც დიდ სიხარულს იწვევდა ხალხში. გაზ. „ზარია ვოსტოკა“ (№ 728-1924 წ.) სწერდა:

„იტალიაში დიდი წარმატებით გამოდის თბილისის სახელმწიფო ოპერის მსახიობი სანდრო ინაშვილი, რომელიც მივლინებულია იქ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სრულყოფისათვის. მილანოს მუსიკალური პრესა გულთბილ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა მომღერალს და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს მას“.

მსგავსი ცნობები იმხანად ხშირად ქვეყნდებოდა. მოუთმენლად მოელოდნენ სანდროს დაბრუნებას საქართველოში. ვანო სარაჯიშვილს ყველაზე უფრო მეტად სტანჯავდა ძვირფასი მეგობრის ხანგრძლივი განშორება.

1923 წლის 19 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე პირველად აუღერდა ზაქარია ფალიაშვილის მეორე დიდებული ქმნილება—„დაისი“. ვანო სარაჯიშვილი მშვენიერ ანსამბლში გამოვიდა: კიაზოს პარტიას კრიენანოესკი ასრულებდა, მაროსას—პოპოვა. მაინც გული სტკიოდა; თვალწინ ედგა სანდრო ინაშვილის მიერ შესანიშნავად განსახიერებული პირველი ქართული ოპერების გმირები და კიაზოს სცენიური სახე არ მოსწონდა. მიუხედავად იმისა, რომ

კრიუანოვსკი მშვენიერი მომღერალი იყო და კარგადაც შეისწავლა სამღერო ტექსტი, პარტიის ვოკალური გადმოცემა ვანოს მაინც არ აკმაყოფილებდა: სიმღერას ქართული სული აკლდა. თავისი მეტოქე კიზოლსაგან მას არ მოესმოდა ისეთი სისხლგამჭდარი, თავანკარა ქართული მუსიკალური ფრაზა, როგორც ეს სანდრო ინაშვილს სჩვეოდა ხოლმე სხვა ეროვნულ ოპერებში. იმედი ჰქონდა რომ მისი შესანიშნავი პარტნორი მალე დაბრუნდებოდა იტალიიდან და მაშინ „დაისიც“ სულ სხვა ეშხით აელერდებოდა. მაგრამ ბედმა არ აღირსა მას აქ ოპერაში სანდრო ინაშვილთან ერთად გამოსვლა. „დაისი“ მათი დიადი მეგობრობის გრანდიოზული რეკვიემი და „სულთათანა“ გახდა. „თავო ჩემო“ ვანო სარაჯიშვილის მგზნებარე სულის უქანასკნელ ლაღადისად გადაიშალა:

მომდევნო სეზონის დასაწყისში „ქართული ოპერის პირველი მოქიციკე მერცხალი“ ფრთაშეკვეცილი იყო და სიცოცხლეს ეთხოვებოდა!

1924 - 25 წლის სეზონი ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერით გაიხსნა. იმ დღეს ვანომ ლოგინში აბესალომის ჰანგები იმღერა და მტკივნა გულზე უფრო მეტი ცეცხლი მოედო.

— სად არის სანდრო ინაშვილი, ჩემი სანდრო... რა უნდა ამდენ ხანს იტალიაში? აკი ვუთხარი, შენ მიდიხარ, მე კი აქ მარტო მოვეკვდები-თქო. ჩქარა აქ გაჩნდეს, დაიბარეთ!

ვანო სარაჯიშვილმა მძიმე ტანჯვით დალია სული და უცხო მხარეში მარტო მყოფ სანდროს დღე გაუმწარა.

* * *

1925 წლის 27 ნოემბერს სანდრო ინაშვილი დაბრუნდა იტალიიდან. ვანო სარაჯიშვილის საფლავს ეწვია, მუხლი მოიყარა მის გადატეხილ სალამურთან და ცრემლი აფრქვია.

9 დეკემბერს, პირველად მივლინებიდან ჩამოსვლის შემდეგ, გამოვიდა სანდრო თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე სკარპიას პარტიაში (რპ. „ტოსკა“). საყვარელი მომღერლის დიდი ხნის უნახაობით მოწყურებული ხალხი ტალღასავით შეგრილდა თეატრში. დარბაზი გაიქედა.

გერ კიდევ იტალიაში გამგზავრებამდე, როგორც აღვნიშნეთ, სანდრო ინაშვილი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა სკარპიას პარტიაში. ახლა, როდესაც ამ ოპერის სამშობლოში, შესანიშნავ ოსტატებთან ხელახლა გაიარა პარტია და სცენორადაც დეტალურად დაამუშავა, ერთიათად საინტერესო ხდებოდა მისი გამოსვლა.

სანდრო ინაშვილს მქუხარე ოვაციით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. სპექტაკლი დიდი წარმატებით ჩატარდა. აშკარა ვახდა, რომ უცხოეთში გატარებულ წლებს დიდი სარგებლობა მოეტანა ნიჭიერი მომღერლისათვის. წინანდელსა და ახლანდელ სკარპიას შორის დიდი განსხვავება იყო: ხმა ძალდაუტანებლად, თავისუფლად ეღერდა და ხვეერდოვან ნაკადივით მოედინებოდა მთელს დარბაზში. ყოველი ფრაზა მაღალი ვოკალური ოსტატობითა და აუტრული ნიუანსებით იყო შემკული. დახვეწილი, ღრმად გააზრებული თამაში სკარპიას შესანიშნავ დახასიათებას წარმოგვიდგენდა. ყოველივე ეს ნათლად აიხაზა მაშინდელ პრესაში:

„პირველი გამოსვლისათვის პუჩჩინის ოპერა „ტოსკას“ არჩევა აიხსნება არტისტის ასურვილით — წარედგინა საზოგადოების მსჯავრისათვის ევროპის დიდ მუსიკალურ ცენტრებში ხელოვნების სფეროში თავისი მუშაობის შედეგები.

სკარპიას პარტიაში ვოკალური ნაწილი არ არის მთავარი. შესრულების მთავარი მხარე ეყრდნობა ისტორიულ სინამდვილესთან მხატვრულად დამთავრებული სახის მოცემას. მაგრამ პარტიის შესრულების მთელი მხატვრულობა დამოკიდებულია არა მარტო დრამატიულ მხარეზე, არამედ აგრეთვე მუსიკალურ და ვოკალურ შესრულებაზე. სწორედ ამ ფაქიზ ფრაზირებაში, რომელიც ხშირად შეუმჩნეველია მსმენელისათვის; მონოლოგებისა და დიალოგების სამაგალითო შესრულებაში, დინამიკის სიმდიდრეში — იმალება მხატვრული მიღწევა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ დარგში არტისტი უმ-

კაცრეს მოთხოვნებილებს აკმაყოფილებს. პარტია თავიდან ბოლომდე ბრწყინვალედ არის დამუშავებული. ყოველ მუსიკალურ პერიოდში სხვადასხვა დინამიკა, სხვადასხვა ფრაზირებაა. პირველი აქტის მონოლოგში და მეორე არი-აში არტისტმა ბრწყინვალედ და თავისუფლად გაშალა ხმა და თავისი სიმღერით მეტად ხელსაყრელი შთაბეჭდილება დასტოვა.

სცენიური მხარე დამუშავებულია არა ნაკლები ყურადღებით, ვიდრე ვოკალური. ინაშვილმა შექმნა სკარპიას ნამდვილი სახე. დამახასიათებელი გრიმი, სახის გაქვავებული გამოშეტყველება, შეუბრალებელი სიმკაცრე, მკვეთრი გამგმირავეი თვალები, გარეგნული სიმშვიდე, თავდაქერილობა, რადგან შეგნებული აქვს მთელი თავისი ძლიერება,—ასეთია ნიშანდობლივი ხაზები რომის პოლიციის საშინელი უფროსის ბარონ სკარპიას სახისა, რომელიც ინაშვილმა მოგვცა.

ვოკალურ-სცენიური შესრულებით მომღერალმა დაგვანახა, რომ მისი სახით ქართულ ოპერას შეემატა დიდი კულტურული მსახიობი...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 11 დეკემბერი).

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ სწერდა:

„...ს. ინაშვილს ყველა მონაცემები ჰქონდა საზღვარგარეთ მისავლინებლად: ლამაზი ხმა, თანდაყოლილი მუსიკალობა, კეთილშობილური სცენიურობა.“

უქველია: ევროპის სასცენო კულტურის გარემოცვაში გატარებულმა ორმა წელმა თავისი მკაფიო კვალი დაასვა ინაშვილის არტისტულ იერს. მომღერალი თავისუფლად ჰფლობს თავის სასიამოვნო ტემბრის ლამაზ ხმას, არ ატანს ძალას, მღერის მშვიდი, გულდაჯერებული მანერით და თავისუფლად ახდენს ნიუანსირებას.

ევროპულ სკოლას მკაფიო გავლენა მოუხდენია ფრაზის წარმოქმნაზე, რომელიც მუდამ რელიეფური და გამომეტყველია, იგივე შესანიშნავი და გულდაჯერებული

ოსტატობა სიანს პარტიის სცენიურ გააზრებაშიც, მიხრა-
მოხრაში, პოზის გამოძეგრწვაში და კოსტიუმის ტარების
ცოდნაში. კარგია ვრიმი. ამ მხრივ ყველაზე უფრო მეტად
იგრძნობა, რომ ევროპულ წვრთნას დიდი გავლენა მოუხ-
დენია სანდრო ინაშვილზე, თუმცა ეს მსახიობი წინეთაც
უექველად კულტურული იერის მატარებელი იყო.

სკარპიას პარტია ინაშვილმა შესანიშნავად იცის, თავისუფ-
ლად და მუსიკალურად ჰფლობს მას და ღირიჯორის წეპ-
ლას არ ემყარება...”

11 დეკემბერს სანდრო „ევენი ონეგინში“ გამოვიდა. ჩაი-
კოვსკის ამ შესანიშნავ ოპერას იგი თბილისიდან წასვლის
შემდეგ არ გაჰყარებია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა
სიძნელე ეღობება მომღერალს, როდესაც მას ასეთი ხანგრძ-
ლივი შეწყვეტის შემდეგ საპასუხისმგებლო პარტიის შესრუ-
ლება უხდება, და ისიც ნაჩქარევად, სახელდახელოდ. მიუხე-
დავად ამისა, სანდრო ინაშვილმა ამ სპექტაკლშიაც ბრწყინვა-
ლე წარმატებას მიაღწია და დიდი მხატვრული გემოვნებით
გამოკვეთილი სცენიური სახე შეჰქმნა. თითქმის სამი წლის
შემდეგ თბილისელმა მაცურებელმა კვლავ იხილა სცენაზე მი-
სი სტილიური და ყოველ ნაკვთში იდეალურად დახვეწილი
ონეგინი. პარტიის ვოკალური გადმოცემაც ასეთსავე მაღალ
ღონეზე იდგა. ცალკე ადგილები რამდენჯერმე გაამეორებო-
ნეს.

გაზ. „კომუნისტი“ სწერდა:

„... პარტიის ვოკალურ მხარეში ბევრი სიმღერაა, და
არტისტიც სწორედ რომ მღერის. ის იძლევა ძალიან ბევრ
ლამაზ მომენტს. მისი ფრაზა საფესებით მხატვრულია. მთე-
ლი პარტია ჩაიკოვსკის მიერ დაწერილია ლირიკულ ტო-
ნებში, და ეს ლირიზმი წითელ ზოლივით მოსიანს არტის-
ტის მიერ მთელი როლის შესრულებაში...”

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რეცენზიაში ვკითხულობთ:

„... უექველია—სანდრო ინაშვილმა ჩამოიტანა იტალი-
იდან ნაყოფი „სიმღერაში სწავლულობისა“. მას ორგა-

ნიულად შეუთვისებია იტალიური „სიმღერის მეცნიერება“. იტალიელ ვოკალისტებს ახასიათებთ თვისება, რომ ისინი სამუსიკო საკრავივით ჰფლობენ თავიანთ ხმას და სურვილისამებრ აიძულებენ მას — ბგერის ყველა გრადაციას დაემორჩილოს; ამიტომ ბგერა მოლივლივებს ისე, ვით სუნთქვა. სწორედ ეს ოსტატობა გვიჩვენა ინაშვილმა არიოზოში — „რომ მსურვებოდა ოჯახური წრით...“ — რაც მან საუცხოო ლირიკული მანერით, მოქნილად, მსუბუქად და მშვიდად შეასრულა, ხმაშიბნედილად სიმღერისა და „მეცო ვოჩეს“ (ნახევარი ხმით სიმღერა) რელიეფურა ცვალებადობით, ნამდვილი ვოკალური ტემოვნებით. ამ არიოზოთი მან ბრწყინვალე ანგარიში წარმოადგინა თავისი იტალიური „მეცადინეობისა“...

ინაშვილს უდიდესი წარმატება ჰქონდა...

15 დეკემბერს სანდრო ინაშვილმა ტორეადორის პარტია შეასრულა. ეს გამოსვლა განსაკუთრებით საინტერესო იყო თბილისელი მაყურებლისათვის, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა მომღერლის ბრწყინვალე წარმატება ტორეადორის სამშობლოში — მადრიდის სამეფო თეატრის სცენაზე.

სანდრო ინაშვილი ამ საღამოს მართლაც გამარჯვებული ტორეადორივით წარსდგა მაყურებლის წინაშე და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა პარტიის შესანიშნავი შესრულებით. ისე, როგორც სკარპიას პარტია, ესეც გულმოდგინედ გაიარა და დეტალურად დაამუშავა მან მილანოში ეგგენი ჯირალდონისთან, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ესკამილოდ ითვლებოდა. ათასგზის გაცვეთილი შაბლონი თავიდან იქნა აცილებული სცენიურად და ვოკალურადაც. ტორეადორის სცენიური სახე მან გამოჰკვეთა ქედმაღლური სიდიდითა და თავდაპირილობით, ყოველგვარი იაფი ტრაფარეტის გარეშე.

გაზეთი „კომუნისტი“ სწერდა:

„... თუ ინაშვილმა ესპანეთში, ესკამილოს სამშობლოში, წარმატებით შეასრულა ეს პარტია, შესრულება მართლაც ზედმიწევნით სწორი ყოფილა. უნდა ითქვას, რომ

სრულიად საფუძვლიანია ცნობა მადრიდის საოპერო თეატრში მისი წარმატებით გამოსვლის შესახებ...

როგორც უაღრესად კულტურული მომღერალი, ინაშვილი მთელ თავის ყურადღებას აქცევს არა იმას, რათა მოგვეცეს სიმღერის დროს რაც შეიძლება მაღალი ხმოვანება, არამედ იმას, რათა სიმღერაში მიაღწიოს სისრულეს. ამას ის კარგად ახერხებს. ყველა ადგილი, სადაც სჭარბობს ვოკალური მხარე (ტორეადორის კუპლეტები, დუეტი ზოზესთან შესამე აქტში და ფინალური დუეტი კარმენტან) საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს. მსახიობი მღერის და ოდნავადაც არ აძლიერებს ხმას—მისი მიზანია მიაღწიოს სილამაზეს და არა ეფექტს. ყველაფერი ეს შედეგია კულტურული მუშაობისა. გარეგნული შეხედულება ზომ უმწიკვლოა...“ (იხ. 17 დეკემბრის №).

ასეთივე წარმატებით გამოვიდა სანდრო ინაშვილი „დემონში“, „რიგოლეტოში“, „აიდაში“, „აბესალომში“, „ტრაჯედიაში“, „მეფის საცოლესში“, „ოტელოში“ და სხვა ოპერებშიაც.

ვანო სარაჯიშვილის ნაცვლად მას ორი, ქართველი ახალგაზრდა მომღერალი დახვდა სცენაზე.

„დაისში“ და „აბესალომში“ გამოსვლის შემდეგ, 1925 წლის 16 დეკემბერს პირველად შეასრულა ნიკო ქუმსიაშვილმა რადამესის პარტია ოპ. „აიდაში“. 1926 წლის 12 თებერვალს კი პირველად გამოვიდა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ვერდის „ბალ-მასკარადში“ დავით ანდლულაძე.

ნიკო ქუმსიაშვილისა და დავით ანდლულაძის გამოსვლა ამ საპასუხისმგებლო პარტიებში დიდი მხატვრული წარმატებით ჩატარდა. ესენი იყვნენ ახლა სანდრო ინაშვილის პარტნიორები.

1925 წლის 30 დეკემბერს, იტალიიდან დაბრუნების შემდეგ პირველად გამოვიდა სანდრო ინაშვილი მურმანის პარტიაში. აბესალომს ნიკო ქუმსიაშვილი ასრულებდა, ეთერს—შესანიშნავი ხმითა და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბარბარე მრავალი.

უცხოეთში მეცადინეობის შემდეგ სანდრო ინაშვილის პირველ გამოსვლას მშობლიურ ოპერაში უდიდესი ინტერესით შეეგება თბილისელი მაყურებელი. მურმანის სცენიური სახის შემქმნელი—სანდრო ინაშვილი, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდა იმ დღეს ეროვნული მუსიკალური კულტურისა და განსვენებული დიდი ქართველი მომღერლის ხსოვნის წინაშე, რომელთანაც ერთად პირველი ქართული ოპერების ფმირთა განსახიერება მოუხდა.

სანდრო ინაშვილის შესანიშნავმა სიმღერამ დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანებული ოვაცია გამოიწვია. დარბაზში გამეფებული განწყობილება სცენაზედაც შემოიჭრა. მსახიობებმა ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოეს სანდრო ინაშვილი..

1926 წლის 15 იანვარს და 6 თებერვალს სანდრო ხელახლა გამოვიდა მურმანის პარტიაში, ამავე შემადგენლობასთან. ამ გამოსვლების შესახებ გაზ. „კომუნისტი“ სწერდა:

„... მსახიობს ხმა ფართო მუსიკალურ ტალღად გადმოდიოდა აუდიტორიაში. სიმღერის უდიდეს დამთავრებულობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია... გარეგნობა, როგორც ყოველთვის, საუცხოოა...“

„ამა თუ იმ საოპერო პარტიის სცენიური განსახიერების ინდივიდუალურ თავისებურებას წარმოადგენს არა მარტო ლამაზი, მოალერსე ტემბრის ხმა, არამედ შესასრულებელი პარტიის სცენიურ-ვოკალური მხარეების კულტურული და მხატვრული დამუშავებაც.

ინაშვილს მურმანის პარტია გასულ წელთან შედარებით მხატვრულად კიდევ უფრო შეუღესია და დაუმუშავებია. მართლაცდა, ძნელი წარმოსადგენია მურმანის პარტიის იმაზე უფრო დამთავრებულად შესრულება, როგორც ის შეასრულა ინაშვილმა ამ საღამოს. პირველი აქტის ფინალური არიის შესრულებამ თავისებური გააზრებით, იშვიათად ფრაზირებითა და დინამიურობით, მაყურებლებით ზავსე. დარბაზის აღტაცება გამოიწვია. ასეთავე სიმაღლეზე იღგა მსახიობი შემდეგ სცენებშიაც. და-

მუშავებულმა სტილიურმა გრიმმა, მიმიკამ, სცენების მიხერხებულად ჩატარებამ, კიდევ უფრო გააძლიერა მხატვრული შთაბეჭდილება.

მთელი წარმოდგენის განმავლობაში გასტროლიორი იყო აუდიტორიის ყურადღების საგანი...“

29 იანვარს სანდრო ინაშვილმა შესრულა იაგოს პარტია ვერდის ოპერა „ოტელოში“ (დებუდემონა—ბოკოვა, ოტელო. —ი. ს. კიპარენკო-დომანსკი).

74 წლის მოხუცმა დიდებულმა კომპოზიტორმა სწორუბივარი სიძლიერით ასახა მუსიკაში შექსპირის გენიალური ნაწარმოები. მოქმედი პირების ვნებათა ღელვა, ხასიათების კონტრასტი და დაძაბული სულიერი განწყობილება აქ ხასხააა ფერებითაა გამოკვეთილი ბრწყინვალე საკომპოზიციო ოსტატობის მრავალგვარი ხერხით. ვერდის ამ უკვდავი ქმნილების ერთ-ერთი მთავარი გმირის—იაგოს პარტია დიდ სცენიურ და ვოკალურ დახელოვნებას მოითხოვს მსახიობისაგან.

სანდრო ინაშვილმა საუცხოო ოსტატებთან მოამზადა იტალიაში იაგოს პარტია. მიუხედავად მისი შესანიშნავი წარმატებებისა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იაგოს შესრულება კიდევ უფრო მაღალ მიღწევად იქნა აღიარებული. ვაზ. „კომუნისტი“ სწერდა:

„... იაგოს პარტიაში ინაშვილი იყო გაცილებით უკეთესი, ვიდრე ამ სეზონში შესრულებულ სხვა პარტიაებში. პარტია დამუშავებული აქვს მსახიობს, როგორც ვოკალური, ისე სცენური მხრივ. გამოკვეთილი ფრაზირებითა და თანაბარი ხმოვანებით.

საუცხოოდ იქნა შესრულებული იაგოს მონოლოგი, რომელშიაც ის ლაპარაკობს ადამიანის ამქვეყნიური არსებობის არარაობაზე.

აგრეთვე საუცხოოდ იქნა შესრულებული სცენა ოტელოსთან, განსაკუთრებით ფინალური ნაწილი, როდესაც იაგო დასცინის იატაკზე უგონოდ დაგდებულ ოტელოს.



სანდრო ინაუვილი
რაგოს როლში

აქ მხატვრული იყო როგორც პოზა, ისე მიმიკა. მსახიობის ხმა ფართო ტალღასავით მოედინებოდა აუდიტორიაში...

ორიოდე თვის შემდეგ სანდრო ინაშვილი კვლავ გამოვიდა „ოტელოში“ პროფესორ ბარერასთან (ოტელო) ერთად. მეორე აქტში ცენტრალური სცენის — „კრედოს“ ბრწყინვალე შესრულებით მან მქუხარე ოვაცია გამოიწვია და „ძველი იტალიური სკოლის“ ოსტატის — ბარერას დიდი წარმატების თანაზიარი გახდა.

„ოტელოს“ შემდეგ სანდრო ინაშვილი მურმანის პარტიაში გამოვიდა, ხოლო რამდენიმე ხნის შესვენების შემდეგ, კვლავ განაახლა თავისი გასტროლები ონეგინის პარტიაში გამოსვლით.

დამსწრეთა ერთსულოვანი მოთხოვნით ს. ინაშვილმა დიდი წარმატებით გაიმეორა — „Когда бы жизнь домашним кругом“... და ბისზე გამოწვევით რამდენიმეჯერ შეასრულა — „Увы, сомненья нет“...

ზაქარია ფალიაშვილის „დაისმა“ იტალიიდან დაბრუნებულ სანდროზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სანდრო მაშინვე შეუდგა კიაზოს პარტიის შესწავლას და 1926 წლის მარტის განმავლობაში შეასრულა კიდევაც იგი პირველად.

მურმანის, აბდულ-არაბის, რეკაზისა და სხვა გმირთა განსახიერების შემდეგ, კიაზო კიდევ ერთი წარმატაცი სცენიური სახე იყო, რომელიც სანდრო ინაშვილმა შექმნა და განამტკიცა ჩვენს სცენაზე თავისი მაღალი არტისტული და ვოკალური კულტურით.

„სულო ბოროტო“, „დამისხი, დამალევინე“ და მთელი რიგი ცალკე სცენები მისი შესრულებით ხალასი ეროვნული კოლორიტით აღდერდნენ და სულ სხვა ეშხით წარმოუდგნენ ქართველ მსმენელს. შესანიშნავი გრიმი, ჩაცმულობა, ზომიერების გრძნობით გამსჭვალული თამაში და ყოველგვარ პოზიორობას განრიდებული სულიერი მღელვარება — კიდევ უფრო მეტი სიცხოველით ხატავდნენ საბედისწერო გზაზე დამდგარი კიაზოს სცენიურ სახეს.



სანდრო ინაშვილი კიაზოს როლში

სანდრო ინაშვილის გამოსვლას „დაისში“ პრესა აღფრთოვანებით შეეგება:

„კიაზოს პარტიის შესრულებით ინაშვილი ერთხელ კიდევ გვეჩვენა, როგორც მუსიკალური მომწერალი და და-

კვირვებული მსახიობი. მან სიმღერაში გადმოგვცა კიაზოს მთელი მძიმე განცდა...

ინაშვილის სიმღერაში ბევრია კონტრასტი, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს შთაბეჭდილების მთლიანობას. რა საუცხოოდ იყო შესრულებული ფრაზა—„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

მხატვრული ექსპრესიის ასეთსავე სიმძაღლეზე იყო მთელი სცენა მაროსთან მესამე აქტში. მსახიობმა თავისი სიმღერით დუეტში და შემდეგ ტრიოში, პირდაპირ მოაჯადოვა აუდიტორია წრფელი განცდით...“ (გაზ. „კომუნისტი“, 23 მარტი, 1926 წ.).

შემდეგ გამოსვლებში, როდესაც სანდრომ კიდევ მეტად დახვეწა კიაზოს მხატვრული სახე სცენიურად და ვოკალურადაც, შესრულება უფრო მაღალ დონეზე დადგა.

სანდრო სასოებით ეკიდებოდა ახალგაზრდა პარტნიორს ნიკო ქუმსიაშვილს და ხშირად აძლევდა მას მეგობრულ ჩჩევას.

თვალწინ მაინც ვანო სარაჯიშვილი ედგა, რომელიც არ ენახა მალხაზის როლში და „სულო ბორტოში“ აქსოვდა მთელ თავის სევდას...

* *

ამ სეზონში მთელ რიგ შესანიშნავ წარმატებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 28 მარტს სანდრო ინაშვილის გამოსვლა „რიგოლეტოში“. მიუხედავად იმისა, რომ სანდრო იმ დღეს ავადმყოფი მღეროდა, თავისი სიმღერითა და თამაშით აუწერელი შთაბეჭდილება დასტოვა და ერთსულოვანდ ოვაცია გამოიწვია. დამსწრე საზოგადოება დაჟინებით მოითხოვდა შესანიშნავად შესრულებული ცალკე ადგილების განმეორებას. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ დაშლილა ხალხი. თეატრის კარებთან გაცხოველებული სჯაბაასი იყო. ღიმილით გაბრწყინებული სახეებით ელოდებოდნენ სანდროს გამოსვლას. საყვარელი მომღერალი გუნდ-გუნდად გააცილეს შინისაკენ.

აი, როგორ გამოეხმაურა მაშინდელი პრესა სანდრო ინა-
ვილის ამ გამოსვლას „რიგოლეტოში“.

„ეს იყო საუცხოო, არაჩვეულებრივი სპექტაკლი, რომე-
ლიც უთუოდ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მთელი სე-
ზონის განმავლობაში, რადგან მასში მონაწილეობას
იღებდა ნიჭიერი სანდრო ინაშვილი...“

იმისათვის, რომ ისე წარმტაცად იმღერო, როგორც
„რიგოლეტოში“ ინაშვილმა იმღერა, საჭიროა, ღრმად
და გულწრფელად გიყვარდეს ხელოვნება. უმანკო, შესა-
ნიშნავი ხმა და სრულ მხატვრულ ჭეშმარიტებამდე მისუ-
ლი პარტიის შესრულება — ყოველივე ეს ჩვენ საშუა-
ლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ინაშვილი „რიგოლეტოში“
არაჩვეულებრივი იყო.

მხატვრული გრიმი, სულიერი განწყობილების გადმოცე-
მა მოქმედების განვითარებისა და მიხედვით, განსაკუთრებუ-
ლი მუსიკალობა, წმინდა ფრაზირება და ლირიზმი—აი, ის
თვისებები, რომლებიც ხიბლავდა მსმენელს სპექტაკლის
დროს და რომელიც საერთოდ ახასიათებს სანდრო ინაშ-
ვილს, როგორც მაღალი კლასის მომღერალსა და მან-
ხიობს...“ (გაზ. „კომუნისტი“, 30 მარტი, 1926 წ.).

„... „რიგოლეტო“ იმ მცირერიცხოვან ოპერათა რიცხვს
მიეკუთვნება, რომლებშიაც სოციალური შინაარსის ნი-
შანწყალი მოიპოვება (თუმცა, ძალიან მკრთალად). მაგრამ
„რიგოლეტოს“ ტრადედია სახელმწიფო ოპერის თეატრში
ის იყო, რომ მასში სრულებით არ იგრძნობოდა ეს ტრა-
დედია, თუ არ ჩავთვლით ინაშვილის თამაშს.

მსახიობები მღეროდნენ, რაც მათთვის განკუთვნილია.
ზოგნი—მშვენიერად (პოპოვა—ჯილდა), ზოგნი—უფრო
ცუდად. მაგრამ გარკვევა იმისა, თუ რა შემთხვევაა გამოა-
აქ ხმაური, ძნელი იყო. რატომღაც მიღებულია, რომ ოპე-
რაში თამაში სრულებით არაა მნიშვნელოვანი; მომღე-
რალს შეუძლია თუნდაც ფაფით აფსილი პირით მოახსენ-
ნოს საზოგადოებას თავისი არია და დასტოვოს სცენა.

ჩვენს ფიქრით, თამაში ოპერაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე დრამაში, სადაც სიტყვები აღწევენ მსმენელს სუფთა და მკაფიო სახით, ორკესტრის ხმოვანებასთან აურევლად.

ეს საყვედური არ ითქმის ინაშვილის მიმართ. მისი რიგოლეტო დაუვიწყარი მხატვრული სახეა, დიდი ხელოვნების ქმნილებაა. განსაკუთრებით თავზარდამცემი სიძლიერით ჩაატარა მან მესამე, აქტი, რომლის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ოვაცია გაუშართა...“ (გაზ. „რაზოჩაია პრავდა“, 30 მარტი, 1926 წ.).

„კვირას, 28 მარტს, ოპერის თეატრში სანდრო ინაშვილის მონაწილეობით დაიდგა ოპერა „რიგოლეტო“.

სანდრო ინაშვილი იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ოპერის სცენაზე მღერის.

თავის ღროზე ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა მომღერლის ყველა ღირსებები.

სანდრო ინაშვილის ყველა გასტროლები ცოცხალ ინტერესს იწვევდა ხალხში.

ჩვენ აქ არ შეუუძლებით მომღერლის იმ ღირსებათა აღნიშვნას, რომლის შესახებაც უკვე ვწერდით. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის, რომ ბოლო გასტროლმა ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა, რომ სანდრო ინაშვილის სახით ჩვენს ოპერას მოევლინა დიდად მნიშვნელოვანი ძალა.

ეს სადამო იყო არტისტის და მომღერლის უდიდესი გამარჯვება. 28 მარტის „რიგოლეტოში“ ინაშვილმა გვაჩვენა თავისი ხმის მთელი სილამაზე და სიძლიერე.

ის ადგილებიც კი, რომელნიც სხვა, თუგინდ კარგი მომღერლის შესრულებით მხოლოდ მოწონებას იწვევს, ამ სადამოს იწვევდა დაუსრულებელ ტაშს, და დამსწრენ მოითხოვდნენ განმეორებას.

წარმოდგენის გათავების შემდეგ თეატრის გამოსავალ-
თან ხალხმა დიდი აღფრთოვანებით გააცილა მომღერალი“:
(გაზ. „მუშა“, 30 მარტი, 1926 წ.).

„რიგოლეტოს“ შემდეგ, პოპოვასთან ერთად (როზინა) 2
აპრილს სანდრო ინაშვილი „სევილიელ დალაქში“ გამოვიდა:
ესეც სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად იქნა აღი-
არებული. თავისი ტემპერამენტიანი თამაშისა და მაღალი ვო-
კალური კულტურის მეოხებით, სანდრო ინაშვილმა ვერცხ-
ლის წყალივით დაუდგრომელი ფიგაროს მხატვრული პაჩე
შექქმნა. პირველი აქტის განთქმული კავატინა, რომელიც ხმის
განსაკუთრებულ მოქნილობასა და ვირტუოზულ ვოკალურ
კულტურას მოითხოვს, სანდრო ინაშვილმა ბრწყინვალე ოს-
ტატობით შეასრულა და თბილისელ ძველ თეატრალურ ბა-
უკეთესო მოგონებანი განუახლა:

„ჩვენ დავინახეთ ნამდვილი ფიგარო, გადმოცემული მხა-
ტვრული და უნაკლო თამაშით. ინაშვილი, როგორც დიდი
ლირსების არტისტი, მოგვევლინა მთელი თავისი სიძლიერით
ფიგაროს როლშიაც. მსახიობმა პირველი აქტის მონაოლოგში
მომშხიბლავი სიმღერით დაიპყრო საზოგადოება. მისი ხმა მდი-
დარი იყო როგორც ტექნიკით, ისე ჭეშმარიტი ლირიზმითა
და სილამაზით“, — სწერდნენ გამოქვეყნებულ რეცენზიაში.

აპრილის დამდეგს სანდრო ინაშვილი მასწავს ოპერა „თაის-
ში“ გამოვიდა. სიცოცხლით აღსავსე ფიგაროს დაპირისპირე-
ბით, აქ მან ქრისტეანული მორალის ფანატიკოსი პროპაგან-
დისტის, მეუღდაბნოე ნათანაილის შესანიშნავი განსახიერება
წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას.

ცნობილია, რომ მასწავს „თაისში“ ნათანაილისა და შემდეგ
თაისის პარტიები იქცევენ შთაეარ ყურადღებას, და მათი
წყალობით იღვმება ზოგჯერ ეს ოპერა სცენაზე, რომელიმე
სუჟალსაჩინო გასტროლიორის გამოსაყვანად: სანდრო ინა-
შვილმა არათუ გაამართლა თავის საგასტროლოდ ამ ოპერის
დადგმა, არამედ პირდაპირ წარუშლელი შთაბეჭდილება დას-
ტოვა ნათანაილის პარტიაში, რომელიც მას ჯერ კიდევ თა-

ვისი არტიტული კარიერის დასაწყისში ჰქონდა საუცხოოდ მომზადებული სცენიურად და ვოკალურადაც.

მელოდიური რეჩიტატივის ყოველი ფრაზა შესრულებულ იქნა მკაფიო გამომეტყველებითა და დიდი ექსპრესიული აქტუალებით. თაისთან (ბოკოვა) დუეტმა უდაბნოში და სხვა, უაღრესი მუსიკალობით შესრულებულმა ადგილებმა დამსწრეთა ერთსულოვანი ტაში გამოიწვიეს. „თაისში“ ერთხელ კიდევ ნათლად გამომქადაგნდა სანდრო ინაშვილის არა მარტო მაღალი ვოკალური კულტურა, არამედ დიდი აქტიორული ოსტატობაც.

გაზ. „კომუნისტი“ (№ 81-1536) სწერდა:

„... მართლაც დიდი არტიტი და დაკვირვებული მომღერალია საჭირო, რომ ნათანაილის პარტია, რომელშიაც ცალკე არიები არ არის და რომელიც საკმაოდ მონოტონურ მონოლოგს წარმოადგენს, პირველ რიგში იქნას დაყენებული. და ეს პარტია მართლაც ასეთი დახელოვნებით შეასრულა ინაშვილმა. ის უაღრესად ძლიერ განცდებდა და ნიუანსებს იძლევა სიმღერაში, იჩენს განსაცვიფრებელ მუსიკალობას, პირდაპირ პირველ გამოსვლისთანავე იპყრობს აუდიტორიას. შეუპოვარი ფანატიკოსის რეალური, ტიპიური სახე კიდევ უფრო აძლიერებს შესრულების შთაბეჭდილებას. მსახიობის ხმა თავიდან ბოლომდე საუცხოოდ ისმის. უკანასკნელი მონოლოგი პირდაპირ აჯადოებს მსმენელს...“

ასე ჩატარდა სანდრო ინაშვილის გასტროლები 1925-1926 წლის სეზონში იტალიიდან დაბრუნების შემდეგ. ჩვენ განზრახ შეეჩერდით ასე ვრცლად ამ გასტროლებზე, რათა თვალნათლივ გვეჩვენებინა მკითხველისათვის მომღერლის თვალსაჩინო მიღწევები უცხოეთში გატარებული წლების შემდეგ.

* *

თბილისში შესანიშნავი წარმატების შემდეგ სანდრო ინაშვილი მოსკოვს გაემგზავრა და სსრ კავშირის დიდ თეატრში გამოვიდა. 1926 წლის 5 ივნისს წარმატებით ჩატარდა აქ

მისი დებიუტი ოპერა „კარმენში“. შემდეგ ორჯერ იმღერა ონეგინის პარტია; ლენსკის როლს დიდებული რუსი მომღერალი ლეონიდ სობინოვი ასრულებდა.

სანდრო ინაშვილის საუცხოო თამაშმა, იშვიათი ღირსების ხმამ და მაღალმა ვოკალურმა კულტურამ მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება დაიმსახურა. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამოწვევით სანდრო თბილისში დაბრუნდა და განაგრძო მოღვაწეობა ოპერის დასში.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სანდრო ინაშვილი სათავეში ჩაუდგა თბილისის საოპერო თეატრის კოლექტივს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაატარა გასტროლები ქალ. ერევანში. ამ გასტროლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორი მოძმე ერის კულტურულ-პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერების საქმეში.

1926 წლის ზაფხულს დამლევს სანდრომ თბილისის საზაფხულო კლუბებში დაიწყო გამოსვლა. მის კონცერტებს აქ უამრავი მსმენელი ესწრებოდა.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“ სწერდა:

„სანდრო ინაშვილის გამოსვლები სიმფონიურ კონცერტებში დამსწრე საზოგადოების გაძლიერებული ინტერესით ჩატარდა: ახალ მუშათა კლუბში გამართულ საღამოში რეგისტრირებული იყო ორი ათასამდე მსმენელი. ეს სარეკორდო ციფრია. ათას ზუთასამდე მსმენელი იყო ცენტრალურ მუშათა კლუბში.

მომღერალმა აირჩია იაგოს არია—„კრედო“ ვერდის ოპერა „ოტელოდან“ და იგორის არია ბოროდინის ოპერიდან, — ორთავე ორკესტრის თანხლებით. პირველმა გამოამყვანა მომღერლის ნიჭის სადეკლამაციო და დრამატიული მხარეები, მეორემ—მისი წმინდა ვოკალური ღირსებანი. ღია ესტრადაზე მისი ხმა სრულად, მკაფიოდ და ლამაზად ჟღერდა.

ორთავე კლუბში ხალხი მხურვალედ შეხვდა მომღერალს და აიძულა იგი ბევრი ემღერნა ბისზე“. (იხ. „ზარია ვოსტოკა“, 10 აგვისტო 1926 წ.).

1927 წელს სანდრო ინაშვილი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საოპერო კლასის ხელმძღვანელად. ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ თბილისის მუშათა თეატრის სცენაზე მან მოაწყო თავისი კლასის საჩვენებელი სპექტაკლი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ვოკალური ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებმა: გერმესაშვილმა, კანდელაკმა, ხამაშურიძემ, ჩახუნაშვილმა, ნაფრუზაშვილმა, ნიკოლაძემ, ოვჩარენკომ, იანშაგიანმა, პრეისმა, ელფეთეროვამ და სხვებმა. დადგმულ იქნა ცალკეული სცენები ოპერებიდან: „მეფის საცოლუ“, „სევილიელი დალაქი“, „აიდა“, „ევგენი ონეგინი“ და „რიგოლეტო“.

მოუხედავად იმისა, რომ ნახევარი წელიწადი მეტად მცირე ვადა იყო გამოუცდელ მოწაფეთათვის სცენიურ ჩვევათა გადასაცემად, სანდრო ინაშვილმა თვალსაჩინო შედეგებს მიიღწია ამ ხნის განმავლობაში და მაღალ დონეზე ჩაატარა ეს რთული საჩვენებელი სპექტაკლი.

გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“ სწერდა:

„... საოპერო კლასის ხელმძღვანელი სანდრო ინაშვილი, — თვითონ შესანიშნავი მომღერალი და მსახიობი, — როგორც მოველოდით კიდევაც, ძალიან კარგი რეჟისორი აღმოჩნდა და, როგორც სჩანს, დიდი შრომა გასწია სპექტაკლის გასაფორმებლად. ამ შრომისა და შემსრულებელთა უნარიანი შერჩევის შედეგად, ინაშვილმა საყვებით დამაკმაყოფილებელ შედეგების მიღწევა შესძლო. ახალგაზრდა მსახიობებმა (რომელთა უმეტესობას კარგი ხმა აქვს) დაკვირვებით და უნარიანად ჩაატარეს თავიანთი სცენები და კარგად გაართვეს თავი მინდობილ პარტიებს...“

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სცენები „სევილიელი დალაქიდან“ და „რიგოლეტოდან“ შესრულებულ იქნა ქართულ

ენაზე, რაც ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა თბილისის საოპერო თეატრის ეროვნულ გზაზე დაყენების საქმეში. სანდრო ინაშვილის ბევრი მაშინდელი მოწაფე დღეს წარმატებით განაგრძობს მუშაობას როგორც თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საოპერო თეატრების სცენაზე.

იმხანად საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა შეუდგა ფილმის გადაღებას ლ. ნ. ტოლსტოის „კაზაკების“ მიხედვით. რეჟისორი იყო ვ. ბარსკი. ოლენინის როლი სანდრო ინაშვილს მიანდევს. გადაღება სწარმოებდა თბილისში, მოსკოვში, თერგის ოლქის სტანიცა ნაურსკაიაში და სხვა ადგილებში. უღალ ჩოხაში გამოწყობილი, ტანადი სანდრო ინაშვილი ლევ ტოლსტოის ნაწარმოების მთავარი გმირის ნამღვილი განსახიერება იყო „კაზაკებს“ დიდი წარმატება ჰქონდა. ჯერჯერობით ეს ერთადერთი ფილმია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სანდრო ინაშვილმა და ისიც... უხმო; ასე, როგორც—„მამის მკვლელი“ ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით.

სტანიცა ნაურსკაიაში სანდრომ შეისწავლა ადგილობრივი საცეკვაო მელოდია „ბესლანი“. თბილისში ჩამოსვლისას მან უტყუურად გადასცა იგი სმენით კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს, რომელმაც ნოტებზე გადაიღო და გამოსცა კიდევაც.

1928 წელს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „ლატაჟრა“, 1929 წელს კი—ვიქტორ დოლიძის „ცისანა“. სანდრო ინაშვილმა დიდი წარმატებით შეასრულა ამ ოპერებში ელიზუხისა და გორსკის პარტიები.

* *

1929 წლის 10 დეკემბერს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე სანდრო ინაშვილმა ვერდის ოპერა „აიდას“ დადგმა განახორციელა. სპექტაკლი გააფორმა მხატვარმა კარსლიანმა.

ამ დადგმაში სანდრო ინაშვილმა უარპყო ძველი, ათასგზის გაცეითილი შტამბი და ადგილიდან დასძრა ტრადიციული

საოპერო ფორმა. დეკორაციული ტილოების მაგივრად, მან უხვად გამოიყენა ახალი თეატრალური საკონსტრუქციო წყობა, სინათლის ეფექტები და ფერთა შეხამება. ზედმეტი აქსესუარებისაგან განტვირთა სცენა და მეტი გასაქანი მისცა მსახიობს. დადგმის ძირითადი მოტივები ძველი ეგვიპტეს დამახასიათებელ მონუმენტურობასა და პირამიდულ აღნაგობაში გამოიხატა. შესანიშნავად იყო გაფორმებული ამერიკისის პალატი, თებეს მოედანი, ნილოსის სანაპირო და სხვა სცენები. დინამიური და უფრო მოქმედი იყო მასა, განსაკუთრებით გაპარჯებული რადამესის დაბრუნებისა და ტყვე ეთიოპთა მოყვანის სცენაში.

დადგმის განხორციელებამდე მოეწყო მაკეტების კოლექტიური დათვალიერება ფართო თეატრალური საზოგადოებრიობის მონაწილეობით. სანდრო ინაშვილმა დამსწრეთ განუმარტა თავისი ახალი დადგმის დანიშნულება: ჩემი მიზანია — კონსტრუქციული გაფორმებით განვტვირთო სცენა ზედმეტი ელემენტებისაგან, მცირე საშუალებით მივსცე მაყურებელს მკვეთრი წარმოდგენა ეგვიპტეზე, სტატიკა შეეცვალო დინამიკით, მსახიობებს და მასას შივცე მეტი გასაქანი და, რაც მთავარია, შევეცადო არა ეპოქის აღწერას, არამედ მაშინდელი ხალხის სოციალური ბუნების გამომყდავენებასო.

დადგმის ეს წინასწარ ჩატარებული კოლექტიური გახიზვა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებად ჩასთვალა პრესამ და გამოაქვეყნა კიდევაც ამ გახიზვის ანგარიში.

პირველი სპექტაკლი გვიან დამთავრდა; დამსწრე საზოგადოებაზე მან მაინც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა თავისი სიახლითა და ამოცანის ორიგინალური გადაწყვეტით.

თბილისის ოპერის თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ნაწილის გამგე ნიკ. ბოგოლიუბოვი სწერდა: „... ამ სეზონში დადგმული „აიდა“ დამსახურებული არტისტის სან-

დრო ინაშვილის აბსოლუტურ შემოქმედებას წარმოადგენს: როგორც მაკეტის იდეა—მხატვრული და კოლორიტული, აგრეთვე გაფორმების იდეაც — კოსტიუმების, გრიპისა და მიზანსაცენების გეგმები, სანდრო ინაშვილის შემოქმედებითი ფანტაზიის სახესებით ორიგინალური ნაყოფია“.

სანდრო ინაშვილის მიერ დადგმულ „აიდას“ აუარება მაყურებელი ესწრებოდა. ამას ხელს უწყობდა შემსრულებელთა კარგად შერჩეული შემადგენლობაც.¹

1930 წელს ჩამოყალიბდა მოძრავი საოპერო დასი დასავლეთ საქართველოს ქალაქებისათვის მომსახურების გასაწევად. დასს უნდა ემუშავნა ოთხი თვე ბათუმში, ორი თვე სოხუმში და ერთი—ქუთაისში. სამხატვრო ხელმძღვანელად სანდრო ინაშვილი დაინიშნა. სეზონი გაიხსნა ბათუმში პირველ დეკემბერს ოპერა „აიდათი“. წარმოდგენები იმართებოდა ქართული დრამის თეატრში, სადაც 24 დღე თვეში დათმობილი ჰქონდა ოპერას, 6 კი—დრამას.

მიუხედავად იმისა, რომ საოპერო სეზონი გაიხსნა იმ დროს, როდესაც ყველა მომღერალი დაკავებული იყო, სანდრო ინაშვილმა მაინც საკმაოდ ძლიერი დასი შეადგინა და დიდი წარმატებით დაიწყო სპექტაკლების მართვა. ცალკე დადგმების განსახორციელებლად მას განზრახული ჰქონდა კოტე მარჯანიშვილის, სმოლიჩისა და სხვა ცნობილ რეჟისორთა მოწვევა. საგასტროლოდ უნდა ჩამოსულიყვნენ თბილისის ოპერის თეატრის სოლისტებიც.

სეზონის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი იყო თეატრის გამგზავრება კრასნოდარში, ნოვოროსიისკსა და კისლოვოდსკში, საიდანაც უკვე მიღებულ იქნა მიპატიყება. შემდეგ სეზონში, როდესაც დასი უფრო მოლონიერდებოდა, განზრახ-

¹ პირველ სპექტაკლში (1929 წ. 10 დეკემბერს) მონაწილეობდნენ: სოგოლეპოვა (აიდა), მაქსაკოვა (ამნერისი), ქუმსიაშვილი (რადამესი), ორელოვი (ამონასრო), ცომაია (ქურუმი), გოცირიძე (რამფისი). შემდეგ სპექტაკლში რადამესის პარტია შეასრულა დ. ანდლულაძემ. იხ. 1929 წლ. დეკემბრის „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და სხვა წყაროები.

ხული იყო საგასტროლოდ ჩასვლა თბილისში. მუშა-მაცურებლის მოზიდვის მიზნით გამოშვებულ იქნა შვიდი შეღავათიანი აბონემენტი, ორმოცი პროცენტის ფასდაკლებით.

ბათუმში დაიდგა: „აიდა“, „ფაუსტი“, „დუბროვსკი“, „ტოსკა“, „ევგენი ონეგინი“, „დემონი“, „პიკის ქალი“, „ჯამბაზები“, „რიგოლეტო“ და „ტრავიატა“. მზადდებოდა „აბესალომ და ეთერის“ და „დაისოს“ დადგმა. ორთვენახევრის შემდეგ დასი დაიშალა.

ამ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებას, რაც მიზნად ისახავდა ყოველგვარი ხალტურის აღკვეთას და პროფესიული მუსიკის ფართოდ გავრცელებას დასავლეთ საქართველოში, იმ პირობებში, სამწუხაროდ, მთელი რიგი დაბრკოლება გადაეღობა და მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

* * *

1932 წელს სანდრო ინაშვილი და ნიკო ქუმსიაშვილი მიიწვიეს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც მთელი 1932-33 წ. სეზონი დაჰყვეს. სანდრო ინაშვილმა იმდერა ლენინგრადში „კარმენი“, „დემონი“, „პიკის ქალი“ (ელეკცი), „ევგენი ონეგინი“, „ოტელო“ და „აიდა“.

„კარმენში“ მისი გამოსვლის გამო გაზეთი „კრასნაია გაზეტა“ (№ 242, 17 ოქტომბ. 1932 წ.) სწერდა:

„... ინაშვილს აქვს კარგი ღირსების ხმა, საკმაოდ მოქნილი და თანაბარი ყველა რეგისტრში. მისი სიმღერის ყაიდა დიდ ეოკალურ გამოცდილებასა და მხატვრულ ტაქტს ააშკარავებს (კერძოდ, აღსანიშნავია ფერმატოებისადმი მეტად კორექტული დამოკიდებულება)...“

თავისი შესანიშნავი გამოსვლებით კლასიკურ რეპერტუარში სანდრო ინაშვილმა ლენინგრადის თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება დაიმსახურა.

ლენინგრადში ყოფნის დროს სანდრო მუა სეზონში გამოიწვიეს თბილისიდან, მაგრამ თეატრის დირექცია ამ პერი-

ოდში მას, რა თქმა უნდა, ვერ გაათავისუფლებდა. 1933 წლის ივნისში კი სანდრო თბილისში დაბრუნდა და ოპერის დასში განაგრძო მუშაობა, ამავე დროს თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგედაც დაინიშნა.

ამ სეზონში—1933 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, სანდრო ინაშვილმა განახორციელა თავისი მეორე რეჟისორული ნამუშევარის სცენაზე გამოტანა და „ევგენი ონეგინი“ დასდგა. სიმფონიური კონცერტების ციკლოს ჩატარებითა და ამ სპექტაკლით თბილისის ოპერის თეატრმა პ. ი. ჩაიკოვსკის ჯარდაცვალების ორმოცი წლისთავი აღნიშნა.

თავისი ახალი დადგმა სანდრო ინაშვილმა რუსეთის XIX საუკუნის დასაწყისის თავადაზნაურული ყოფის გამოვლინებით გაიაზრა და სოციალურ მომენტს ხაზი გაუსვა. ჩაიკოვსკის შესანიშნავი „ლირიკული სცენები“ მან განტვირთა იმ შტამპისა და შაბლონისაგან, რაც ათეული წლების მანძილზე შეიტანეს ამ ოპერაში „სახაზინო“ თეატრებმა თავიანთი ტრადიციული დადგმებითა და ინტერპრეტაციით.

მოქმედ პირთა ბუნება ს. ინაშვილმა ეპოქის ისტორიული მასალის მიხედვით გახსნა და ძველი დადგმების დამახასიათებელი ყალბი პათოსი უკუაგდო. დადგმაში გამოვლინებულ იქნა რეალური ტიპები და ცოცხალი ადამიანები, რომელნიც ასე რელიეფურად არიან გამოკვეთილნი პუშკინის უკვდავ ქმნილებაში. ყურადღების ცენტრში მან ტატიანა წამოსწია, როგორც ძლიერი პიროვნება, და აღადგინა კომპოზიტორის განაზრახვი, რომელიც ცდილობდა ამ ნაწარმოებში მხატვრული რეალიზმის შთანერგვას რუსულ სცენაზე იტალიური და ფრანგული „დიდი ოპერის“ მაღალფარდოვანი სტილის ნაცვლად.

ასეთი კრიტიკული თვალთ მიდგომამ სულ სხვაგვარი სახე მისცა „ევგენი ონეგინს“ და ახლებურად წარმოუდგინა მაყურებელს მოქმედი პირნი. დადგმის წარმატებას ხელს უწყობდა მხატვარ ს. ვირსალაძის მარტივი დეკორაციები და ძველი, ფეოდალური რუსეთის კოლორიტის სწორი გადმოცე-

შა. ზოგიერთი სცენის გაფორმება—თვალისმომჭრელი ყვირთელი ფერი მეოთხე სურათში და სხვ.—პრესამ შეუსაბამო აღიარა.

ახალმა დადგმამ, საერთოდ, დიდი ინტერესი გამოიწვია. ამით ერთხელ კიდევ ნათლად გამომჟღავნდა სანდრო ინაშვილის მხატვრული პოტენცია და რეჟისორული უნარი.

* * *

1937 წელს სანდრო ინაშვილი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვოკალური ფაკულტეტის პედაგოგად, 1942 წელს კი მას აქ პროფესორის წოდება მიენიჭა. სანდრო ენერგიულ მოღვაწეობას ეწევა, როგორც ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი, და მაღალი ოსტატობით გადასცემს თავის მოწაფეებს იმ მდიდარ გამოცდილებას, რაც მას ათეული წლების მანძილზე შეუძენია.

პედაგოგიურ და არტისტულ მოღვაწეობასთან ერთად, სანდრო ინაშვილი ხშირად მგზავრობდა საქართველოს რაიონებში, როგორც სახელმწიფო ფილარმონიის მხატვრული ბრიგადის წევრი.

აი, თუნდაც ერთი დამახასიათებელი რეცენზია აფხაზეთში მისი საკონცერტო ტურნეს გამო:

„... პირველხარისხოვანი მომღერალი — დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი სანდრო ინაშვილი — მკაფიო წარმომადგენელია ოპერის ქართველ მსახიობთა პირველი თაობისა, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული ეროვნული ოპერის მთელი ისტორია.

სანდრო ინაშვილმა პირველმა შეჰქმნა მურმანის, კიანოის, აბდულ-არაბისა და სხვ. შესანიშნავი სცენიური სახეები.

საანგარიშო კონცერტში სანდრო ინაშვილმა დიდი წარმატებით შეასრულა მთელი რიგი არიები ხსენებული ოპერებიდან. მომღერალს შესანიშნავად აქვს დამუშავებული აგრეთვე კამერული ნაწარმოებებიც — რუსული, ქართული და იტალიური რომანსები, რომლებიც ბრწყინ-

ვალედ შეასრულა მან თავისი მაღალი ვოკალური ოსტა-
ტობითა და ლამაზი, კეთილშობილური ტემბრის ბარი-
ტონით...“ (იხ. ზაზ. „სოვეტსკაია აბხაზია“ № 175-1937 წ.).

მსგავსი კონცერტები სანდრო ინაშვილს ჩვენი სამშობლოს
ყოველ კუნჭულში აქვს ჩატარებული თავისი არტისტული
მოდერნიზაციის ორმოცი წლის განმავლობაში, მაგრამ მისი ხმა
სამშობლოს საზღვრებსაც დიდად გასცდა:

1939 წელს შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნა საქართვე-
ლოს ფილარმონიის ბრიგადა სანდრო ინაშვილის ხელმძღვა-
ნელობით პირველი და მეორე წითელდროშოვანი არმიისა და
წყნარი ოკეანეს ფლოტის მებრძოლთათვის მხატვრული მომ-
სახურების გასაწევად.¹

მიუხედავად მეტად მძიმე პირობებში მუშაობისა, ბრიგადამ
80-მდე პუნქტი მოიარა ვლადივოსტოკსა, ხაბაროვსკსა და მათ
აილომახლო მდებარე რაიონებში და სამთვე-ნახევრის გან-
მავლობაში ბევრი შესანიშნავი კონცერტი გამართა. სანდრო
ინაშვილი ასრულებდა აქ ქართველ, რუს და დასავლეთ ევრო-
პის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, გულმოდგინედ ავრცე-
ლებდა „აბესალომისა“ და „დაისის“ ჰანგებს იმ ადგილებში,
სადაც მანამდე ფეხი არ დაუდგამს ქართველ მომღერალს.

1939 წლის 5 დეკემბერს სანდრო ინაშვილმა კონცერტის
წინ ხაბაროვსკში რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა ქართველი
ერის გმირული წარსულისა და მისი მდიდარი მუსიკალური
კულტურის შესახებ:

„განსაკუთრებული გრძნობით ემონაწილეობ მე დღე-
ვანდელ კონცერტში. საქართველოს ხელოვნების წარმო-
მადგენლები პირველად ჩამოდიან შორეულ აღმოსავლეთ-
ში. ჩვენს ბრიგადას წილად ხვდა ბედნიერება სტალინური
კომსტიტუციის მესამე წლისთავზე გააცნოს შორეულ
აღმოსავლეთის მშრომელთ მშობლიური, მზიური საქარ-

¹) ბრიგადას მოსკოვიდანაც მიემატნენ შემკრულბეღლნი.

თველმა ხელოვნება, დიდი სტალინის სამშობლოს ხელოვნება...“

ჩატარებული მუშაობის შემაჯამებელ დახასიათებაში განსაკუთრებით აღნიშნულ იქნა „სანდრო ინაშვილის არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემები და საუცხოო სკოლა, რაც ღირსეულ წარმატებას უქმნიდა მას“.

განსაკუთრებული კულტურულ-აღმზრდელი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებათა ჩატარებისათვის, საქართველოს ფილარმონიასა და მის ბრიგადას, დიდი მადლობა“ გამოეცხადა.

სანდრო ინაშვილის უკანასკნელი პერიოდის სცენიურ ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის ლადო კეცხოველის მხატვრული სახე გრ. კილაძის ამავე სახელწოდების ოპერაში. „გამომეტყველმა სიმღერამ, გულდასმით გააზრებულმა თამაშმა, შესანიშნავმა დიქციამ და მაღალმა სცენიურმა კულტურამ ხელი შეუწყეს მსახიობს რევოლუციის უშიშარი რაინდის ამაღლებელი, სპეტაკი გრძნობით გამთბარი სახის შექმნაში“ (იხ. გაზ. „ზარია ეოსტოკა“ № 73-1941 წ.).

მშობლიური კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებამ სანდრო ინაშვილს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდება მიანიჭა და ორდენით დააჯილდოვა.

* *
*
*
*

თავის შემოქმედებითს მოღვაწეობაში სანდრო ინაშვილს არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ ყოველი მსახიობისათვის, გარდა ვიწრო-პროფესიული მუშაობისა, არსებობენ საზოგადოებრივი ამოცანებიც, რომლებიც მისი ინტერესის გარეშე არ უნდა დარჩნენ, და რომ მსახიობის მონაწილეობა ამ ამოცანათა გადაწყვეტაში მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული.

1917 წლიდან მოკიდებული სანდრო აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მთელ რიგ წელთა მანძილზე იგი ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის წევრი იყო. არა ერხელ აურჩევიათ საწარმოო თათბირებისა და სხვადა-

სხვა კომისიების ხელმძღვანელად, რომლებსაც შემოქმედებითი მუშაობის საკითხების მოგვარება ჰქონდათ დაეალე-ბული.



სანდრო ინაუშვილი
ლადო კაცხოველის როლში

მშობელი ერისა და ჩვენი დიადი ხელოვნების მოტრფიალე —სანდრო ინაუშვილი მუდამ მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული კულტურის აღორძინებაში, მდიდარი გამოც-

დილება გადასცეს ახალგაზრდა მსახიობს, თუკი იგი „განდი-
ლების მანიით“ არ დაავადებულა და დახმარებისათვის მიმარ-
თავს მას. სანდრომ არა ერთი მეგობრული რჩევა მისცა ნი-
კიერ ნიკო ქუმსიაშვილს რაულისა და ოტელოს პარტიების
მომზადების პროცესში და დიდად გაუადვილა მას უძნელესი
ამოცანების გადაწყვეტა.

ზრდილი და გულკეთილი სანდრო ჰუმანური სულისკვე-
თების მატარებელი ადამიანია, თავმდაბალი და თავაზიანი,
მომხიბლავია თავისი უბრალოებით თეატრშიც და კერძო
ცხოვრებაშიც.

ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრების გზა შარავანდედით შე-
მოსილი უდგას თვალწინ სანდრო ინაშვილს. იგი ეროვნული
სიამაყის გრძნობით იგონებს დიდ ქართველ კომპოზიტორთან
გატარებულ წლებს. სანდრო სპეტაკად ინახავს გულში თავი-
სი საამაყო მეგობრის—ვანო სარაჯიშვილის ნათელ ხსოვნას
და წმიდად იცავს მის საუკეთესო ტრადიციებს.

ვინც საყვარელ საფლავეებს პატივს არა სცემს, მისთვის
საფლავეც არამია. ვინც მათ წინაშე ქუდს არ იხდის, მას
არასდროს არ ჰხურავს ქუდი.

ვოკალური კულტურისა და სცენის ოსტატი

შრიალით ავარდა ფარდა.

ტანადი, მხარბეჭიანი კაცი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა სცენაზე და ხალხის წინ დადგა.

ტაში აგრიალდა.

ნიავის სიმსუბუქით წარსდგა ნაბიჯი, გაიღიმა და თავი დაჰხარა.

დარბაზში რაღაც სანეტარო სიმშვიდე გამეფდა.

ფორტეპიანოს პირველ აკორდს აზიზად აჰყვა ალერსიანი, მოგუგუნე ხმა. სიმღერა სასიამოო ერუანტელს იწვევს, ძარღვებში ჯადოსნური სითბო შეიქრა.

ბგერა თანდათან ძლიერდება... მაგრამ აი, მომღერლის შუბლი შეიქმუნა და ანაზდეულად გამოირთო ზღვრული ძაღლები: ფაქიზი მუსიკალური სმენა იღუმალი რეგულატორის როლს ასრულებს.

ხმა თანდათან ქვევით ეშვება, გულის სიღრმეში მიიბნია. სიმღერა დამთავრდა.

ტაში განმეორდა.

სანდრომ მოწიწებით დაჰხარა თავი და სწრაფად მიტრიალდა.

* * *

სანდრო ინაშვილი დაჯილდოებულია ლამაზი ტემბრის იშვიათი ხმითა და უტყუარი სმენით. მისი მუსიკალური ნიჭი და მხატვრული ალლო ქართული ხალხური ჰანგების საწყისებზე გამოიწრთო.

სანდრო ინაშვილმა ვოკალური კულტურის მრავალფეროვანი სკოლა განვლო ს. კავსადის გუნდის წევრობიდან მოკიდებული, დასავლეთ ევროპის გამოჩენილ მუსიკოსებთან მეცადინეობამდე. ბევრი რამ შეიძინა მან თავის დროზე ვანო სარაჯიშვილისგანაც.

ბგერის მომხიბლავი კეთილშობილება, სიღრმე, სიფართოვე და მოქნილობა. სისხლ-ხორცში გამჟღარი მუსიკალობა —

ახსიათებენ სანდრო ინაშვილს როგორც მდიდარი ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულ ადამიანს.

შესანიშნავად განვითარებული სუნთქვა, ხმის ფილირების მაღალი ტექნიკა, ბგერის წარმოქმნისა და მისი განვითარების იშვიათი უნარი — ბრწყინვალე ვოკალისტთა პირველ რიგებში აყენებენ სანდრო ინაშვილს. შესაძლოა ზოგჯერ სანდრომ ბგერის ძლიერებით „ქექა-ქუხილი“ ვერ ასტეხოს, მაგრამ მუსიკალურ ტაქტს არასდროს არ ასცდება, უშვაცრესი მსმენელის სინიდიხსაც კი ოდნავადაც არ შეუტაცხყოფს.

ნაწარმოების მუსიკალურ ქსოვილს სანდრო ინაშვილი განიცდის, როგორც საკუთარი ნერვების თითოეულ ძაფს, რომელსაც სათუთ სიმივით უკავშირებს ორკესტრის ელერალობას და მთელი არსებით შეერწყმის მას. ეს სულისა და ვულის მიმტაცი მუსიკალობა კიდევ უფრო მეტად აკეთილშობილებს თვით სამუსიკო ნაწარმოებს. როდესაც მთელი სიმძაფრით აუღერებულ ორკესტრს სანდროს შესანიშნავი ხმა ესაღბუნება, იგი თითქოს ყალბზე შემდგარ ბედაურს ალერსით იურვებს და ამშვიდებს მას.

სასიამოა ასე მთლიანად აკომპანემენტში ჩამჯდარი, ფაქიზი მუსიკალური სმენითა და მხატვრული ინტუიციით დაჯილდოებული მომღერლის მოსმენა. მისი ხმის მოალერსე ტემბრი და ხავერდოვანი ბგერადობა რაღაც თვითმყოფ სიმშვიდეს ჰგვრის ადამიანს. სანდრო მღერის თავისუფლად, ძალდაუტანებლად. მისი ფრაზა რელიეფური და გამომეტყველია, დიქცია მკაფიო და დახვეწილი, ნიუანსირება—პოეტური, თავისებური.

ცალკეული მუსიკალური ფრაზა, რომელიც ზოგიერთი ნომღერლის ხელში ულახათოდ ეღერს და არავითარ შთაბეჭდილებას არა სტოვებს, სანდრო ინაშვილის შესრულებით განსაკუთრებულ სიმძლავრეს აღწევს და წარმტაცი ხატოვანი ჩუქურთმებით წარმოგვიდგება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სანდრო ინაშვილის ხმის შუა რეგისტრი, რომელიც, მიუხედავად მომღერლის საკა-

ტიო ასაკისა და ორმოცი წლის სასცენო მოღვაწეობისა, ახლაც სასიამო ელფერით ეღერს.

სანდრო ხმაშიბნედილად სიმღერის დიდი ოსტატია: გულმკერდში ჩამდგარი ბგერა ძალდაუტანებლად ვითარდება და გზადაგზა ათასგვარ მოულოდნელ ნიუანსს წარმოქმნის. მომღერალი მთელი თავისი არტისტული არსებითა და სისხლხორციით განიცდის ყოველ სასიმღერო ფრაზას. ეს განსაკუთრებული ნიუანსირებაც — როგორც ხალასი განცდის მუსიკალური გამოხატულება — სწორედ აქედან გამომდინარეობს. სიმღერით გამოწვეული სიტკბოება აქ უმაღლეს წერტილზე აღის.

ხმის ფორსირებას სანდრო არასდროს არ მიმართავს. როდესაც ორკესტრის ფორტე გრიალებს და საჭიროა დიდი ხმოვანების გამომჟღავნება, მაშინაც კი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებს და ნებისმიერად წარმოქმნის ბგერას. საკმაოა დავასახელოთ სკარპიას („ტოსკა“) ცნობილი მონოლოგი პირველი აქტის ფინალში, რომ თავსებით აშკარა გახდეს ეს თვისება: მძლავრ გუნდთან სიმღერის დროს სანდრო ინაშვილი თითქოს სრულ უმოქმედობას იჩენს, მაგრამ მისი ხმა ამ უნისონურ გუგუნში მაინც საკუთარო გზით მიიმართება და ფარშავანგის კულივით გამოირჩევა. მსგავსი რამ მხოლოდ ვოკალური კულტურის გამოჩენილ ოსტატებს ახასიათებთ.

სანდრო ინაშვილის თვალსაჩინო მუსიკალობა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება დუეტებსა და ანსამბლებში. ნიჭიერი მომღერალი აქ მუდამ უტყუარ ტონს აძლევს შესასრულებელ ნაწარმოებს. ისეთი ძნელი ადგილები (როგორიცაა, მაგალითად ტერლამუნდისა და ორტრუდას შესანიშნავი დუეტი ვაგნერის ოპერა „ლოჰენგრინის“ მეორე აქტში), რომლებიც ყოველთვის ჯეროვანად ვერ აღწევენ მსმენელამდე, სანდრო ინაშვილის მონაწილეობით უაღრეს გამომეტყველ სახეს იღებენ და 'აერთო ყურადღების ცენტრში ექცევიან. სცენაზე ფეხის შემოდგმისთანავე სანდრო ინაშვილი ფაქიზი მუსიკალობით უკავშირდება ორკესტრის ხმოვანებას და

ბოლომდე რჩება მასთან იდეალურ კონტაქტში, როგორც მთლიანი ჰარმონიის წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორი.

რამდენი გამოჩენილი მომღერალი ვერ აღწევს თავს „ვოკალურ დემავოგიას“, იაფფასიან ეფექტსა და პოზირობას. მსგავსი რამ სანდრო ინაშვილს არტისტული კარიერის დასაწყისშიაც კი არ ახასიათებდა, როდესაც მეტად ტყბილია ეს ცთუნება, და პირდაპირ გშირობა უნდა გამოიჩინოს ახალგაზრდა ხელოვანმა, რომ ყოველგვარ მამლაყინწობას განერიდოს.

* *

სანდრო ინაშვილის რეპერტუარი რამდენიმე ათეულ პარტიას შეიცავს ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებში. მათ შორის აღსანიშნავია:

ქართველ კომპოზიტორთა ოპერები:

„აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ და „ლატავრა“ — ზაქ. ფაღიაშვილისა; „დარეჯან ცბიერი“ — მ. ბალანჩივაძისა; „შოთა რუსთაველი“ — დ. არაყიშვილისა; „ლეილა“ და „ცისანა“ — ვ. დოლიძისა; „ამირანი“ — კ. მეღვინეთ-უხუცესისა; „ლადო კეცხოველი“ — გ. კილაძისა.

რუს კომპოზიტორთა ოპერები:

„ბორის გოდუნოვი“ და „ხოვანშჩინა“ — მუსორგსკისა; „დემონი“ და „ნერონი“ — რუბინშტეინისა; „დუბროვსკი“ — ნაპრაენიკისა; „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“ და „პიკის ქალი“ — ჩაიკოვსკისა; „ღალატი“ — იპოლიტოვ-ივანოვისა; „სადკო“, „სნეგუროჩკა“ და „მეფის საცოლე“ — რიმსკი-კორსაკოვისა; „თავადი იგორი“ — ბოროდინისა; „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ — ჩიშკოსი; „წყნარი დონი“ — ძერუინისა.

დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერები:

„აიდა“, „ბალ-მასკარადი“, „ოტელო“, „რიგოლეტო“, „ტრაავიატა“ და „ტრუბადური“ — ვერდისა; „ტოსკა“, „ბოჰემა“ და „ჩიო-ჩიო-სანი“ — პუჩინისა; „ჯამბაზები“ და „ზაზა“ — ლეონკოვალოსი; „სევილიელი დალაქი“ და „ვილ-

პელმ ტელი“—როსინისა; „აფრიკელი ქალი“ და „ჭუგენოტები“ — მეიერბერისა; „ანდრე შენიე“—ჯორდანოსი; „კარმენი“ და „მარგალიტის მაძიებელი“ — ბიზესი; „კამორა“—ფსპოზიტოსი; „ლოპენგრანი“, „რეინის ოქრო“ და „ტანჰეიზერი“ — ვაგნერისა; „სამსონი და დალილა“ — სენ-სანსისა; „სოფლის პათოსება“ — მასკანისა; „თაისი“ — მასნესი; „ფაუსტი“ და „რომეო და ჯულიეტა“ — გუნოსი; „ფრა-დიავოლო“—ობერისა; „ტიფლანდი“ — დალბერისა; „ფიგაროს ქორწინება“ — მოცარტისა; „ჯიოკონდა“ — პონკიელისა და სხვ.

ნათარგმნი ოპერებიდან სანდრო ინაშვილს შესრულებული აქვს ქართულ ენაზე დემონის, ტორეადორისა და ოთარ-ბეგის პარტიები. უცხოეთში ყოფნის დროს, როგორც აღვნიშნეთ, სანდრო ინაშვილმა მოამზადა იტალიურ ენაზე: „რიგოლეტო“, „აიდა“, „ტრავიატა“, „ანდრე შენიე“, „ჭუგენოტები“, „კარმენი“, „ოტელო“, „ფავორიტი ქალი“, „ტოსკა“ და „ტრუბადური“. გარდა ამისა, ფრანგულ ენაზე მოამზადა თიბალდის პარტია გუნოს ოპერა „რომეო და ჯულიეტაში“. რამდენიმეს გამოკლებით, შეასრულა კიდევაც მან ეს პარტიები მადრიდსა და მარხერატოში.

სანდრო ინაშვილმა მდიდარი შემოქმედებითი გზა განვლო ოპერის სცენაზე და თანმიმდევრობით გაიარა ყველა საფეხური. გუნდის უბრალო წევრმა მალე მეორე პარტიების შესრულება დაიწყო, ხოლო შემდეგ პირველ პარტიებზე გადავიდა. ნაწილობრივ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთ ოპერაში მას ორი, სამი და ოთხი როლი აქვს შესრულებული, როგორც მაგალითად: „ევენი ონეგინში“—ზარეცკის, ასისტანტის, გრემინის და ონეგინისა, „ტიფლანდში“ — სებასტიანეს და მეწისქვილისა და სხვ. „პიკის ქალში“ სანდროს ნამდერი აქვს ტომსკი და ელეცკი; „ჯამბაზებში“ — სილიო და ტონიო; „კამორაში“ — ბეპო და გარინი; „ფაუსტში“ — ვალენტინი და მეფისტოფელი.

რა გასაკვირია, რომ ბევრი ოპერა მან პირდაპირ ზეპირად იცის, პირველიდან უკანასკნელ აკორდამდე, და ღირიჟორის წყებას არ აზის ტვირთად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სანდრო ინაშვილის მიერ მეფისტოფელის, გრემინისა და ბორის გოდუნოვის პარტიების შესრულება.

თბილისის ოპერის სცენას ახსოვს ბარიტონების მიერ მეფისტოფელის პარტიის შესრულების სამი შემთხვევა: მხოლოდ შესანიშნავი ხმითა და ვოკალური კულტურით შეიარაღებულმა მომღერლებმა — მაქსაკოვმა, ბაკლანოვმა და ორდამ შესძლეს წარსულში ამის განხორციელება.

სანდრო ინაშვილის ე. წ. „ცენტრალური ბარიტონი“ საუცხოოდ განვითარებული დაბლებითა და მკიდროდ შეკრული შუა რეგისტრით, ბგერის განვრცობის ისეთი ბუნებითაა აღჭურვილი, რაც იოლად მოიცავს „ბასსო კანტატოს“ დიაპაზონს.

მეფისტოფელის პარტიაში (1927 წლის 9 აპრილს) სანდრო ინაშვილის ხმამ საუცხოო მაღალი ბანის შთაბეჭდილება დასტოვა თავისი ხავერდოვანი ტემბრითა და შესანიშნავი ელფერის მატარებელი ხმოვანებით. სანდროს ხმა ამ პარტიაში ისე თავისუფლად ეღერდა და ფართოდ მომდინარეობდა, რომ ჯერ გაცემა და შემდეგ ნამდვილი აღტაცება გამოიწვია. განთქმული კუბლეტები ოქროს კერპის შესახებ და სერენადა ფანჯარასთან მან ისეთი ცხოველი გამომეტყველებითა და ხორცსავსე ბგერით შეასრულა, რომ მჭუხარე ტაში დაიმსახურა.

ხმაველილება იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ პრესამ ერთხმად აღიარა—ასე თავისუფლად სანდრო ინაშვილს ბარიტონის არც ერთი პარტია არ შეუსრულებიაო. მისი ნამდვილი ხმა არის არა დრამატიული ბარიტონი, არამედ შესანიშნავი თავისი სილამაზით, ბგერათა მოყვანილობითა და დიაპაზონით ნამდვილი მაღალი ბანიო. და მართლაც, ყველა ის ადგილები, რომლებიც თავიანთი მაღალი ტესიტურის გამო ერთგვარ

სიძნელეს უქმნიან ხოლმე ბანს, სანდრო ინაშვილისათვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდნენ.

სცენიურად სანდრომ უკუაგდო მრავალგზის გაცვეთილი შტამპი და მეტად ორიგინალური მეფისტოფელი განასახიერა. მან განტვირთა იგი ეშმაკის დამახასიათებელი აქსესუარები-საგან, „გააადამიანურა“ იგი და მიწიერი ვნებათა ღელვით გამოაქანდაკა. ამ მხრივ საგულისხმო იყო სადა, ერთფეროვანი კოსტიუმი და ძუნწად მოხაზული ნიღაბიც.

საუცხოოდ შეასრულა აგრეთვე სანდრომ ბორის გოდუნოვისა და გრემინის პარტიები, რითაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა თავისი შესანიშნავი ხმის მრავალფეროვანი ღირსებების გამომყვანებით. ასეთი წარმატებით გამოსვლა ბანის საპასუხისმგებლო პარტიებში ერთხელ კიდევ ნათელ-ჰყოფს მის დიდ ვოკალურ კულტურასა და არტისტულ დიპლომატიას.

* *
*

მრავალფეროვანი და მდიდარი სანდრო ინაშვილის საესტრადო რეპერტუარი. აქ შედის: ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა რომანსები, შემუშავებული ხალხური სიმღერები, სხვადასხვა ენარის კამერული ნაწარმოებნი, სამუსიკო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები.

ქართული რომანსისა და სიმღერის შესრულებისას სანდრო ინაშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევს მშობლიური კილოკავის სისწორით დაცვას და ეროვნული კოლორიტის გამოვლინებას.

ჩვენი შესანიშნავი ხალხური სიმღერები სანდრო ინაშვილმა ბავშვობაშივე შეისწავლა თავის ოჯახში მამისაგან, შემდეგ კი სანდრო კავსაძისა და ნიკო სულხანიშვილის გუნდებში. დიდი სამსახური გაუწია მას ამ მხრივ ვანო სარაჯიშვილმაც, რომელთან ერთად ხშირად მღეროდა სანდრო შესანიშნავ ქართლ-კახურ კილოებს.

ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო კავსაძის ხატოვან, წარმატად სიმღერას ფაქიზად ექსოვებოდა სანდრო ინაშვილის

მშვენიერი ხმა, მონუმენტური სიდიადე შეჰქონდა კილოს ჩუქურთმაში. „ბერი კაცი“, „ზამთარი“, „შვიდნი გურჯანელნი“, „შაშვი-კაკაბი“, „მრავალყამიერ“ და ბევრი დიდებული ხალხური სიმღერა (სხვა მომღერალთა დახმარებით) მთელი თავისი ბრწყინვალეობით ეღერდა ამ ხმაშეწყობილ ოსტატთა შესრულებით.

თავის უფროს მეგობართა დაკარგვის შემდეგ სანდრომ არა ერთხელ სცადა სხვებთან ხალხური კილოების შესრულება, მაგრამ... რაღაც უხერხულეობა იგრძნო. მგონი სიმღერას გადავეჩვიეო,—ამბობს სანდრო.

„გაღაჩევეაზე“ ლაპარაკი ზედმეტია, სიძნელე კი გასაგებია: გულის სიღრმიდან მწვევე განცდები დაიძრა და ყელი თითქოს რაღაც იღუმალი ძლიერებით გადაიარაზა... სიკვდილის მეტი ვერავითარი ძალა ვერ აღუკვეთს ადამიანს ამ დიად განცდას, ამ დიდებულ კეთილშობილებას.

არა ერთხელ აღუნიშნავს პრესას სანდრო ინაშვილის „განხაცვიფრებელი მუსიკალობა“. ამ შესანიშნავი ბუნებრივი ნიქის წყალობით სანდრო ქართული ხალხური სიმღერის თვალსაჩინო ოსტატი გახდა და სიკაბუქეშივე შეიცნო მშობლიური კილოს ბუნება. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ თავის პარტიებს ქართულ ოპერებში, სხვადასხვა შემუშავებულ ხალხურ სიმღერებსა და ქართველ კომპოზიტორთა კამერულ ნაწარმოებებს იგი სავსებით განსხვავებული კოლორიტით ასრულებს და უტყუარი ეროვნული ელფერიტ მოსავს.

საკმაოა დავასახელოთ ორი სავსებით სხვადასხვა ქართული კილო: დ. არაყიშვილის „ოროველა“ და კ. ფოცხვერაშვილის „ინდი მინდი“, რომ სავსებით აშკარა გახდეს სანდრო ინაშვილის დიდი შემოქმედებითი უნარი ქართული სიმღერის ბუნების შეცნობასა და გადმოცემაში.

აღმოსავლეთ საქართველოს შრომითი სიმღერების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს — „ოროველას“ სანდრო ინაშვილი ასრულებს დამახასიათებელი კილოკავითა და მღოვრე, რბილი ბგერის ფართო ელერადობით. „ინდი მინდი“ კი, მისივე

შესრულებით, შესანიშნავი სიმკვრიცხლით, მრავალფეროვანი ხმაგრეხილობითა და გურული კილოების ცინცხალი ელფერით წარმოგვიდგება. ყოველი ფრაზა მურმანის პარტიაში, განსაკუთრებით კი — აბესალომთან დუეტში, სანდრო ინაშვილის შესრულებით შეგვკვლია იმ თავისებური ნიუანსირებით, რომელსაც შშობლიური კილოების ღრმად მცოდნე მომღერალი წარმოქმნის ხოლმე თავისი უშუალო მუსიკალური ინტუიციით. ასევე პირწმინდა ეროვნულ ქარგაზე აქვს მას გამოკვეთილი თავისი პარტიები „დაისში“, „დარეჯან ცბიერში“ და სხვა ქართულ ოპერებში.

სავსებით განსხვავებული ინტერპრეტაციითა და სპეციფიკური კოლორიტით წარმოგვიდგება სანდროს შესრულებით სხვა ტომის კომპოზიტორთა ქმნილებები. ცხოვრების მდიდარი გამოცდილებითა და მაღალი ვოკალური კულტურით აღჭურვილი ოსტატი-მომღერალი თავის დამახასიათებელ ეროვნულ ელფერს უნარჩუნებს ყოველ შესრულებულ ნაწარმოებს.

ესპანეთსა და იტალიაში ყოფნის დროს სანდრო ინაშვილმა ბევრი იქაური შემუშავებული ხალხური სიმღერა და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოები შეისწავლა.

სანდრო ინაშვილის შესრულებით ფირფიტებზე ჩაწერილია ქართველ კომპოზიტორთა შემდეგი ნაწარმოებნი:

აბდულ-არაბის არია (ოპერა „შოთა რუსთაველიდან“) და „ოროველა“ — დიმ. არაყიშვილისა; კიაზოს ორი არია — „სულო ბოროტო“ და „დამისხი, დამალევიწე“ (ოპერა „დაისიდან“) ზაქ. ფალიაშვილისა; მურმანის არია — „ამომავალსა მზეს სწუნობს“ და აბესალომისა და მურმანის დუეტი (ნიკო ქუშსიაშვილთან ერთად (ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“) ზაქ. ფალიაშვილისა; გოჩას არია — „ღმერთო ძლიერო“ (ოპერა „დარეჯან ცბიერიდან“) მ. ბალანჩივაძისა; „ინდი მინდი“ — კ. ფოცხვერაშვილისა.

ეს მშვენიერი ჩანაწერები ფართოდაა გავრცელებული და დიდი წარმატებით სარგებლობს ხალხში.¹

* *

შესანიშნავი მომღერალი სანდრო ინაშვილი, ამავე დროს ოპერის ერთ-ერთი გამოჩენილი მსახიობია მთელს საბჭოთა კავშირში. ზოგიერთ სცენიურ სახეთა გადმოცემაში კი მას იშვიათად თუ ვინმე გაუწევს მეტოქეობას. მისი აქტიორული ოსტატობა ჩვენი ახალგაზრდა საოპერო ძალების ღრმა დაკვირვებისა და ყოველმხრივი შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

სანდროს სასცენო კარიერის დასაწყისშივე აღნიშნა პრესამ მისი „ბუნებრივი არტისტულობა“.

უდავოა, რომ არტისტული კულტურა, ძირითადად, ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის, საერთო გონებრივი განვითარებისა და ცხოვრების მდიდარი გამოცდილების შედეგია. მაგრამ მოიპოვებიან ისეთი ხანმოთეული მსახიობებიც, რომელთაც წელთა მანძილზე ერთი უბრალო მიზანსცენაც კი ვერ გადაუხალისებიათ, ათასგზის გაცვეთილი შტამპი ვერ გადაულახავთ. ასჯერ რომ ნახოთ ერთსა და იმავე როლში ასეთი მსახიობი წინასწარ გამოთვლილ ნაბიჯზე მეტს არ გადასდგამს, შეჩვეულ ადგილას მივა, მარცხენა ხელს გულზე მიიღებს, მარჯვენას კი ხმელი ტოტივით გამოსჩრის წინ. შემოქმედებითი ძიების გრძნობა ყოველი სიახლისა მას დახშული აქვს, როლინადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარი არ გააჩნია, განაწამები რეჟისორის მითითებებს ძლივს იმეორებს. მაშასადამე, მარტო სცენიური ხანდაზმულობა ყოველთვის როდი ასრულებს გადამწყვეტ როლს აქტიორული ოსტატობის სრულყოფაში. მდარე ნიჭის ადამიანი შეზღუდული რჩება ბოლომდე, მით უფრო თუ გულმოდგინეობას არ იჩენს და დღითი-დღე არ მუშაობს საკუთარ თავზე.

¹) 1948 წელს სანდრო ინაშვილის შესრულებით თბილისში ჩაწერილ იქნა: „მხოლოდ შენ ერთს“, „იქვე შენ და ისევ შენ“, „ოდესაც გიციქვრ“, „მშვენიერთა ხელაწიფავ“, „ლაღე“ და „შემოღამდება“.

„ბუნებრივი არტისტულობით“ დაჯილდოებული მსახიობი თავისებური მარიფათით შემოსდგამს ხოლმე სცენაზე ფეხს და მოხუცების უამს ასევე თავისებურად გაიხურავს უკანასკნელად კარს, დასტოვებს სცენას. ყოველ სპექტაკლში მას რაღაც გამსხვავებული ეშხი შეაქვს, და მაყურებელიც თვალნათლივ გრძნობს ამ სიახლეს.

სანდრო ინაშვილიც იმ იშვიათ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც მუდმივი შემოქმედებითი განვითარების უნარი მოეპოვებათ მთელი არტისტული კარაერის განმავლობაში.

ყოველ წერილმანში ღრმად გააზრებული მისი თამაში ნათელი, მკაფიო და მიმზიდველია. საუცხოო სცენიური გამომეტყველება, გრაციოზული მიხრა-მოხრა და კეთილშობილური მანერები განსაკუთრებით მიმზიდველს ხდიან სცენაზე მის ყოველ გამოჩენას. ჩვეულებრივ კონცერტებშიაც კი, როდესაც სანდრო საზოგადოების წინაშე დგას და ჯერ კიდევ ხმა არ ამოუღია, მაყურებელი ნათლად გრძნობს რაღაც იდუმალ მომხიბლობასა და დიდ კულტურას, რაც ამ მომღერალს თან ახლავს მუდამ არათუ შემოქმედებითს სარბიელზე, არამედ კერძო ცხოვრებაშიაც.

ამ კეთილშობილურ მანერებთან და თავით ფეხამდე დახვეწილ სცენიურ იერთან ერთად, უნდა აღინიშნოს სანდრო ინაშვილის მკაფიო დიქცია, გამომეტყველი ფრაზირება და მაღალი ხელოვნება გრიზირებისა.

რამდენი შესანიშნავი ხმის მქონე მსახიობი დაუსჯია ბუნებას დეფექტური ფრაზირებით, და ვერავითარ ხანგრძლივ მეცადინეობას ვერ აღუკვეთია ეს დიდი ნაკლი. რამდენი მსახიობი ვერ ართმევს თავს სიმღერის დროს სუნთქვის პროცესს და უადგილო ადგილას ჰგლეჯს არათუ ფრაზას, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც კი, რითაც მთელი ეფექტი იკარგება სანდრო ინაშვილის სიმღერა გაბზულ სიმთა უღერასავით წარმოგვიდგება და მთლიან შესანიშნავ ჰარმონიას ჰქმნის. ბერის წარმოკმნა, სუნთქვა, ფრაზირება, მიმიკა, ეესტი, აკომპანე-

მენტი და სცენაზე მოძრაობა — ყოველივე ეს მსახიობს იდეალურად შეხმატკბილებული და მთლიან სისტემაში მოყვანილი აქვს.

გრძობი სანდრო ინაშვილის ხელში არტისტული ზეგავლენის მძლავრი ფაქტორი ხდება. სახეზე გასმულ ყოველ ხაზს განსახიერებული გმირის სულის ძიღრმეში უდგას ფესვი, მისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს. შაბლონური, ტრაფარეტული „გასცენიურებისათვის“ სანდრო არასდროს არ ითიხნის სახეს, გრძობის ყოველ დეტალზე ხანგრძლივად ფიქრობს და მკაცრი მხატვრული გემოვნებით აზუსტებს იერს.

ქართულ ოპერაში სანდრო ინაშვილმა შემოიტანა ის სცენიური კეთილშობილება და მაღალი არტისტიზმი, რითაც ხასიათდება საოპერო შემსრულებლობის თანამედროვე საუკეთესო მიღწევები. მის მიერ განსახიერებული გმირები მკვეთრად გამოკვეთილი ქართული კოლორიტით წარმოგვიდგებიან და შედიან ზოგადსაქაცობრიო თეატრალური კულტურის საუნჯეში, როგორც იდეალურად დახვეწილი ეროვნული ქანდაკებანი. მათი განსახიერება სანდრო ინაშვილმა უკვდავ კლასიკურ ნაწარმოებთა გმირების სიღიადემდე აიყვანა და მონუმენტურ ფორმაში ჩამოაყალიბა. ამავ დროს მათ ქართული სული შეუნარჩუნა.

* *
*

გულწრფელსა და სიცოცხლით აღსავსე აბესალომს მუქი ღრუბელივით შემოჰყვა სცენაზე თავისი ვეზირი. ეთერს თვალი მოჰკრა და ელდა ეცა. ჰაბუკ უფლისწულს მანისის კრილა ზეცასავით უკრთის თვალები; რამდენი წრფელი მღელვარება აღბეჭდილა იმის სახეზე! მურმანს კი უფრო მოედღუშა მკაცრი პროფილი და თითქოს ეკალი გამოესხა ვიწროდ დაშვებულ წვერის ნაცვლად.

ელვის სისწრაფით შეიცვალა სანდროს იერი: გრძელი წარბი მშვილდით დაასხდა ამღვრეულ თვალს, ნერვიულმა ნაოჭმა დაქსელა შუბლი, სახე გაქვავდა. განწყობილება შექ-

წალია: მომავალი საბედისწერო დრამის ენერგია რელიეფური სიმძაფრით გამოისახა.

მურმანი განხე მიდგა და მთელი ბოღმა ჩააქსოვა თავის სიტყვებში:

— კაცსა გულუხვსა ახლა შემექნა
გული ხარბი და გაუძლომელი.
ხელმწიფე შეხვდა ტურფა საყვარელს,
მე კი, მის ეუზირს, შწარ სატანჯველი...

რამდენი ხალასი სასოწარკვეთა ახლავს თან ამ „ტურფა საყვარელს“ და რა უბადლო მღელვარებით გაისმის უკანასკნელი ორი სიტყვა—„შწარ სატანჯველი“.

აბესალომი ეთერს გაედევნა. სალ კლდესავით გამოკვეთილ მურმანს მუხლი მოექრა. მწვავე გრძნობები სწორუპოვარი ძლიერებით ეკვეთნენ მის გულს. სულში ჩამწვდომი ღალადისით გაისმის პირველი ფრაზა:

— ამომავალსა მზეს სწუნობს
ეთერის ეშხი, სიტურფე...

სანდრო ინაშვილის ხმამიზნედილ სიმღერას თანდათან უფრო მეტი ძალა ემატება, და არიის დასასრული:

— მაგრამ მზე ეთერიანობს,
ვწუხვარ არა ვარ მეც მეფე! —

ლითონისებურ ელფერს იღებს, კვლავ ძლიერი ნებისყოფით ეღება დარბაზს.

მურმანმა მზაკვრულ ხერხს მიმართა და ეთერი ხელში ჩაიგდო. სასიკვდილოდ განწირული აბესალომი უკანასკნელად იხმობს ეუზირს, მურმანი შურდულისით დაეშვა თავის კომუკიდან.

— მეფეს ვახლავარ!

განა რა არის ეს უშინაარსო, მოკლე ფრაზა, რომ ამაზე ღირდეს შეჩერება. მაგრამ სანდრო ინაშვილი სწორედ იმდენ შინაარსს ანიჭებს ამ ორ სიტყვას, რასაც ბევრი მსახიობი მთელი სცენის გათამაშებითაც კი ვერ გადასცემდა მაყურებელს. აქ ანაზღეული სტუმრობით გამოწვეული შემფოთებაც

სწინს, მეფისადმი მორჩილებაც, საკუთარი ქედმაღლობაცა და გულზვიადობაც. კონტრასტული სხვაობა მურმანის სულიერი განწყობილებისა, დუეტის პირველსა და მეორე ნახევარში, სანდრო ინაშვილის განსახიერებით მკაფიოდ გამოკვეთილ სახეს იღებს. რა ირონიული მედიდურებით უპასუხებდა იგი მეფეს ყოველ შეკითხვაზე ეთერის შესახებ და რა-რიგ სასოწარკვეთილი ემუდარება ახლა „ამალამდელ დამეს“, რომ არ გათენდეს მალე, რადგან „დილაზე ადრე ჰვანჯინიან პირსა ინდოეთისასა“ და იქნებ ვერც იხილოს აწი ეთერი.

მურმანის მხატვრული სახე სანდრო ინაშვილის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილებაა. მან პირველმა განასახიერა ეს დემონიური ვეზირი ჩვენს სცენაზე მაშინ, როდესაც წინამორბედი არ ჰყავდა და არავითარი ტრადიცია ხელს არ უწყობდა. უამრავი საკონცერტო შესრულება რომ არ ჩავთვალოთ, მან ასჯერ იმღერა მურმანი მარტო ვანო სარაჯიშვილთან ოპერის სცენაზე და თავისი მკაცრი პარტიოროს გულახდილი ქება დაიმსახურა. რამდენჯერ ხაზგასმით აღნიშნა პრესამ, რომ „ძნელი წარმოსადგენია ამ პარტიოს უფრო დამთავრებულად შესრულება“.

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ქმნილების სათავესთან ვანო სარაჯიშვილთან ერთად სანდრო ინაშვილიც ამაყად დგას და შედის ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში, როგორც შესანიშნავი ტრადიციის მემბაირახტრე.

* * *

არა ნაკლებ საინტერესოა სანდრო ინაშვილის განსახიერებით კიაზოს მხატვრული სახეც ზაქარია ფალიაშვილის მეორე შესანიშნავ ოპერა „დაისში“.

კიაზო მებრძოლი ვაჟკაცია. შეუპოვარი სიმამაცისა და პირადი დამსახურების მეოხებით მას ასისთავობამდე მიულწე-ვია. ხალხსაც უყვარს თავისი გმირი. მაგრამ... სიყვარულს საკუთარი კანონები აქვს. კიაზოს დანიშნულმა მარომ მშვე-

ნიერ მალხაზს მიანდო ბედი. ეს ამბავი ცეცხლივით შემოენ-
თო გულფიცხ კიაზოს. მთელი არსება მოეშხამა, ხალხის
თვალში ჩირქი მოეცხო. შეურაცხყოფილი ადამიანი თავის
გაშავებულ გვირგვინსა და გაწბილებულ სიკაბუქეს ჰგლო-
ნობს. ბელსა ჰგმობს, რომელმაც მას „ყმაწვილის ბრმა სარ-
წმუნოება მოუკლა“ და ფეხქვეშ გასთელა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ საუცხოოდ
გამოჰხატავს კიაზოს ამ განწყობილებას.

განთქმულ ქალაქურ კილოს — „სულო ბოროტოს“ ხანგრ-
ძლივი ისტორია აქვს. ნებას მივცემ ჩემს თავს შეეჩერდე
მასზე:

გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლე-
შივე გავრცელებული იყო ხალხში მის ტექსტებზე შექმნილი
სიმღერები. ლევან მელიქიშვილის მოწმობით, პოეტის გარ-
დაცვალებიდან სამი თვის შემდეგ რ. ანდრონიკაშვილთან შეკ-
რებილ ყმაწვილებს უთხოვნიათ ყაფლან ორბელიანისათვის
ემღერნა „სულო ბოროტო“. ექვსი წლის შემდეგ, ე. ი. 1852
წლიდან, დაიწყო ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოქვეყნება.
ხსენებული წლის „ცისკარში“ დაბეჭდილია ნ. ბარათაშვი-
ლის ოთხი ლექსი და მათ შორის — „სულო ბოროტო“.

ამრიგად, როგორცა სჩანს, ნ. ბარათაშვილის პოეტური
მემკვიდრეობიდან ეს ლექსი ყველაზე ადრე გადავიდა მუსი-
კაში.

ქალაქურ კილოზე გავრცელებული „სულო ბოროტო“
პირველად ჩასწერა კომპ. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, რომე-
ლიც გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სამუსიკო
სასწავლებელში მოღვაწეობდა. 1895 წელს ეურნალ „არტის-
ტის“ 45 №-ში მან გამოაქვეყნა თორმეტი ქართული სიმღერა
და მათ შორის „სულო ბოროტო“. მელიტონ ბალანჩივაძემ
დასწერა ამ ტექსტზე რომანსი, კორნელი მალრაძემ კი—სიმ-
ღერა ერთი ხმისათვის, გუნდის თანხლებით.

1900 წელს ფილ. ქორიძემ ნოტებზე გადაიღო ქართლში
გავრცელებული „სულო ბოროტო“. ამის გამო ფილ. ქორიძე

სწერდა: წარსულ ზაფხულს ქართლის სოფლებში ვიმგზავრე და მოვძებნე ძველი სიმღერები მშვენიერი კილოსა და საყურადღებო შინაარსისა, რომელთაც დამატებეს, მაგრამ ამასთანავე მწარე ფიქრებსაც მიმიცეს, რადგან ეს ძვირფასი განძი ქართულის მუსიკისა დღითი-დღე ჰქრებაო.

1900 წელს დიმ. არაყიშვილმა დასწერა რომანსი „სულო ბოროტო“, ტექსტი რუსულად სთარგმნეს ტხოჩევესკებმა (ფსევდონ. „ივან და მარია“), თარგმანს ეწოდება „Зло и гений“. „სულო ბოროტოს“ თემა კომპოზიტორს გამოყენებული აქვს თავის ოპერა „შოთა რუსთაველშიაც“.

ევროპაში ნამოღვაწეება ქართველმა კომპოზიტორმა ირაკლი ჯაბადარმა „სულო ბოროტოს“ ტექსტზე დასწერა რომანსი ფორტეპიანოსა და აგრეთვე ორკესტრის თანხლებით.¹

დასასრულ, დიმ. არაყიშვილმა და შ. თაქთაქიშვილმა დასწერეს საფორტეპიანო ტრიო „სულო ბოროტოს“ თემაზე (ფორტეპიანოს, ჩელოსა და ვიოლინოსათვის).

ზაქარია ფალიაშვილი აღმაცერად უცქეროდა ქალაქურ კილოს. 1908 წელს გაზეთ „ამირანში“ (№ 151) იგი სწერდა:

„...სულ პირველად ქალაქური კილოს სიმღერა შეთხზული იყო ბარათაშვილის ლექსზე—„წარვედ წყლის პირსა“, შემდეგ მოჰყვა და მოჰყვა, „კომპოზიტორებიც“ ხელად გაჩნდნენ და ყოველ დღე ახალ-ახალი სცხვება. ეს სიმღერები სულ ერთად რომ აიღოთ და შეაზავოთ, ერთი ზეირიანი არ გამოვა. ყველანი თავიანთი მოწყობილობით წააგავან იმავე „წარვედ წყლის პირსა“.

¹) ჩვენ ხელთა გვაქვს ი. ჯაბადარის სიმღერათა კრებული „სიკაბუკე“, რომელიც გამოცემულია ქ. ლოხანაში. თუმცა კრებულს თარიღი არ უხის, მაგრამ მის გარეკანზე მოთავსებული ნაწარმოების სახელწოდება „მოკვდა ქორეპი“ ცხადჰყოფს, რომ იგი გამოცემულია 1914 წლის შემდეგ. კრებული გამოცემულია დიდი გემოვნებით, მარტო ქართული ტექსტით, სხვა ენებზე თარგმნისა და გამოცემის აკრძალვით. საერთაშორისო მუსიკალური ტერმინოლოგიაც გაქართულებულია. ყველა ეგზემპლარი დანომრილი ყოფილა (ჩვენს კრებულს 96 № ახის). კრებულში შეტანილია 4 რომანსი „გამყვიანისათვის“ (ტენორისათვის), მათ შორის—ნ. ბარათაშვილის—„სული ობოლი“. გარეკანზე გამოცხადებულია, რომ იბეჭდება ნ. ბარათაშვილის ტექსტის მიხედვით „სულო ბოროტო“ და „მერანი“.

მიუხედავად ამისა, „დაისში“ მან მაინც მიმართა ქალაქურ კილოს და ბრწყინვალედ დაამუშავა მისი რამდენიმე ნიმუში. სანდრო ინაშვილი ხშირად ხედებოდა ზაქარია ფალიაშვილს „დაისის“ წერის დროს და ჩანასახშივე ეცნობოდა კიაზოს პარტიას. მან არა ერთი გონივრული რჩევა მისცა ზაქარიას პარტიის ვოკალური მხარის გადაწყვეტის შესახებ, რაც მიიღო კიდევაც მხედველობაში კომპოზიტორმა. ეს პარტია შენი ხმის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა დაწვეროს — აღუთქვა სანდროს ზაქარია ფალიაშვილმა.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ სანდრომ სწრაფად შეისწავლა პარტია და პირველ შესრულებისთანავე სპექტაკლის დედაბოძი გაჰხადა კიაზო. „დაისის“ რელიეფი ამის შემდეგ სულ სხვაგვარად გამოისახა. ეს გარემოება ზაზგასმით აღნიშნა მაშინ პრესამ:

„...თავისი გააზრებით ინაშვილმა დრამის ცენტრში წამოსწია კიაზო.¹ მის სცენიურ სახეს იგი მკაცრ და პირქუშ იერს ანიჭებს; იმ შეუპოვარი ნებისყოფით აღაესებს მას, რომელზედაც მალხაზისა და მაროს სიყვარული ფატალურად უნდა დაიმსხვრეს. თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება კიაზოს ფიგურა სახალხო აღმავლობის მომენტშიაც, როდესაც მხედართმთავრად ირჩევენ მას და ხმალზე ფიცი ინაშვილისა გამსჭვალულია სწორუპოვარი ვაეკაცობით.

ეს ვაეკაცური ძალა ფიცის სცენის ვოკალურ გადმოცემაშიაც წარმოგვიდგება. ინაშვილის ხმა აქ სრული ლითონით ეღერს, მაშინ როდესაც პირადი სულიერი დრამის ელეგიურ არიას მეორე აქტში²) იგი რბილ, ლირიკულ ტონებში გადმოგვცემს, რაც სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს. ახალი ელფერია ყანწის სცენაშიაც,³) რასაც ინაშვილი ცოცხალი და ხალისიანი ტემპით ატარებს.

1) ზაზგასმა ჩვენია. შ. კ.

2) „სულო ბოროტო“.

3) „დამისხი, დამალეინე“.

მსახიობს დიდი წარმატება ჰქონდა...“ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 1131—1926 წ.).

მსგავსი წარმატება სანდრო ინაშვილს თან ახლდა მუდამ, „დაისში“ ყოველ გამოსვლისას.

ვნებააშლილმა კიაზომ სამშობლოს მტრის თვალწინაც კი ვერ დასთმო სატრფოს სიყვარული და მალხაზი სიცოცხლეს გამოასალმა. საკმაოდ უხეში და სასტიკი რაინდი—კიაზო სანდრო ინაშვილის განსახიერებით მაინც რაღაც სანდომიანი იერით წარმოგვიდგება. ეს იმით აიხსნება, რომ მსახიობი აქ წუთითაც არ ღალატობს ზომიერების გრძნობას, ტრაფარეტულ ექსტაზს არ ეძლევა და თავის გმირს იმ კეთილშობილურ იერს ანიჭებს, რაც კი შეიძლება შეინარჩუნოს ყოველმა შესანიშნავმა ვაჟკაცმა კიაზოს მძიმე პირობებში. უხეშობაში გადასული სიმკაცრე სანდრო ინაშვილს ორგანიულად „არ გამოუდის“.

*

მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“ სანდრო ინაშვილმა გოჩას იდეალური მხატვრული სახე შექქმნა. მაღალი პატრიოტული გრძნობით აღგზნებული მგოსანი, მისი განსახიერებით, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული ადამიანის იერით წარმოგვიდგება. შესანიშნავი გრიმი, გარეგნობა, დარბაისლური მიხრა-მოხრა, მშვიდი გააზრებული თამაში და კეთილშობილური მანერები აკაკი წერეთლის დიდებული გმირის უტყუარ სახეს გადმოგვცემენ.

შესანიშნავად ეღერს სანდრო ინაშვილის შესრულებით გოჩას საუცხოო მელოდეკლამაცია:

„მე ვარდი ვარ, ვარდი, გულსხივოსანი,
მსურს ბულბული მოჭიკჭიკე, მგოსანი,
გრძნობით, ჭკუით, სულით პატიოსანი,
მეტს რას ეტყვის იმას მანდილოსანი?..“

მაყურებელი ნათლად გრძნობს, რომ მის წინ მართლაც „გრძნობით, ჭკუითა და სულით პატიოსანი“ მგოსანი დგას, რომელიც მთელი თავისი ადამიანური არსებით განიცდის სა-

სახლეში გამეფებულ უწესოებას და ქვეყნისათვის შესტკივა გული. მაღალი პატრიოტული მოწოდებით გაისმის ს. ინაშვილის შესრულებით გოჩას განთქმული არია — „ღმერთო ძლიერო“. ყოველი ფრაზა მომღერლის მიერ აქ ღრმად განცდილი და რელიეფურად გამოკვეთილია.



ს ა ნ დ რ ო ი ნ ა შ ვ ი ლ ი
გოჩას როლში

ცბიერი დედოფალი თავისი ხელით ისპობს სიცოცხლეს. მგოსანი მხოლოდ ამ თვითგანწირვაში სცნობს მის მშვენიერობას.

სანდრო ინაშვილის გოჩა ერთ-ერთი შესანიშნავი სცენიური სახეა მის მიერ განსახიერებულ გმირთა შორის.

სანდრო ინაშვილი თვალსაჩინო არტისტულ ძალად წარმოგვიდგება რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულებაშიაც.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ გავლენას ახდენს მსახიობის შემოქმედებითს იმპულსზე პარტნიორი. განსვენებულმა პროფესორმა ევგენი ვრონსკიმ მიაშბო: ერთხელ ონეგინის პარტიას ვასრულებდი. კარგ განწყობილებაზე ვიყავი და შესანიშნავადაც ჟღერდა ხმა. საუბარში შემთხვევით გამოვარკვიე, რომ ჩემს პარტნიორ ლენსკის წაკითხულიც კი არ ჰქონია ბოლომდე პუშკინის დიდებული ნაწარმოები. ერთობ მოვდუნდი. მზად ვიყავ ყრბში მომეხსნა და თეატრიდან ჭაგქცეულიყავ. ისე გამიფუჭდა ხასიათი, რომ იმ დღეს დაემარცხდიო...

რა უნდა იყოს ამაზე საზიზღარი და სამარცხვინო! რა უნდა შეჰქმნას სცენაზე ამ ლენსკის მსგავსმა მსახიობმა, თუ ვინღ ჯადო სიმები ებას ყელში და რაღაც წარშტაცი ხმის პატრონი იყოს, ან გარეგნობით—იდეალური სილამაზის მქონე ვაჟკაცი და აპოლონის სრული მსგავსება? უკეთეს შემთხვევაში იგი მხოლოდ ნიჭიერი მიმბაძველია: უნიათოდ შეყოწიწებული მიხრა-მოხრა სხვადასხვა მსახიობებისგან გადმოულია, მაგრამ, როგორც ამბობენ ხოლმე — „ზარის ხმა ესმის, სად რეკენ კი—არ გაეგება“. განა ეგ არ არაის კრილოვის ყვავი, რომელსაც ფარშევანგის ფრთები აუსხამს?

შესანიშნავი რუსი მომღერლები—სობინოვი, შალიაპინი და სხვები—უამრავ ენერჯიას ხარჯავდნენ თავიანთი გმირების ლიტერატურულად შესწავლაზე.

თუ მსახიობი ორგანიულად არ განიცდის განსახიერებელი გმირის სულისკვეთებას, ვერავითარი მძლეთამძლე რეჟისორი ვერ დააგებს მას მარჯვე ტარზე. ეს ორგანიულად განცდა კი მსახიობის საერთო კულტურიდან მომდინარეობს. მართოდენ პარტიის გაზეპირება ან „კარგი ხმა“ აქ ვერ ჰმველის საქმეს.

სანდრო ინაშვილი ისეთ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი მაღალი კულტურით, არტისტული ხელოვნებითა და ვოკალური ოსტატობით კეთილშობილური იერი შეაქვთ ყოველ სპექტაკლში. განსაკუთრებით იგრძნობა ეს „ევგენი ონეგინში“, რომელიც ყველა ამ თვისებათა ერთგვარ შემაჯამებელ ფოკუსს წარმოადგენს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სარკესავით აშიშვლებს მსახიობის ავლადიდებას.

ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინს“ ჩვენს სცენაზე შესანიშნავი ტრადიცია აქვს. მოსკოვის შემდეგ, პეტერბურგზე ადრე ეს ოპერა თბილისში დაიდგა 1883 წლის 8 თებერვალს. მას შემდეგ ათობით საუცხოო ონეგინს უმღერნია აქ ამ სამოცდახუთი წლის განმავლობაში.

სანდრო ინაშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო ონეგინი იყო, და არა მარტო ჩვენს სცენაზე. საგასტროლოდ ჩამოსული „ვარსკვლავებიც“ კი დაუჩრდილავს მას აქ პუშკინის უკვდავი გმირის განსახიერებაში.

აი, თუნდაც გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებული რეცენზიიდან ამონაწერი 1926 წელს ერთი სახელოვანი მომღერლის გასტროლის გამო:

„დიდი ხანია არსებობს შეხედულება, რომ ნიჭი და შესრულების დადებითი მხარეები ირკვევა შედარების საშუალებით. სახელმწიფო ოპერის სცენაზე ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინათ მოვისმინეთ ონეგინის პარტიაში მეორე დაკვირვებული არტისტი და მომღერალი, და მიუხედავად იმისა, რომ მე ამ კრიტიკულ მიმოხილვაში სრულიადაც არ ვფიქრობ რაიმე შედარება გავატარო, შთაბეჭდილება ამას წინათ დადგმული „ონეგინისაგან“ იმდენად ცოცხალია ჯერ კიდევ, რომ შედარება აქ თავისთავად იბადება. აი, ამით ვხსნი მე იმ გარემოებას, რომ შარშან ამ როლის შესრულებაში № მთავარი გაცილებით მეტი შთაბეჭდილება დასტოვა. თამაშში ცოტა არის რეალიზმი, არტისტი სულ პოზიორობს, ეს კი არღვევს სცენიური სიმართლის ილუზიას... სუსტია პირველი გამოხსვლა. № ცდილობს ჰგავდეს

პუშკინის გმირს, მაგრამ ამას სცენიური მხრით ის ნაკლებად ახერხებდა. არა სწორ ტონებში ჩაატარა არტისტმა სცენა ტატიანასთან ტყეში: აქ საჭიროა ირონია დაფარული გარეგნული თავაზიანობით და არა ლირიზმი, რომელშიაც ატარებს ამ სცენას „გასტროლიორი...“

„მეორე დაკვირვებული არტისტის“ სახით რეცენზენტს სანდრო ინაშვილი ჰყავს მხედველობაში; გასტროლიორის გვარი კი—ჩვენ ამოვიღეთ. საგულისხმოა, რომ თბილისის ოპერის სცენაზე გაზრდილმა სანდრო ინაშვილმა უფრო მეტი უნარი გამოიჩინა ონეგინის განსახიერებაში, ვიდრე იმ სახელოვანმა გასტროლიორმა, ვისთვისაც უფრო მშობლიურია პუშკინის უკვდავი გმირი.

ეს მცირე შენიშვნა ბევრ ყურადსაღებ რაიმეს გვეუბნება: რამდენი ცდილობს ჰგავდეს ონეგინს, მაგრამ... არ გამოუღის. ტრაფარეტს ვერ გასცილებია, უსუსურ აღტაცებას ჰგვრის რომელიმე ხმამაღლა ნამღერი ფრაზა, მთავარი რამე კი განზე რჩება. ვერ მიმხვდარა, რომ თავიდათავი ონეგინის ბუნების გახსნა და არა მისი ცნობილი არიოზოს ზედიზედ გამეორება, რაც ხშირად მხატვრული ზომიერების საზღვარს სცილდება და უსიამო გრძნობას ჰგვრის ადამიანს. მაგრამ თუ მსახიობმა მაყურებელს უნდა დაუთმოს, და ეს დაუსრულებელი ბისირება, ზოგიერთების თვალში, მაინც თუ რაიმეს ნიშნავს, სანდრო ინაშვილი ამ მხრივაც არავის არ ჩამორჩებოდა. „ექვს გარეშეა“ ჩვენ მისგან შეიღჯერ, რვაჯერ მოგვისმენია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა ნიუანსირებით, რაც დარბაზში ტაშის ქუხილს იწვევდა.

არც ერთ ოპერაზე არ უმუშავნია სანდროს იმდენი, რამდენიც „ევგენი ონეგინზე“. მან გუნდში მონაწილეობით დაიწყო, ზარეცკი, ასისტავი, გრემინი, ონეგინი შეასრულა და შემდეგ დასდგა კიდევაც ეს ოპერა. დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს.

სანდრო ინაშვილი ონეგინს ასახიერებდა უბრალოდ, დარბაისლურად და ყოველგვარი ყალბი პოზის გარეშე. პარ-



სანდრო ინაუვილი
ოფიცინის კოლუბი

ტიის ვოკალური მხარე და სცენიური შესრულება აქ თანაბარი სიძლიერით იყო შერწყმული. მომღერლის „რალაც შინაგანი დაბინდული კეთილშობილება“, ყოველ წერილმანში დახვეწილი და ღრმად გააზრებული თამაში პუშკინის გმირის უტყუარ სცენიურ სახეს გადმოგვცემდა. „გარეგნული თავაზიანობით დაფარული ირონია“, ფაქიზი თავდაპერა და გრაციოზული მანერები იმ განებივრებულ სეპტიკოსს წარმოგვიდგენდნენ, რომელსაც თითქოს ადგილი ვერ უპოვია დედამიწაზე და „აქაც მოსწყინდა“—ამ მრავალფეროვან, მხიარულ საზოგადოებაში.

როგორ იცვლებოდა ეს „მოდრუბლული, ახირებული“ ონეგინი ტატიანასთან შეხვედრის დროს ბოლო სცენაში. რამდენ გულწრფელობას, ჭაბუკურ ტემპერამენტსა და უშუალო გრძნობას იჩენდა აქ სანდრო ინაშვილი. რაოდენ სასოწარკვეთილი და ამაღელვებელი იყო მისი სინანული, ხელახალი სიმარტოვისა და სულიერი სიკალიერის მწვევე განცდა.

ონეგინის პარტიაში სანდრო ინაშვილს მუდამ შალალ შეფასებას აძლევდნენ ვოკალური კულტურისა და სასცენო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები. მათ შორის საკმაოა დავასახელოთ მიუდგომელი და მკაცრი მსაჯი, ჩაიკოვსკის ოპერების ერთ-ერთი პირველი შესანიშნავი შემსრულებელი რუსულ სცენაზე, განსვენებული პროფესორი ბ. ბ. კორსოვი,¹⁾

¹⁾ ბ. ბ. კორსოვმა მუსიკალური განათლება მიიღო მილანში და დიდი წარმატებით დაიწყო თავისი არტისტული კარიერა იტალიაში. 1869 წელს მიწვეულ იქნა რუსეთის საიმპერატორო თეატრების სცენაზე ჯერ პეტერბურგსა, ხოლო შემდეგ—მოსკოვში, ბარიტონის პირველ პარტიებზე. 1884 წ. 3 თებერვალს პირველად დაიჯგა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ჩაიკოვსკის ოპერა „მახუა“, რომელშიაც კორსოვმა მახეპას პარტია შეასრულა. ოპერის დადგამდღე რამდენიმე დღით ადრე, სავანგებოდ კორსოვისათვის დასწერა ჩაიკოვსკიმ მახეპას განთქმული არია—„ო, მარია“ (შემდეგ სეზონში ეს ოპერა უკვე თბილისში დაიდგა). კორსოვის სასცენო კარიერა ბრწყინვალედ ჩაატარდა. 1905 წელს მან დასტოვა სცენა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

1916 წელს ბ. ბ. კორსოვი მოწვეულ იქნა პროფესორად თბილისის სამუსიკო სასწავლებელში ე. კ. რიადხოვის მაგივრად და აქვე დარჩა სიკვდილამდე. გარდაიცვალა 1921წ. 23 თებერვალს. დაკრძალულია წმ. ნიკოის სასაფლაოზე.

რომელიც მეტად ძუნწი იყო მხახიობის ქებაზე და მომდერალს იოლად თბილს იტყუებს არ აღირსებდა. კორსოვი სანდრო ინაშვილს ერთ-ერთ საუცხოო ონეგინად სთვლიდა სცენიურად და ვოკალურადაც. მისი ხმის ტემბრს დიდებული ბარიტონის ბაკლანოვის ტემბრს ადარებდა, ხოლო ამ უკანასკნელზე ასეთი წარმოდგენისა იყო: „ფორტუნამ რომ ახალგაზრდა გამხადოს, მხოლოდ ბაკლანოვის ხმას ვინატრებდიო“.

* *
*

სკარპიას პარტიას პუჩინის ოპერა „ტოსკაში“, როგორც აღვნიშნეთ, სანდრო ინაშვილი იტალიაში გამგზავრებამდე ასრულებდა. მისი პარტნიორები აქ ვანო სარაჯიშვილი, ალექსო და კარპოვა იყვნენ. შემდეგ ეს პარტია იტალიურ ენაზე მოამზადა და სცენიურად უფრო ღრმად დაამუშავა მან თავის მასწავლებელ ევგენი ჯირალდონისთან.

სანდრო ინაშვილმა რომის პირსისხლიანი დიქტატორის დაუეიწყარი მხატვრული სახე შექმნა: გაქვავებული, უსულგულო გამომეტყველება, შხამით გაყენთილი ბასრი თვალები, სასტიკად შეკრული კოპი, ჩამოჯენჯილი წარბები, სისხლდაწრეტილი თხელი ცხვირი, ბრაზით გამობერილი ნესტოები. თვალის ერთი მოვლებითაც კი აშკარა ხდება, თუ რად „თრთოდა მთელი რომი“ ამ შეუბრალებელი და ცერაგი დიქტატორის რისხვის წინაშე. მაგრამ საქმე ისაა რომ სანდრო ინაშვილი ოდნავადაც არ ავულგარებს სკარპიას სცენიურ სახეს, იაფფაიანი ყანდარმული ტემპერამენტითა და ყვირილით არ გადის ფონს. იგი გარეგნული სიმშვიდითა და ზომიერი თავშეკავებით ასახიერებს ამ მაღალი წრიდან გამოუსულ ჯალათს. მის სკარპიაში მაინც არისტოკრატი—ბარონი სჩანს იმ შერბილებული მანერებით, რაც სკარპიას ოდესღაცე ჰუმანური აღზრდის შედეგად შეუთვისებია. მით უფრო საზიზღარი და აუტანელი ხდება ის მხეცი, რომელიც ახლა მის სულსა და გულში ჩაბუდებულია.



სანდრო ინაუზიწი
სვარპიას რომში

აღვირახსანილი ადამიანის დემონიური მძაფრი ვნების გამოვლინებით ატარებს სანდრო ინაშვილი მთელს მეორე აქტს. რამდენი შხამი, დაცინვა და აბუჩად აგდება ვამოსჭვივის მის თითო სიტყვაში, როდესაც აფრთხილებს ტოსკას, რომ შემდეგ გვიანლა იქნება ყოველი მუდარა და ვერას უშველის იგი კავარადოსის... უსულო გვამს!

ეს — „უსულო გვამს“ — საშინელი ცინიზმით ვაისმის სცენიდან და თავზარდამცემ ერუანტელს იწვევს მსმენელში. სკარპიას გამგმირავი, ცივი თვალები ყინულის პაწია ბურთულეებით მიჰყვება თან მაყურებლის მეხსიერებას.

**

„რიგოლეტო“ გენიალური იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. მას საფუძვლად დაედო ვიქტორ ჰიუგოს შესანიშნავი ნაწარმოები „მეფე ერთობა“. ვერდისათვის ლიბრეტო პიავემ დაამზადა, მაგრამ თვით კომპოზიტორმაც, როგორც ეს სჩვეოდა ხოლმე, უახლოესი მონაწილეობა მიიღო მის შექმნაში. განზრახულ ოპერას „წყევლა“ ერქვა. ცენზურა დააფრთხია სიუჟეტმა და ლიბრეტო აიკრძალა. ვერდი თავგამოდებით იცავდა თავის ლიბრეტოს; სრულებით შევწყვეტ შემოქმედებითს მუშაობასო, იმუქრებოდა. მაინც მცირეოდენი ცვლილება შეიტანეს: მთავარ მოქმედ პირს „ტრიბიულეს“ ნაცვლად „რიგოლეტო“ დაარქვეს და ეს სახელი მიაკუთვნეს თვით ოპერასაც. ვერდი დასთანხმდა. სოფელ ბუსეტოში ორმოცი დღის განმავლობაში შექმნა მან თავისი უკვდავი ნაწარმოები. 1851 წლის 11 მარტს ვენეციის თეატრ „ლა ფენიჩეში“ პირველად დაიდგა ეს ოპერა. წარმატება პირდაპირ ფანტასტიკური იყო. განთქმული არია—„ლამაზი ქალი“ ვერდიმ მხოლოდ ოპერის დადგმის წინა დღეებში გადასცა ჰერცოგის პარტიის შემსრულებელს: ნაადრევი გავრცელებისა ეშინოდა, პლაგიატობას დამწამებენო. ვერდის წინდახედულობა მეტად გონივრული აღმოჩნდა: ოპერის დადგმისთანავე გაიტაცა ხალხმა „ლამაზი ქალი“.

ამის შემდეგ, ვერდის დიდებული ქმნილება თბილისსაც მალე ეწვია. ერევნის მოედანზე აგებულ შესანიშნავ საოპერო თეატრში მ. ს. ვორონცოვის მიერ მოწვეულმა იტალიურმა დასმა 1853 წელს პირველად დასდგა ეს ოპერა. „ლამაზი ქალი სანდო არ არი“ ელვის სისწრაფით მოედო ძველი თბილისის ქუჩებს. ქალაქელი ახალგაზრდობა და სხვადასხვა ჯურის მუშა-ხელოსნები, რომლებიც თეატრის ქანდაკაზე იყვნენ მოკალათებულნი, სპექტაკლის შემდეგ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღიღინებდნენ იტალიურ ენაზე ჰერცოგის არიას „ლადონნა მობილე“, თუმცა სიტყვები არ გაეგებოდათ. ამ დღიდან მოკიდებული, „რიგოლეტო“ ჩვენი სცენის მუდმივი სტუმარი გახდა.

თავისი ოპერის შესახებ ვერდი სწერდა: თავი რომ დავანებოთ „რიგოლეტოს“ ლიტერატურულ და პოეტურ ღირსებებს, ვფიქრობ, ეს სიუჟეტი საუკეთესოა მათ შორის, რომლებზედაც მე მუშაობა დამიწერიაო.

დრამის ცენტრში დამცირებული ადამიანი რიგოლეტო—სასანლის მასხარა, რომელიც იძულებულია ცრემლნარევი სიცილით გაართოს ფუქსავატი ჰერცოგი და მის კარზე მყოფი კურტიზანები. ერთად-ერთი იმედის—საყვარელი შვილის აბუჩად აგდება ჰერცოგის მიერ, რიგოლეტოს აუწერელ წამებას ჰგვრის. ჯილდა იღუპება. ბედკრული მამა სამუდამოდ უბედურდება.

რიგოლეტოს პარტიაში სანდრო ინაშვილის გამოსვლას თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე საკმაოდ ორიგინალური ისტორია აქვს:

ბარიტონის მთავარ პარტიებს, მათ შორის რიგოლეტოსაც, აქ ასრულებდა შესანიშნავი მომღერალი თადეუშ ორდა, რომელიც სანდროსა და ვანო სარაჯიშვილის ახლო მეგობარი და დიდი პატივისმცემელი იყო. ამ უცხო ტომის ადამიანმა ვანოს წყალობით ქართული რაინდული წესიც კარგად შეიტვისა...

ორდას ძლიერ მოსწონდა ახალგაზრდა ქართველი ბარიტონი სანდრო ინაშვილი. ნიადაგ აქებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის დაწინაურებას პირველ პარტიებზე. მაგრამ იმ პირობებში ეს არც ისე იოლი იყო: ს. ი. ევლახიშვილი, რომელიც სათავეში ედგა ანტრეპრიზას, მართალია, კარგად იცნობდა სანდროს სახალხო სახლის სცენით და რამდენიმე საგასტროლო მოგზაურობით, მაგრამ აქ, განთქმულ თეატრში, მაინც სიფრთხილით ეკიდებოდა მისთვის ახალი პარტიების მიცემას,—ჯერ კიდევ ახალგაზრდა მომღერალია, ვაი თუ მაყურებელი ვერ მიიზიდოს და ზარალი ენახოთო. ორდა კი, როგორც სახელოვანი მომღერალი, ამ მხრივ სრულ გარანტიას იძლეოდა.

იმ დღეს „რიგოლეტო“ მიდიოდა. თეატრი ხალხით გაიჰყედა. ფარდის აწევამდე ცოტა დრო დარჩენილიყო. ორდა გაფაციცებით იკეთებდა გრიმს და გამოსასვლელად ემზადებოდა. მას თავს დასტრიალებდა თეატრში კოსტიუმერად მომუშავე ჭაბუკი შ. ელიაშვილი.

კულისებში ორდამ სანდრო ინაშვილს მოჰკრა თვალი. ანაზღეულად მიაძახა:

— სანდრო, მოდი აქ... გინდა იმღერო?!

— რა?

— რა და... რიგოლეტო!

— მინდა... მაგრამ ჩემს სურვილზეა?

— მზადა გაქვს პარტია?

— ნამღერიცა მაქვს, სხვა სცენაზე.¹

— მაშ კარგი, დღეს შენ იმღერებ.

— წარმოუდგენელია...

— ეს მე ვიცი. შორს არ წახვიდე, მოგძებნიან...

გაოცებული სანდრო სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. ორდამ ფული ამოიღო და ელიაშვილს ჩაუღო ხელში.

1) რიგოლეტოს პარტია ს. ინაშვილმა პირველად 1914 წლის დეკემბრის მერვე ნახევარში შეასრულა სახალხო სახლში.

— მე ავად გავხდი, ალბათ, რაღაცამ მაწყინა და... გასაგებია? კრინტი არ დასძრა. გასწი, ევლახიშვილს შეატყობინე.

ხუთიოდე წუთის შემდეგ გაფითრებული ევლახიშვილი გულაძგერილი შეეარდა ორდასთან. მსახიობი მას საშინლად მოკრუნჩხული დახვდა.

— ბიშველე, სერგო...

— დავიღუპეთ და ეგაა, რა მოგივიდა ასე უცებ?

— დასწყევლოს ღმერთმა, დედის რძე არ ჩამრჩა მუცელში. სანდრო ინაშვილს დაუძახეთ, ჩქარა ჩაიცვას...

— სანდროს?

— ჰო, ყოყმანის დრო არაა. მშვენივრად იცის პარტია, კარგად გამოვა. თუ არ მოვევდი, მეც აქ ვიქნები.

ცოტა ხნის შემდეგ სანდრო უკვე სცენაზე იყო. იმ დღეს მასთან ჯილდას პარტია საბანეევამ შეასრულა (ორდას მეუღლე), ჰერცოგისა კი—ზალიპსკიმ. აკვნესებული ორდა კულისებშივე ტრიალებდა და სანდროს ამხნეებდა. დამსწრე საზოგადოება ერთსულოვანი ტაშით შეეგება ახალგაზრდა მომღერლის გამოსვლას. სანდრომ გული მოიცა. თვალსაჩინო წარმატება აშკარა გახდა. „აეადმყოფ“ ორდას თანდათან უკეთობა დაეტყო და სპექტაკლის ბოლოს იგი საჯსებით „განიკურნა“. სამაგიეროდ, ელიაშვილმა იმ ღამეს იმდენი ტკბილეული იგემა ნაჩუქარი ფულით, რომ... მართლაც ავად გახდა. მან ვაჟკაცურად შეინახა ნამუსი და არ გასცა ეს „შეთქმულება“. შემდეგ ყველაფერი გამოაშკარავდა. ბევრი იცინეს. ევლახიშვილი დიდად კმაყოფილი იყო ორდასი, რომ ასეთი შესანიშნავი რიგოლეტო შეიძინა თბილისის ოპერის დასმა. შემდეგ სანდრომ ხშირად დაიწყო გამოსვლა ამ პარტიაში:

რიგოლეტოს სცენიური სახე სანდრო ინაშვილის არტიტული შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. გულმოკლული მამის აღშფოთებული სინიდისი და ღრმა ადამიანური ტკივილები, მისი გადმოცემით, უადრესად გამო-

მეტყველ სახეს იღებს და მთელი სიმძაფრით წარმოუდგება მა-
ყურებელს.

ჰერცოგმა ხელში ჩაიგდო ჯილდა და განცხრომას ეძლევა
მასთან. სასოწარკვეთილი რიგოლეტო ამოდ ცდილობს გაარ-
ღიოს კარისკაცთა წრე, გაათრებულ მივარდება ჰერცოგის
საწოლ ოთახს და კარს ყურს მიაპყრობს. რამდენი შიში, შეშ-
ფოთება და უილაჯობა აღბეჭდილა ერთად მის სახეზე. რა
საშინელებას გამოჰხატავს მისი დაღმეჭილი, ფერმკრთალი
სახე და ცრემლით სავსე თვალები!

რიგოლეტოს (ინაშვილის) მთელი სხეული ნერვიულ
თრთოლვას შეუპყრია. ოთახიდან რაღაც ჩურჩული ესმის და
ყურზე მიდებული ხელი უკანკალებს. მეორე ხელი ფართო
სამკლაურშია დამალული, მაგრამ მაყურებელი ნათლად
გრძნობს, რომ აქ ქვესავით შეკრულა მუშტი. შვილდივით
მოხრილ რიგოლეტოს ძვლივით გამოჰკვეთია ფეხის კუნთე-
ბი. რამდენი ენერჯიაა თავმოყრილი ამ გაშეშებულ მუხლებ-
ში და დამალულ მკლავში!

გაათრებულ მამას კარისკაცები უღობავენ გზას. რიგო-
ლეტოს სულიერი აღშფოთება კულმინაციურ წერტილს აღ-
წევს. რა ახლოა იგი თავის მიზანთან და რა ღრმა უფსკრუ-
ლია გათხრილი მის დამცირებულ პიროვნებასა და ყოვლის-
შემძლე ჰერცოგს შორის!

— გზა მომეცი, სისხლისმსმელებო! მე ჩემს შვილს ვი-
ცავ, არ მოგყიდით თქვენ იმის ნამუსს!

კარისკაცები გულგრილად დასცინიან მოხუცის მშობლიურ
გრძნობას. სასომიხდილ რიგოლეტოს მუხლი მოეკვეთა.

— შებრალებას გთხოვთ, ბატონებო! მოჰხედეთ ჩემს
ცრემლს... მომეცი, მომეცი შვილი!

ერთი წუთის წინ შეუპოვარი რიგოლეტო გულმკერდით
ეხეტქებოდა ჰერცოგის საწოლ ოთახის კარებს, ახლა კი
ფრთებდამსხვრეულ ორბივით ასკდება იატაკს და უსულგუ-



ს ა ნ დ რ ო ი ნ ა უ ვ ი ლ ი
რ ი ბ ო ლ ე ბ ო ს რ ო ლ უ ბ ი

ლო ბრბოს ემუდარება. "შებლიე სიმწრისა იფლს დაუცვარავს, მოთენთილა. მოდუნებულა. თვალებიდან ცრემლი მოყო-
ნავს. ათრთოლებული ბაგეც კი მოღრეცია უილაჯობით...

მოულოდნელად კარი გაიღო, ოთახიდან ჯილდა გამოვარ-
და და მამას ყელზე მოეხვია. რიგოლეტომ ერთი შეპყვირა
მას და მკერდში ჩაიკრა. მშობლიური ალერსი ნიაღვარივით
ეკვეთა მამის გულს, და კვლავ აღსდგა ფეხქვეშგათელილი
აღამიანი. რიგოლეტო წელში გასწორდა. ახლა ელვასავით
კვრთიან მისი თვალები.

— გასწით აქედან! — უბრძანებს იგი კარისკაცებს, — და თუ
თქვენი ჰერცოგი გაპბედავს აქ ფეხის შემოდგმას, თავს გა-
უფრთხილდეს. გადაეცით, რომ მე ვარ აქ!!

რიგოლეტომ — ინაშვილმა ჯილდასთან ალერსით გული
მოიოხა და ახლა "შურისძიებით ანთებული ბორგავს სცენა-
ზე. რამდენი მძაფრი კონტრასტი აქვს კიდევ მას გადმოსა-
ცემი იმ მომენტამდე, ვიდრე ტომარაში ჰერცოგის ნაცვლად
განგმირულ ჯილდას ნახავს და გულშემზარავი გმინვა აღ-
მოსდება.

დიდი არტისტული კულტურითა და ფაქიზი სცენიური
ნერვით შეიარაღებული სანდრო ინაშვილი მუდამ შესანიშ-
ნავი ოსტატობით ასახიერებდა რიგოლეტოს და ნამდვილ აღ-
ტაცებას იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში.

როგორც აღვნიშნეთ, „რიგოლეტო“ სანდრომ ჯერ კიდევ
თავისი არტისტული კარიერის დასაწყისში მოამზადა და დი-
დი წარმატებით ასრულებდა მას იტალიაში გამგზავრებამდე.
ჰერცოგის პარტიას ვანო სარაჯიშვილი მღეროდა. ხალხით
გაქედილი დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებებოდა ამ ორ დი-
დებულ შემსრულებელს. იტალიაში სანდრომ უფრო ღრმად
შეისწავლა რიგოლეტოს პარტია ევგენი ჯირალდონისთან და
სახელმწიფევილ დირიჟორებთან. თბილისში დაბრუნების
შემდეგ, მან კიდევ უფრო მეტი წარმატებით დაიწყო ამ
პარტიაში გამოსვლა და მთელი მაშინდელი პრესის ყურად-
ღების ცენტრში მოექცა. ეურნალ-გაზეთები ერთხმად აღნი-



სანდრო ინაუვილი
რიგოლეტოს რკლში

შნავდნენ იმ „განსაკუთრებულ კულტურას, დამთავრებულ მუსიკალურ ფრაზიობასა და მხატვრული სიმართლით აღსავსე სცენიურ განსახიერებას“, რითაც გამოირჩეოდა მისი შესრულება და მთავრებელზე „თავზარდამცემ შთაბეჭდილებას“ სტოვებდა. აღფრთოვანებული საზოგადოება ხანგრძლივ ოვაციას უმართავდა ხოლმე ნიჭიერ მომღერალს.¹

* * *

არა ნაკლები წარმატებით ასრულებდა სანდრო ინაშვილი იაგოს პარტიას ევრდის ოპერა „ოტელოში“. განთქმული „კრედო“ (მეორე აქტში) დამთელი რიგი სხვა ადგილები, მისი მაღალმხატვრული შესრულებით, დარბაზში ერთსულოვან ტაშს იწვევდა. სცენიური სახის გადმოცემაც სავსებით ორიგინალურად ჰქონდა მას გააზრებული. შექსპირის უკვდავი გმირის აბოზოქრებული, სტიქიური ვნება მან გონივრულობას დაუნორჩილა: ჭკვიანი, წინდახედული და ცბიერი იაგო შეჰქმნა.

„ოტელოში“ სანდრო ინაშვილი გამოდიოდა ნიკო ქუმსიაშვილთან, ი. ს. კიპარენკო-დომანსკისთან და პროფესორ ბარერასთან. რომელიც თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწეობდა და, მიუხედავად თავისი ხნოვანებისა, შესანიშნავად შეასრულა ოტელოს უძნელესი პარტია. მათთან ერთად სანდროს მუღამ ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა ამ ოპერაში.²

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა სანდრო ინაშვილი ევროპონის პარტიაში (ოპ. „ტრაეიატა“). მისი „ბუნებრივი არტისტულობა“, მხატვრული ზომიერების გრძნობა, თავდაპირა და ფაქიზი მანერები — მოხუცი მამის შესანიშნავ სცენიურ სახეს გვიხატავდნენ. ყოველი მიხრა-მოხრა და ფეხის

¹) იხ. გაზ. „რაბოჩაია პრავდა“. „კომუნისტი“ 1926 წ. 30 მარტისა; ჟურნ. „სანახობა“ № 8—1926 წ. და სხვა წყაროები.

²) იხ. გაზ. „ხარია ვოსტოკა“ № 1141—1926 წ. და უფრო აღრინდელი №№.

გადადგმა გამსჭვალული იყო იმ სიღარბაისლითა და თავა-
ზიანობით, რაც კეთილადზრდილ ეერმონს ახასიათებს. ძალ-
დაუტანებელი სიშლერა, მდიდარი ნიუანსირება და გულ-
წრფელი განცდა მარად დაუვიწყარს ხდიან მის ეერმონს მა-
ყურებლისათვის.

* * *

ეთოპიის გმირი მეფის—ამონასროს განსახიერებისას (ოპ.
„აიდა“) ბევრი მსახიობი უკიდურესობაში ვარდება და ტყი-
დან გამოვარდნილი ნადირის სახით წარმოგვიდგენს ამ თავ-
განწირულ მებრძოლს. ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ ამო-
ნასრო, თუმცა ჩამორჩენილი ერის შვილია, მაინც მეფეა და
ბრძოლის ველზე დამარცხების შემდეგ ბრძნული წინდახე-
დულობით განაგრძობს ბრძოლას მტრის ბანაკში. მხატვრუ-
ლი ზომიერებისა და ტაქტის დაცვას აქ უდიდესი მნიშვნე-
ლობა აქვს იმისათვის, რათა, ვაჟკაცურ სიამაყესა და პირად
მამაცობასთან ერთად, ამონასროს გონივრული მხარეც არ
დაიჩრდილოს; არ წარმოგვიდგეს იგი მარტოოდენ ისე, ვით
რადაც საშინელი, უხეში ძალა. სწორედ ამ მიდგომით განა-
სახიერა საანდრო ინაშვილმა ჩვენს სცენაზე ამონასროს.

აი, სანიმუშოდ, ერთი რეცენზიიდან ამონაწერი:

„...ნილოზის დიდი სცენა განსაკუთრებულ გასაქანს
აძლევს მომღერლებს — ეს ნამდვილი ვოკალური კონ-
ცერტია, და პანკრატოვა, კიპარენკო, ინაშვილი მას მართ-
ლაცდა კონცერტულად მღეროდნენ.

ინაშვილი პირველად ასრულებს ამ სეზონში ამონასროს
პარტიას. ეს ერთ-ერთი საუკეთესო პარტიაა მის რეპერ-
ტუარში გარეგანი გამომეტყველებით მოკიდებული.
ეთოპიის მეფის—ამონასროს განსახიერებისას მსახიობე-
ბი ან ჰუმანიან საოპერო გმირს—რაღაც შექანიან რაინდს,
ან უკიდურეს ველურობაში ვარდებიან. ინაშვილმა მშვე-
ნიერი საშუალო ხაზი იპოვა. „ეთიოპია“ მან გადმოგვცა
ჩინებული გრიმით, რითაც ასახულია ეთნოგრაფიული ტა-
პიურობა. ვერდის მუსიკის ხასიათს კი მან ჯეროვანი წი-

ლი მიუზლო თავდაქერილა სცენიური გადმოცემითა და ზომიერების დაცვით. ასეთივე ოსტატობა გამოამჟღავნა მან პარტიის ვოკალურ მხარეშიც: ინაშვილი მღერის მსუბუქად, თავისუფლად და მუსიკალურად, ნამდვილი იტალიური ჯკოლის მანერითა და მკაფიო ფრაზირებით...“ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1926 წ. 13 იანვ.).

* *

სანდრო ინაშვილის მიერ განვლილი არტისტული გზის დახასიათებისათვის აღსანიშნავია ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: სხვადასხვა გამოქვეყნებულ რეცენზიაში მის შესახებ ვკითხულობთ—ეს საუკეთესო პარტიია მომღერლის რეპერტუარშიო. ხშირად ერთი და იგივე რეცენზენტი ასეთ შეფასებას აძლევს ს. ინაშვილის მიერ შესრულებულ რამდენიმე პარტიას. ამრიგად, კონკრეტულად ძნელი გასარკვევი ხდება, მართლაც რომელი პარტიია საუკეთესო მის რეპერტუარში: „ცალ-ცალკე და ყველა ერთად“ რელიეფურად გამომეტყველი სახით შერჩა მაცურებლის მეხსიერებას.

რით აიხსნება ეს გარემოება?

მოსკოვის კონსერვატორიის განთქმული პროფესორი უმბერტო მაზეტი¹ თავის ნაშრომში—„მოკლე მითითებანი სიმღერაში ჩემს მოწაფეებს“ (გამოც. მოსკოვში 1912 წ.) სწერდა:

„... გამომეტყველება, რომელიც გრძნობისა და განწყობილების სწორად გადმოცემაში მდგომარეობს, ვოკალური ხელოვნების გვირგვინია. გამომეტყველებას რომ მიაღწიო, შესასრულებელი ნაწარმოების გაგების უნარი უნდა გქონდეს...“

და სწორედ, ნაწარმოების არსებითად გაგების უნარი, კომპოზიტორის განაზრახვისა და განსახიერებელი გმირის ადამიანური ბუნების გახსნა ახასიათებს სანდრო ინაშვილის მიერ შესრულებულ ყოველ პარტიას. ამიტომაც ისინი ერთიმეორე-

1) მოღვაწეობდა 1879—1919 წლებში.

ზე უკეთესად წარმოგვიდგებიან, და ძნელი ხდება რომელიმე-
სათვის უპირატესობის მინიჭება.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პატივცემული მ. ლვო-
ვი თავის ნაშრომში— „ანტონინა ვასილის-ასული ნეჟდანოვა“
(მუს. გამოც., 1946 წ.), რომ „... სამწუხაროდ, პროფესიულ
მუსიკოსთა წრეებშიაც კი გვხვდება შეხედულება, რომ ხმის
ძირითად ღირსებას შეადგენს მისი ძალა და არა ტემბრი და
ბგერადობის ხარისხი...“, და რომ „... ჩვენში კიდევ არ არის
აღმოფხვრილი შემსრულებლის როლის ერთგვარი შეუფასებ-
ლობა მუსიკის ისტორიაში...“ (გვ. 29, 11).

სანდრო ინაშვილის ხმის ტემბრი და ბგერადობის ხარისხი
საყოველთაო ყურადღებას იქცევდნენ მუდამ. ხოლო მისი რო-
ლი, როგორც შემსრულებლისა, ქართული მუსიკის განვითარ-
ების ისტორიაში სათანადო დაფასების ღირსია.

პროფესორი დიმიტრი არაყიშვილი ჩვენდამი მოწოდებ-
ულ მოგონებაში სწერს:

„სანდრო ინაშვილი ჩემი რომანსების ერთ-ერთი პირვე-
ლი საუკეთესო შემსრულებელია. ვანო სარაჯიშვილმა და
სანდრო ინაშვილმა დიდად შეუწყეს ხელი ქართული მუ-
სიკის პოპულარიზაციას. ახალგაზრდა ინაშვილს მშვენიე-
რი ტემბრისა და დიდი დიაპაზონის თვალსაჩინო ბარიტო-
ნი ჰქონდა.

სანდრო მუდამ დიდი წარმატებით გამოდიოდა ქართულ
სალამო-კონცერტებში, რომელთა შორის ბევრი უფასო
იყო, მაგრამ უარს მაინც არავის არ ეუბნებოდა. ამის გა-
მო მან მალე მოიხვეჭა სახელი ქართველ ხალხში, როგორც
საზოგადო მოღვაწემ. ყოველი მისი გამოსვლა ოპერის
სცენაზე მუდამ სასიამოვნო და საგულისხმო იყო. სანდრო
ინაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ მხრივ, რომ მუდამ
ქართული რეპერტუარით გამოდიოდა.

ეროვნულ ოპერებში მან პირველმა შეჰქმნა ნამდვილი
ქართული ტაბები: მურმანი, რევაზი, კიაზო, გოჩა და სხვა-
ნი. რაც შეეხება მის მიერ აბდულ-არაბის შესრულებას

ჩემს ოპერა „შოთა რუსთაველში“, უნდა ითქვას, რომ ყოველთვის წარმტაცი იყო სცენიურად და ვოკალურადაც.

გარდა ქართული ოპერებისა, სანდრო ინაშვილი მუდამ ხიბლავდა ხალხს თავისი შესანიშნავი ხმითა და ვოკალური კულტურით რუს და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებშიც. მის მიერ ბრწყინვალედ განსახიერებული გრიაზნოი, ონეგინი, სკარპია, ტორეადორი, რიგოლეტო და მთელი რიგი სხვა გმირები გვაძლევენ საშუალებას, რომ დაეახასიათოთ სანდრო ინაშვილი, როგორც დიდი მსახიობი და მომღერალი. ამ მხრივ ჩვენ შემეგვიძლია ვიამაყოთ მისი ხელოვნებით.

როგორც პატრიოტსა და ნამდვილ ქართველ ხელოვანს, სანდრო ინაშვილს მალა უჭირავს ეროვნული კულტურის დროშა თავისი არტისტული კარიერის დასაწყისიდან დღემდე, როდესაც მან უკვე ორმოცი წელიწადი დაჰყო მშობლიურ სცენაზე.

აღსანიშნავია სანდროს პედაგოგიური მოღვაწეობაც. მდიდარი ვოკალური კულტურითა და შესანიშნავი სკოლით შეიარაღებული მომღერალი, გულმოდგინედ გადასცემს თავის ოსტატობას ახალგაზრდა თაობას, და ჩვენს საოპერო ხელოვნებას შემსრულებელთა ახალ კადრებს უმზადებს“.

აი, პირველი ქართული ოპერების დამდგმელი-რეჟისორის, სახალხო არტისტ ალექსანდრე წუწუნავას მოგონებაც:

„სანდრო ინაშვილს უფრო ადრე ვიცნობდი, შორიდან, ვიდრე მას ოფიციალურად გავეცნობოდი. გაგონილმ მქონდა—კარგი ხმა აქვს და სახალხო სახლის სცენაზე მღერისო.“

1918 წელს, როდესაც ოპერის თეატრის დირექტორის თანამდებობის ასრულებას შეეუდებო, ანტრეპრენიორად ლევიციკი დამხვდა. მის მიერ წარმოდგენილ დასის ღიაში მხოლოდ ორი ქართველის გვარი ამოვიკითხე — სანდრო ინაშვილი და გიორგი ქურხული. გუნდში და ორკესტრ-

შიაც თითო-ოროლა ქართველი ერია. ეს იყო და ეს, რაც ეროვნული ძალებისაგან თეატრში დამხვდა. დასი დაძაბულ მუშაობას ეწეოდა. ჩემირად სახვალიო სპექტაკლის რეპეტიციები წარმოდგენის გათავების შემდეგ იმართებოდა. დადგმები და შესრულება ტრაფარეტული იყო.

სანდრო ინაშვილმა ვაგნერის „ტანჰეიზერში“ ვოლფრამის პარტია შეასრულა და გულმოდგინედ განაგრძო მუშაობა. ლევიცი მალე გაკოტრდა. ანტრეპარიზა ევლახიშვილს გადაეცა. მან დასი გადაახალისა და მოიწვია განთქმული მომღერლები: საბანეევა, ალეშკო, სარაჯიშვილი, ორდა და სხვანი. აი, სანდრო ინაშვილის წინსვლაც აქედან დაიწყო.

ევლახიშვილის ანტრეპარიზაში მოვახერხეთ ქართულად რუბინშტეინის „დემონის“ დადგმა. სანდრო დემონის პარტიას ასრულებდა, ვ. სარაჯიშვილი — სინოდალისას. აქ ერთ არაჩვეულებრივ მოვლენას ჰქონდა ადგილი: დადგმა შემარცხენე მიდგომით განეახორციელე, სტილიზებული დეკორაციებით. დემონის უჩინარობის გადმოსაცემად შემდეგ ხერხს მიემართე: თუ იგი მარტო იყო — ანგელოსის სამოსი ეცვა, თუ ხალხში ერია — ჩოხით იყო გამოწყობილი, სახე კი დემონისა ჰქონდა. სანდრო ინაშვილს ეს ორი ტანსაცმელი სწრაფად უნდა ეცვალა. ამ მანიპულაციას სანდრო ძალიან ოსტატურად ასრულებდა. დადგმამ მთელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც ხალხში, ისე პრესაშიაც.

„დემონში“ სანდრო ინაშვილს წილად ხვდა დიდი წარმატება. მისი შესანიშნავი ხმა მშვენივრად ელერდა. უფრო მეტიც, — ეს ხმა რაღაც განსაკუთრებული იერით გამოირჩეოდა თავისი განუმეორებელი ტემბრითა და სილამაზით. სანდრო ინაშვილის მსგავსი ხმა ას ბარიტონში ერთს თუ ექნება: სასიამო ლითონისებური ბგერა, ზოშიერი, ბანის მსგავსი დაბლები, მისი შესაფერი მადლები — სწორი და სრული ყველა ფარდებში. მკვეთრი, მკაფიო დიქცია და

მომხიბვლელი კანტილენა. სანდროს მოსმენა ყოველთვის დიდ სიამოვნებას იწვევდა და დღესაც იწვევს.

სანდრო ინაშვილი სიმღერის დიდი ოსტატია, სწორი და უნაკლო ინტონაციის მატარებელი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ შესრულებულ ნაწარმოებში სანდროს ოდესმე დეტონაცია შეეტანოს, რომ არ დაეტკბოს მაყურებელი თავისი მშვენიერი სიმღერით, გრიმით, კოხტა ჩაცმულობით, ელასტიკური მიხრა-მოხრითა და მანერებით. დამსწრე საზოგადოების წინაშე სანდრო მუდამ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა, იგი ხალხის საყვარელი მომღერალია.

სანდრო ინაშვილს მრავალი როლი აქვს შესრულებული, მაგრამ ამონასრო, ტონიო, სკარპია, ტორეადორი, ჟერმონა და ონეგინი მისი საუკეთესო როლებია და ნიჭიერებია სიმღერით არიან დატვირთულნი. დაუფიქყარია მის მიერ განსახიერებული გმირები ქართულ ოპერებში — მურმანი, კიაზო, გოჩა და ხსევანი. ამ პარტიებს პირველმა მან ჩაუდგა სული და ვაჟკაცური სიძლიერე. რასაკვირველია, სხვებიც ასრულებენ და ზოგჯერ ძლიან კარგადაც, მაგრამ პირველობა მაინც სანდროს ეკუთვნის, — იგი ამ როლების მამამთავარია.

სანდროსთან მუშაობის დროს მუდამ სიამოვნებას გრძნობს ადამიანი, რადგან იგი ნამდვილი ხელოვანი და დიდი სცენიური კულტურით აღჭურვილი ოსტატია. რეჟისორს მასთან როლის ღეჭვა არ სჭირია. სანდრო უცებ აულებს ხოლმე ალლოს სცენიურ ვითარებას, აზუსტებს მიზანსცენებს და ამით რეჟისორსაც ეხმარება თავისი როლის მკვეთრად მოხაზვაში, ანსამბლის შექმნაში. სანდრო თვითონაც კარგად ერკვევა რეჟისურაში და ამ დარგში მას თვალსაჩინო მიღწევებიც აქვს. მაგრამ ქართულ საოპერო ხელოვნებაში სანდროს მთავარი დამახტურება მის მიერ პირველად განსახიერებული გმირებია.

მაშ, ვუსურვოთ მას კიდევ ხანგრძლივი მოღვაწეობა და წარმატება ახალგაზრდა თაობის აღზრდაში“.

ამ სურვილს სიამოვნებით გაიმეორებს დღეს მთელი ხალხი, რომლის თვალწინ ჭაბუკობიდანვე იღწვოდა სანდრო მშობლიურ სცენაზე, გაიზარდა და დაეაქაცდა როგორც ხელოვანი. რამდენი რამ მის შესახებ უთქმელი დაგვრჩა....

თავისი ბუნებრივი ნიჭისა და მდიდარი ვოკალური კულტურის მეოხებით სანდრო ინაშვილმა ათობით შესანიშნავი მხატვრული სახე შექმნა და დიდად შეუწყო ხელი ჩვენში საოპერო კულტურის განვითარებას, განსაკუთრებით კი—ეროვნული ოპერის შემდგომ ზრდასა და აყვავებას.

* *

სანდრო ინაშვილს სასცენო მოღვაწეობის ორმოცი წლის-თავი შეუსრულდა. ეს საამაყო თარიღია, მომღერლისათვის კი — ორგზის საამაყო და სასახელო.

ადრიან სიჭაბუკეში სანდროს ურო ექირა ხელში, შემდეგ— კალამი. გუნდის უბრალო წევრობით დაიწყო და შესანიშნავი საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელამდე მიაღწია. საქვეყნოდ სახელმწიფოებრივი მსახიობი და ვოკალური კულტურის გამოჩენილი ოსტატი გახდა. ქართველ მომღერალთა მომავალ თაობას მისი სახით სახელოვანი აღმზრდელი ჰყავს.

რა ამალეღვებელი წარსულია, რა მდიდარი შემოქმედებითი გზაა განვლილი!

ოცდათხუთმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად შეასრულა სანდრო ინაშვილმა მურმანის პარტია და ვანო სარაჯიშვილთან ერთად მთელს სამშობლოს მოჰფინა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ჰანგები. სადღაა ახლა ის ქონმახები, რომელშიაც უხდებოდათ გამოსვლა ქართული ოპერის ამ პირველ მიმრჩეველებსა და მახარობლებს!

ვანოსთან ერთად სანდრო ინაშვილი პირველ შემსრულებლად მოევიღნა ეროვნულ ოპერას და მისი გმირების განსახიერების ბრწყინვალე ტრადიცია შექმნა, რაც წელთა მანძილზე მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს სცენაზე. ეს ტრადიცია საუკეთესო მისაბამ მაგალითს წარმოადგენს ახალგაზრდა მომღერ-

ლებსათვის და ასევე სანიმუშოდ დარჩება კიდევაც დიდი ხნის განმავლობაში.

ბედნიერია სანდრო ინაშვილი, რომ მისი არტისტული ცხოვრებას გზას ვანო სარაჯიშვილის შემოქმედებითი მეგობრობის ნათელი ახლავს, რომ ამ მეგობრობის კვირტის გაშლასთან ერთად საძირკველი ჩაეყარა ქართულ ოპერას.

ივანე და ზაქარია ფალიაშვილებმა ვანო სარაჯიშვილს „ქართული ოპერის გამომწვევი მიზეზი“ და „პირველი მოქიქ-ქიკე მერცხალი“ დაარქვეს...

და დღეს, როდესაც ჩვენს შორის არც ვანო სარაჯიშვილია, არც დიდებული ძმები—ივანე და ზაქარია ფალიაშვილები, სანდრო ინაშვილი მათ ჩუქურთმოვან ბუდეში ჩარჩა და ზამთარ-ზაფხულ ჩვენთან გალობს. ისიც ეროვნული ოპერის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი და პირველი შესანიშნავი ვეზირია.

რა უნდა უთხრას მას სამშობლომ გულითადი მადლობის მეტი!

1947 წ. თბილისი.



ს ა რ ო ვ ი


	83
1. განვლილი გზა	5
2. მშობლები. ოჯახური წრე	6
3. ნორჩი მუსიკოსი. სანდრო კავსაძესთან. რკინიგზის მთავარ სახელოსნოში	10
4. სახალხო სახლის გუნდში. ნიკო სულხანიშვილთან	15
5. კოვალენსკისა და რიადნოვთან. პირველი სასცენო ნაბიჯები	18
6. ქართული ოპერის სათავესთან. ვანო სარაჯიშვილი და სან- დრო იმაშვილი	40
7. იტალიასა და ესპანეთში	76
8. მშობლიურ სცენაზე. საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა	86
9. ეოკალური კულტურისა და სცენის ოსტატი	115



რედაქტორი: კავლი ხუჭუა
ტექნიკური
და კორექტორი თ. მამფორია
მხატვარი: შ. გერიტაშვილი.

გადაეცა წარმოებას 15/IV 1948 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
1948 წ. ქალაქის ზომა 60×84, წიგნის ანაწყოების ზომა 5 1/2×9.

მბო ფორმათა რაოდენობა 10. სტამბის შეკვეთა № 651.
ტირაჟი 5000. უი 03025

 პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბ
ლენინის ქ. № 28.